

საღვთისმეტყველო

ერეკლესიის  
ბიბლიოთეკა



თეოდოსი  
ქვენი  
სმენის  
წინაშე



Վ.Ս. ՆԱԼԲԱՆԴՅԱՆ

ՀԱՅԿԱՅԻՆ  
ՆՈՒՆԱԿԱՆԱԿԱՆ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

**Դ** ԲԵԼԵՍԵՆ  
ՆԿՅ  
ՄԿՏԵՆԿՔԻՌՈՒԹՅԱՆ  
ՄԵՁ

սկսած ինչև XVIII դարի վերջ

В.С. НАЛБАНДЯН

**Т** БИЛИСИ  
В ДРЕВНЕАРМЯНСКОЙ  
ЛИТЕРАТУРЕ

с древних времен до конца XVIII Века

Государственное издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси — 1959

ვ.ს. ნაღბანდიანი

80  
საქართველოს  
საბჭოთა სკოლა

K 87.513

**მედიისი  
ქველ სოესურ  
გერლოჯეუი**

უკველესი ღკოილან  
XVIII საუკუნის გოლოქლა

X



საქართველოს საბჭოთა სკოლა  
საბჭოთა საქართველო  
თბილისი — 1959



მთარგმნელები: ნ. ჯანაშია  
ე. ცაგარეიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

## რედაქტორის აზარი

წინამდებარე თარგმანი, შესრულებული ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტის ე. ცაგარეიშვილისა და აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ნ. ჯანაშიას მიერ, გაკეთებულია ძირითადად სომხური გამოცემის მიხედვით, მაგრამ, ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ყველა ის შენიშვნა (შესწორება-დამატებანი), რომლებიც ავტორმა მოგვაწოდა თარგმნის დროს. ორიოდ შენიშვნა, რომელიც რედაქციას ეკუთვნის, ნაჩვენებია სქოლიოში ვარსკვლავით (\*), სხვა შენიშვნები იქვე ავტორისაა.

o. ა.

საქართველოს დედაქალაქ  
თ ბ ი ლ ი ს ი ს  
დაარსების 1500 წლისთავს

## ორიოდე სიტყვა

საქართველოს უძველესი დედაქალაქის თბილისის შესახებ ძველსა და შუა საუკუნეების სომხურ მწერლობას მრავალრიცხოვანი მასალები და ცნობები შემოუნახავს. მათი შეგროვება, ერთად მოტანა, დამუშავება და განზოგადება საქმიანოდ ძნელი საქმეა. წინამდებარე შრომის მიზანი არ არის ყველა ამ მასალებისა და ცნობების სრული და ამომწურავი გადმოცემა და განხილვა. ამ წიგნაკის მიზანია მკითხველს წარმოუდგინოს მხოლოდ ერთი წყება მნიშვნელოვანი ცნობებისა, რომელიც დაცულია სომხურ მწერლობაში თბილისის ისტორიის შესახებ, დაწყებული ძველი დროიდან ვიდრე XVIII საუკუნის ბოლომდე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სომხურ ლიტერატურაში შემონახული ეს ცნობები შეეხება უმთავრესად უცხოელთა შემოსევებს, დარბევებს, ტყვეთა წასხმას და სხვ. საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთა ყოფის, წეს-ადათებისა და სოციალური ისტორიის შემცველი მასალები ჩვენს ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ცოტა შემოინახა (ეს საერთოდ დამახასიათებელია სომხური ლიტერატურისათვის).

საუკუნეთა სიღრმიდან მოდის ორი მოძმე ხალხის, ქართველებისა და სომხების მეგობრობა. იგი ისევე ძველია, როგორც თვით ეს ხალხები. მისი მრავალსაუკუნოვანი ფესვები გადგმულია ძალიან ღრმად და უხსოვარ, წინაისტორიულ დროს აღწევს. ამ მეგობრობისა და ძმობის შესახებ გულითადი სიტყვებით გვიამბობენ სომხურ და ქართულ ისტორიულ ძეგლებსა თუ მატინებში დაცული და საუკუნეთა წყვილიდან ჩვენამდე მოღწეული ხალხური გადმოცემები და თქმულებები. სწორედ ასეთი ძვირფასი და ღრმადშინაარსიანი გადმოცემით იწყებს თავის თხზულებას სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი. ამ გადმოცემის თანახმად სომეხთა მამამთავარი ჰაოსი, ქართველთა მამამთავარი ქართლოსი და ექვსისხვა კავკასიელი ხალხის მამამთავრები—ბარდოსი, მოვაკანი, ლეკი, ჰეროსი, კავკასი, ეგროსი ღვიძლი ძმები იყვნენ, ნოეს შთამომავალი თარგამოსის ძენი. „ამათ თვსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“ — წერს ისტორიკოსი. ბაბილონის გოდლის მშენებლობის შარცხით დაძთავრების შემდეგ, განაგრძობს მროველი, თარგამოსმა თავისი ქვეყანა გაუნაწილა თავის რვა შვილს, რომელნიც ნებროთის მორჩილებაში იყვნენ.

ერთ მშვენიერ დღეს ჰაოსმა შემოიკრიბა ძმები და ასეთი სიტყვებით მიმართა მათ:

„მისმინეთ მე, საკუთარნო ჩემნო, მოგვცა ჩვენ ღმერთმა ძალი და ხალხი მრავალი, და ესლა იმ მოწყალებისათვის ღვთისა, რომელიც ჩვენდაა, ნუ ვემონებთ უცხოს (ვისმე), ჭეშმარიტ ღმერთს გარდა“.

*[«ქოლარიძე ჩინბ, ჯარაღათე ჩამ, აჩადააჩქ ხთ ანგ ასათოაბ დაარიოქრანს და ძიღიქიღიღე რადიამ. და არიქ ქასან იღირ-მიოქხანს ასათობიქ, ირ ჩი ქხერაქ აჩერ, აჩი ჭაიდაქსეიღე ასათარქ, აქ ასათობიქ ნემაროქა»].*

უცხოთა მონობაში მყოფმა დევგმირმა ძმებმა მოისპინეს ჰაოსის მოწოდება და იმოწონეს იგი. მათ უარი განუცხადეს ნებროთს ხარკის მიცემასა და მორჩილებაზე, და განუდგნენ მას. ამ უკანასკნელმა ვაიფო რა მათი ურჩობის ამბავი, დიდად განრისხდა და მათ წინააღმდეგ თავისი ბუმბერაზები გააგზავნა. მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ ძმების წინააღმდეგ. ამჯერად ურჩი ძმების დასასჯელად თითონ ნებროთი წავიდა. სიმართლისათვის მებრძოლი ჰაოსი და მისი ძმები არ შემდრკალან. ჰაოსმა მოკლა ნებროთი და, ამგვარად, გმირი ძმები განთავისუფლდნენ საძულველი მტარვალისაგან.

ამის შესახებ ლეონტი ამბობს:

„დაეთანხმა ყველა (ჰაიკის რჩევას), განუდგნენ და აღარ მისცეს ხარკი; გადმოიყვანეს თავისკენ გარეშემო მყოფი ტომებიც. ესმა ნებროთს, განრისხდა. შეყარა ბუმბერაზთა და მდაბიოთა დიდი სიმრავლე და მოჰმართა მათ, მოვიდა ატრპატაკანის ქვეყანაში. ჰაიკი კი თავისიანებით მას(ის)ის ძირს იდგა. გაგზავნა ნებროთმა სამოცი გოლიათი დიდძალი სიმრავლით; შეეჯახნენ ერთიმეორეს საშინელი და სასტიკი კვეთებით, თითქოს ღრუბელთა ქუხილის ხმაო. ორივე მხრით ურიცხვი და უამრავი ამოწყდა. ჰაიკი კი თავისიანების უკანა მხარეს იდგა, განამტკიცებდა და

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953 წ., გვ. 8 — 9.



ამხნევებდა (შათ). როგორც ელვა დაჰქროდა თვით  
 გარეშემო და დასცა სამოცი გოლიათი მთლიანად შმა  
 თივე ლაშქრით. ღვთის მადლით შვიდივე ღვიძლი ძმა  
 უვნებელი გადაარჩა და აღიდებლნენ თავიანთ  
 მხსნელს, ყოვლის მპყრობელს. გაიგო ეს ნებროთმა,  
 დიდად შეშფოთდა და თითონ მიჰმართა ჰაიკს. მას კი  
 არ ჰყავდა მისებრი ლაშქარი და მას(ის)ის ზევების  
 ნაპრალებში გამავრდა. ნებროთი თავით ფეხებამდე  
 რკინის საჭურვლით იყო შეჭურვილი. დადგა ერთი  
 ბორცვის ძირში და მოუწოდა ჰაიკს, ძველებურად და-  
 მორჩილებოდა. მაგრამ ჰაიკმა პასუხი არ გასცა მას  
 და უთხრა თავის ძმებს: „გამიმავრეთ ზურგი, ნებრო-  
 თისკენ ვეშვები“. წავიდა, მიუახლოვდა მას, დასცა  
 ისარი გულის ფიცარს და ელვის სისწრაფით გაევილო,  
 როგორც მზის სხივები სარკმელს. (ნებროთი) მაშინ-  
 ვე გადავარდა და სული განუტევა. მთელი მისი ბანა-  
 კი დაეცა, და თორგომ(ოს)ის სახლი უზრუნველ  
 იქნა და მოისვენა (მან)“.

[აზღა ნაღანხეგან ამხნეხეხან, აყათამრხალ ჯხთიღნ რღ-  
 წარქნ, არქხალ ქინეხანსა გღრჯალკაყ ადღანს: ხღ ლიხალ ხერ-  
 რიქქაყ წარქაგნაღ. ლ არარ ამრჩი წარღიღმ წასქაქიე ლ  
 ჯანანაღანჯქიე, ლ ღქამხაე ქ ქხერაყ ნიეგა, ლ ხღნ ქსორე-  
 ყათასქანს აუქარანს: ხღ ჯაქნს კაყრ ქორაქიქღნ აიღ ითნ  
 შანხაე: ხღ აიღახაე ხერრიქქ ქაქშიღნ წასქაყ ქიღიქიე  
 წადმიქხამრ. ლ ჯანანხალღ ქ მიქმხანსა აწადქინ ლ სასთიქ  
 წაქამამრ ქრღს გღკან ირითამანე ამაყიე. ლ ხღნს კითორაბ  
 ხრღიეღიღნე კიღმანენს ანქიღ ლ ანწამარი: ხღ ჯაქნს კაყრ  
 ქხთიღათ კიღმანსქ ქიღიენ. ლ სრთაყანღხალ გაჯალხერე. ლ  
 ქნენ ქრღს გღკაქბასქნ სასყათასქერ ჯიღრჯანასქი, ლ რსქნსთიე  
 გწასქაყანს ქაქშიღნ გარაადენ ქიღხანსე მიქნღს ქ საყან,  
 ხღწანხერქნ წარაგათიღენ იღღ მწანეხალ ჯნიღრქიღენ ს.ათიღ-  
 ბიე, ლ ქიადღ თაქინ ქიღიღიენ ქიღხანსე ამხნასქალი: ხღ  
 ლიხალ ხერრიქქ ქიღიქხეგაე ქიღბ ლ ღქამხაე ქნენქინ ქ ქხერაყ  
 ჯაქიქინ: ზასწ ნა, იღ იღსიღიქ გარაი ქრღს გწორაყან, ამრ-  
 ანაყრ ქ გხეროღსა ბიღიენ შანხაე: ზასწ ხერრიქქაყ საყ-  
 იადქინხალ, კიღი ქაღიხალ ხრღაქიე ქიღიენს მიქნღს გგაგაქნ,  
 ხღანსქერ ქით მი ქიღიე, კიღსქერ გღკაქნს ქაღაჯქინ წწანაღანღი-  
 ქიღნს: ზასწ ჯაქნს იღ ხთ აყათასქანსი ნამა, აქღ სასწ გხღ-

ქარანს ჩი: «შამრავიუტეჲ უჩა ქათიასო კიოქმანს, *და ქუა-  
ნხმ ხა აი სხერიქს*»: ხე ჩნდნ ხერქაჲ მხრბხნაჲ *ანდინაჲ,  
და ნხთილ ზარქანსეჲ* ჩ ქერაჲ თაქათასკაჲ სიოთხ, *და ჳნუთა-  
ქი ანგიუგანსეჲ* შაჲ ჩ *ლიასანგიუგა არხდასქანაგაჲთა,* *და  
ღრუხალ აოქამაჲან ქიღეჲ ყღონღნ, და ანსკაჲ რიორ რანსკნ  
ჩი, და თონს ზორღომაჲ ქანზიფა ხეხალ ზანდღქინს*»<sup>1</sup>.

ნებროთის მოკვლის შემდეგ დევგემირმა ძმებმა, თარგამო-  
სის შვილებმა, თავისუფლად ამოისუნთქეს. მათ თავიანთი  
ქვეყნების მომენება და კეთილმოწყობა დაიწყეს. უძველესი  
გაღმორცემის თანახმად ეს ძმები, შემდეგ კი მათი შთამომავ-  
ალნი, დიდის სიყვარულით ცხოვრობდნენ და გაჭირვების  
უამს ერთმანეთს ძმურ დახმარებას უწყევდნენ.

მაგალითად, ლეონტი მროველი ერთ ასეთ შემთხვევაზე  
გვიამბობს შემდეგს:

„მაშინ გაძლიერდა ხაზართა ტომი, ებრძოდა ლე-  
კებსა და კოვკასის ტომებს, რომლებიც ჩაცვიდნენ  
გასაჭირში და სთხოვეს თორგომ(ოს)ის სახლის ექვს  
ტომს, რომლებიც იმ დროს მხიარულებასა და მშვიდო-  
ბიანობას მისცემოდნენ, მისულიყვენ მათ საშველად.  
ისინი წავიდნენ კიდევ გულმოდგინედ და მზა აკაზმუ-  
ლობით, გადაიარეს კავკასის მთა, მოარბიეს ხაზართა  
ქვეყანა ტირეთისის შვილის დუწუკის ხელით, რომელ-  
მაც მოუწოდა მათ დასახმარებლად“.

*[აშაჲანმ ძამანსაქი უარაჲხალ ადღნ ხაყრაჲჲ კიოქჩნ  
რნო ადღჩნ სხკაჲ და კიქკასიო. ირე ანსკხალ ჩი კარჩა,  
ჩანღჩი არარჩნ ჩი თონს ზორღომაჲ ქხე ადღაჲ, ირე ჩი  
ჩანდიქხანს და ჩი ქაღაღიქხანს კაქჩნ ქალორანს ქანსიოქი,  
ყალ ადღნხე ნიგა: ირე და ჳიფანს ქისკ ქაქაროქხანამე და  
კაღმ აყათრასთიქხანამე, და ანსჩნ რნო ქხანს კიქკასიო,  
და დხრხეჩნ დხრჩქჩნ ხაყრაჲჲ ჩი ბხინ ზიოიოქჩნ, ირეოქნ  
სჩრჩქჩაი, ირე კიოქხაჲ დნოთა ქაოღნასქანოქჩინს]*<sup>2</sup>.

ასევე იყო შემდგომ საუკუნეებშიც. თუ მოვლენათა მსვლე-  
ლობაში რომელიმე მოძმე ხალხთაგანი მძიმე მღვდმარეობაში  
ჩავარდებოდა, დანარჩენები ისწრაფოდნენ დაუყოვნებლივ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 9 — 11.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 14 — 15.

დახმარება გაეწიათ მისთვის. საუკუნოვანმა მეზობლობამ მტკიცე ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა კავშირმა, უწყვეტმა ურთიერთობამ, უცხოელი დამპყრობლებისა და ასიმილაციორების წინააღმდეგ საერთო ძალებით წარმოებულმა ბრძოლამ, უფრო და უფრო განამტკიცა მოძმე ხალხების უანგარო მეგობრობა და წმინდა სიყვარული. განსაკუთრებით საყურადღებოა ამიერკავკასიის ხალხების სამხედრო კავშირის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. მტრის თავდასხმათა წინააღმდეგ წარმოებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გმირულ მატთანში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ამიერ-კავკასიის ხალხების ურთიერთდახმარების ამსახველი ფურცლები. საუკუნეთა განმავლობაში მხარდამხარ იბრძოდნენ ისინი თავისუფლებისა და სიმათლისათვის. იბრძოდნენ ბაბილონისა და აქემენური სპარსეთის, რომისა და სასანური სპარსეთის, ბიზანტიისა და არაბების, სელჩუკებისა და მონღოლების, თათრებისა და თურქების და სხვა დამპყრობლებისა და ასიმილაციორების წინააღმდეგ.

თითქმის ერთნაირი იყო ქართველებისა და სომხების მწარე ისტორიული ხვედრი. ისინი მუდამ ერთად იყვნენ, ლხინშიცა და გაჭირვების უამსაც. ამ ორი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა და ურთიერთკავშირი იყო ხსნის ის მნიშვნელოვანი მძლავრი რგოლთაგანი, რომლის საშუალებითაც ამ ხალხებმა თავი დააღწიეს ურიცხვსა და უამრავ განსაცდელს, გადარჩნენ და მოაღწიეს ჩვენს ნათელ დღეებამდე.



საქართველოს უძველესი დედაქალაქი თბილისი ორი მოძმე ხალხისათვის მეგობრობის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. ქემშარიტად, ამიერკავკასიის ხალხების ძმობის აკვანია ათას ერთი სასწაულითა და ჯადოთი აღსავსე ეს ქალაქი. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს დედაქალაქში ქართველი და სომეხი ერთმანეთის გვერდით საერთო აზრითა და ოცნებით ცხოვრობდა, ერთი საზრუნავითა და ტკივილით იტანჯებოდა. ისინი მუდამ იყოფდნენ როგორც ბედის სიმუხბთლეს, ისე გამარჯვებათა სიამეს.

ცნობილია, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიზეზით, სომხეთი პირველი ხვდებოდა უცხოურ შემოტევებს და პირველივე ღებულობდა ამიერკავკასიაში შემოჭრილ ურლოთა დარტყმებს. გასაგებია, რომ ამ გარემოებამ არსებითი როლი ითამაშა სომეხი ხალხის მწარე ხვედრში. ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში სახელმწიფოებრივობისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური მმართველობის დაკარგვის შემდეგ, მუდამ მოსალოდნელი და მოულოდნელი თავდასხმების საფრთხის წინაშე მდგომი სომეხი ხალხი ძალიან ხშირად იძულებული იყო თავისი მშობლიური ქვეყანა, საკუთარი სახლი და კარი მიეტოვებინა ხოლმე და თავისუფლება უცხო ცის ქვეშ ეძებნა. და აი სწორედ ასეთ დროს, ჩვენი ხალხის ისტორიის მწარე და მძიმე წუთებში, მოძმე ქართველი დაუყოვნებლივ და სიყვარულით უწვდიდა სომეხს დახმარების ხელს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველთა დედაქალაქის სტუმართმოყვარე კედლებს უარი ეთქვათ და არ შეეფარებინათ მტრის მახვილს გადარჩენილი და შემწეობის მთხოვნელი სომეხი. საუკუნეთა განმავლობაში ამ განსაცვიფრებელ ქალაქში სომეხი უხვად სარგებლობდა ქართველის გულლია სტუმართმოყვარეობით და სამაგიეროს უხდიდა თავისი წმინდა, უანგარო სიყვარულითა და სანაცვლო დახმარებით. ეს არის მიზეზი იმისა, რომ თბილისი მუდამ ასე ძვირფასი იყო არა მარტო თბილისელი ქართველისათვის, არამედ მისი თანამოქალაქე სომხისათვისაც. სავსებით ცხადია, თუ რატომ აყენებდა თბილისის თავზე მოწეული განსაცდელი და ჭირი უსოდენ ღრმა ჭრილობას არა მარტო თბილისელი ქართველის, არამედ მისი თანამოქალაქე სომხის გულსაც. და პირიქით, ქართველთა დედაქალაქის ყოველი წარმატება სიხარულით აღავსებდა არა მარტო თბილისელ ქართველს, არამედ მის მეზობელ სომეხსაც.

სომხური წერილობითი წყაროების შესწავლა ჩვენ საკვირველსა და უმაგალითო მოვლენას გვიჩვენებს: სომხურ ლიტერატურულ ძეგლებსა და მხატვრულ შემოქმედებაში ამა თუ იმ სახით თავისი ასახვა პოვა თბილისის ისტორიის თითქმის ყოველმა თვალსაჩინო მოვლენამ. მართლაც, ძნელია მო-

ინახოს თბილისის ცხოვრებაში მომხდარი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ამბავი, რომელსაც გამოძახილი არ ეპოვება ძველსა და შუა საუკუნეების სომხურ მწერლობაში. ჭეშმარიტად ძნელად მოიძებნება რომელიმე სხვა ქალაქი, რომლის ცხოვრება და ისტორია ესოდენ დიდ ინტერესს იწვევდეს სხვა ხალხში (თუნდაც მეზობელ ან მოძმე ხალხში). აღსანიშნავია, რომ თუკი ისტორიკოსები რომელიმე მოვლენას მისი უმნიშვნელობის გამო თავისი ყურადღების ღირსად არ ჩასთვლიდნენ და თავიანთ თხზულებებში არ შეიტანდნენ, იგი მაინც აისახებოდა ხოლმე სხვადასხვა დროსა და სრულებით სხვადასხვა ადგილას გადაწერილ ხელნაწერთა კიდევებზე, კაბადონების აშოებზე, ანდა მინაწერებში. რომელიმე უდაბნოს ანუ სავანის ვიწრო და ყრუ კედლებში მყოფი გადაწერი, რომელიც ხშირად თბილისს ყურმოკვრით თუ იცნობდა, მაინც იხსენებდა ხოლმე მას ამა თუ იმ ამბავთან დაკავშირებით. მრავალრიცხოვან სომხურ ხელნაწერთა ანდერძებში გადამწერლები აუცილებლად სთვლიდნენ აღენიშნათ, რომ ეს ხელნაწერები თბილისში ყოფილან გადაწერილი. ქართველთა დედაქალაქის სახელს ისინი ახსენებდნენ სულ სხვადასხვა გარემოებებთან დაკავშირებით.

აი, მაგალითად, რას წერს XIV საუკუნის დასაწყისში თბილისში გადაწერილი ხელნაწერის გადამწერი იმავე ხელნაწერის ანდერძში:

„აწ დაიწერა ესე სამეფო ქალაქ თბილისში ხაჩატურ დიაკვნის, ცოდვილისა და გამოუსადეგარი მწერლის მიერ... დაიწერა სომეხთა „ჩწგ“ (1304) წელსა, აგვისტოს 9-ს, სომეხთა ჰეთუმისა და ქართველთა დავით მეფეების დროს“.

[«Արդ գրեցաւ սա ի թագաւորական քաղաքս ի Տիփլիս, ձեռամբ Խաչատուր սարկաւագի, մեղուցեալ և անպիտան գրչի... Գրեցաւ ի թուիս Հայոց ՉՄԳ (1304) ի յագոստոս Թ (9), ի թագաւորութեանն Հայոց Հեթումոյ և Վրաց՝ Դավիթ...»<sup>1</sup>.

<sup>1</sup> XIV საუკუნის სომხურ ხელნაწერთა ანდერძები, ნაწილი პირველი, შეადგინა ლ. ს. ხ ა ჩ ი კ ი ა ნ მ ა, ერევანი, 1950 წ., გვ. 28 (სომხურ ენაზე).

ერთი ხელნაწერი სახარების გადამწერი კარაპეტ აღთმარელი აღნიშნავდა:

ქართული  
საბჭოთაო

„უფალი ღვთის მადლით დავიწყე და მისივე მოწყალეობით დავამთავრე სომეხთა „პძა“ (1432) წელს, აგვისტოს თვის 16-ს. დაიწერა სახელით ოდენ ბერის კარაპეტის ხელით დედაქალაქ თბილისში ბატონ სოლდაანთ მონასტერში“.

[«*Նորիւ տեան սկսայ և ուրբուիթեամբ տեան աստուծոյ կատարեցի ի ՊԶԱ (1432) թուականի Հայոց, յաւուստոս ամսոյ ի ԺԶ (16): Գրեցաւ ձեռամբ սուտանոն արեղայի Կարապետի, ի մայրաքաղաքս Տիխիս, ի վանքս պարոն Սալադինց...*»]<sup>1</sup>.

ხოლო ერთი სხვა ხელნაწერის ანდერძში, რომლის გადამწერია ვინმე ჰოვანესი, ვკითხულობთ:

„მომიხსენეთ მეცა, ცოდვილი მწერალი ჰოვანესი, და ჩემი მშობლები, რომელმაც ეს წმინდა სახარება დავწერე და დავამთავრე დედაქალაქ თბილისში წმინდა მოწყალე ღვთისმშობლის საფარველ ქვეშ სომეხთა „პღზ“ (1447) წელსა“.

[«*...Յիշխաչիք և գիս գՅովհաննէս մեղապարտ գրիչս և գծնաւղան իմ, որ գսուրբ աւետարանս գրեցի և աւարտեցի ի մայրաքաղաքս Տիխիս ընդ Հովանեաւ կամակատար սուրբ Աստուածածնիս ի թվիս Հայոց ՊԶԶ (1447)*»]<sup>2</sup>.

ასევე სხვა უამრავი ხელნაწერების ანდერძებში გადამწერლები არ ივიწყებენ ახსენონ „ტფხის“ — თბილისი, სადაც გადაიწერა და მოიხატა არც თუ მცირე რიცხვი სომხური ხელნაწერებისა.

ხელნაწერებსა და მათს ანდერძებში თბილისი იხსენიება სულ სხვადასხვა მიზეზის გამო. აი, ანდერძი ერთი ხელნაწერისა, რომლის გადამწერს აუცილებლად ჩაუთვლია განსაკუთრებით ხაზი გაესვა და შთამომავლობის ხსოვნისათვის

<sup>1</sup> XV საუკუნის სომხურ ხელნაწერთა ანდერძები, შეადგინა ლ. ს. ხაჩიკიანი შა, ნაწილი პირველი, ერევანი, 1955, გვ. 420 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 607.

დაეტოვებინა, ის „წვრილმანი“, რომ მის მიერ გადაწერილი ხელნაწერის ყდის მასალა თბილისიდან იყო მოტანილი. 1185  
წელს საღმოსავანქში (არაგაწოტნის ოლქში) გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში. გადაწერი წერს:

„მოიხსენეთ ძმა ჩვენი ქრისტეს მიმართ ქარასუნ-  
ქი... რომელმაც ამის (ხელნაწერის) დასაკვამში მასალა  
მოიტანა თბილისიდან, ხოლო რგოლი და ღილი —  
ანისიდან“.

[«*გხერყაქრნ ძხრ ღაოთაოინჲს... ირ ვნჩიქ ჯადმიქხან  
თირა ხერჩ ი ნიქსხაყ ჯ დაღ ჯ კინაჲ კსნოი, ქიხხაუქე ჩ  
ჭრქათო...*»].

ამრიგად, სომეხი ისტორიკოსები და მწერლები, მემკვიდრე-  
ანენი და გადაწერლები მუდამ პოულობდნენ მიზეზს ამა თუ  
იმ სახით მოეხსენებინათ ტფხის-თბილისი.

სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც საქართვე-  
ლოს ისტორიით დაინტერესებულნი პირნი იჩენდნენ და იჩე-  
ნენ ქალაქ თბილისის ისტორიის მიმართ. საქართველოს დე-  
დაქალაქის ისტორიის საკითხებს განიხილავდნენ და განიხი-  
ლავენ არა მარტო ქართველი ხალხის ისტორიის საკითხებ-  
თან დაკავშირებით, არამედ ისინი წარმოადგენენ სპეციალურ  
მონოგრაფიულ გამოკვლევათა საგანსაც. თბილისის ისტო-  
რიის ბევრმა საკითხმა თავისი ყოველმხრივი მეცნიერულ  
ახსნა პოვა, განსაკუთრებით, ერთი წყება ძვირფასი გამო-  
კვლევების წყალობით. მართალია, ზოგი მათგანი უკვე მო-  
ძველდა (ეს სავსებით გასაგები გახდება, თუ ჩვენ ყურადღე-  
ბას მივაქცევთ მათი გამოცემის თარიღებს), მაგრამ ისინი  
ქართველოლოგიის საუკეთესო წარმომადგენელთა კალამს  
ეკუთვნიან და დღესაც მრავალმხრივ ინარჩუნებენ სერიოზულ  
ინტერესს.

ამ გამოკვლევებიდან, უპირველეს ყოვლისა, გამოჩენილი  
ქართველი ისტორიკოსისა და არქეოლოგის პლატონ იოსელი-  
ანის შრომები უნდა მოვიხსენიოთ: „Древние памятники

1 კათალიკოსი გარეგინ I, ხელნაწერთა ანდერძები I, ან-  
თილია, 1951, გვ. 509 (სომხურ ენაზე).

2. ვ. ს. ნალბანდიანი

საქართველოს  
პარლამენტი  
მეცნიერული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს  
ბიბლიოთეკა  
სამეცნიერო  
ბიბლიოთეკა  
17

Тифлиса“ (СПБ, 1844), „Города, существовавшие и существующие в Грузии“ (Тифлис, 1866), „Описание древностей города Тифлиса“ (Тифлис, 1806). შემდეგ, Дм. Бაკრაძე и Н. Берзенов, „Тифлис в историческом и этнографическом отношениях“ (СПБ, 1870), „Краткий исторический очерк города Тифлиса“ (в „Сборнике сведений о Кавказе“, т. VI, Тифлис, 1880), Л. М. Меликсет-беков, „Тифлис, его основание и краткий исторический очерк“ (из „Тифлис и его окрестности“, путеводитель, составил И. А. Асланишвили, Тифлис), 1925, М. Полиевктов и Г. Натадзе, „Старый Тифлис в известиях современников“ (Тифлис, 1929), Н. И. Бадриашвили, „Тифлис“ (Тифлис, 1934), მისივე „Тбилиსი“ (1957) და სხვ. თბილისის ისტორიის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდნენ აგრეთვე ქართველი ხალხის ისტორიისადმი მიძღვნილ თავიანთ კაპიტალურ ნაშრომებში დ. ბაქრაძე, აკად. ივ. ჯავახიშვილი და სხვ.

თბილისის დაარსების ისტორია, ისევე როგორც სხვა უძველესი ქალაქებისა, ბუროუსითაა მოცული. მის შესახებ არსებობს მრავალი ნახევრადზღაპრული ისტორია, ლეგენდა და ხალხური გადმოცემა. საუკუნეთა განმავლობაში, თაობიდან თაობაზე გადაცემით, მათ მოაღწიეს ჩვენს დრომდე. როგორც ყოველი ხალხური გადმოცემა, ისე თბილისის დაარსების ირგვლივ შეთხზული ამბებიც უკიდურესად დიდ ინტერესს იწვევენ თავიანთი ორიგინალობითა და უშუალოებით, თავიანთი მარტივი და სადა აღნაგობით. აი, რას გვიამბობს ერთი ხალხური გადმოცემა ქალაქ თბილისის დაარსების შესახებ: ერთხელ ქართველთა მეფე (მისი სახელი გადმოცემაში ნახსენები არ არის) ნადირობდა ტყეებში, რომლებიც გარს ერტყა იმ ადგილს, სადაც ახლა თბილისია. ნადირობის დროს მეფემ დასჭრა ირემი. დაჭრილმა ირემმა, რომელსაც სისხლი სდიოდა, ვიაშურა იქვე ახლო თბილ მინერალურ წყაროებს, გადა-

ეშვა ერთ-ერთ მათგანში და შიგ განიბანა ქრილობა. ირემი  
მაშინვე განიკურნა, გაექანა ტყისაკენ და გაქრა. ქართველთა  
მეფე დაინტერესდა ამ სასწაულით და ბრძანა შეესწავლათ ამ  
წყაროს წყალი. როდესაც მეფე დარწმუნდა, რომ მას მარ-  
თლაც ჰქონდა სამკურნალო თვისებები, მისი ბრძანებით დაი-  
წყო ამ ადგილის დასახლება. თბილი წყლების გამო მას უწო-  
დეს თბილისი, ქართული სიტყვიდან ტ ფ ი ლ ი<sup>1</sup>.

ამ ხალხური გადმოცემის ერთ სხვა ვარიანტში თბილისის  
დაარსება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ის ადგილი, სა-  
დაც ახლა გაშენებულია თბილისი, უხსოვარ დროში დაფარუ-  
ლი იყო დაბურული და გაუვალი ტყით, რომელიც უამრავი  
ნადირით იყო სავსე. საქართველოს დედაქალაქ მცხეთაში  
მგდომი მეფეები ხშირად ნადირობდნენ ხოლმე ამ ტყეში.  
ერთხელ, აქ ნადირობდა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგა-  
სარი (გორგასლანი, ქართული გამოთქმით — გორგასალი). მე-  
ფის მონადირე ძალებმა ააფრინეს ხოხობი, რომელსაც  
გამოუდგა მეფის შავარდენი. მისი ბრძკვალებისაგან თავის და-  
საღწევად ხოხობმა გასწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგ-  
რამ შავარდენი მას არ მოეშვა და მალე ორივე ფრინველი ცის  
ლაყვარდში გაუჩინარდა. მეფემ და მისმა ამსლამ დაკარგულ  
ფრინველებს ძებნა დაუწყეს. კარგა ხნის შემდეგ ისინი ნახეს  
ერთ იქვე ახლო მყოფ ცხელ წყაროში. თურმე, შავარდენი  
ისეთი ძალით დასცემია ზემოდან ხოხობს, რომ ვერც ერთ მათ-  
განს თავი ვერ შეუმაგრებია, ორივე ჩავარდნილა ამ წყაროში  
და მის ცხელ წყალში მოხარშულა. მეფემ ყურადღებით დაა-  
თვალიერა იქაურობა და სამკურნალო თვისებების მქონე მრავ-  
ალი სხვადასხვა სიმბუტრვალის წყარო იპოვა.

აი, ამის გამო გადაუწყვეტია მეფეს ამ ადგილას დაეარსე-  
ბინა ქალაქი, რომელმაც თავისი სახელი სწორედ ამ თბილი  
წყლებისაგან მიიღო<sup>2</sup>.

ზედმეტად არ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქალაქ თბილის-  
ფაიტაკარანის მიდამოებში არსებული ცხელი წყაროების

<sup>1</sup> იხ. Сборник сведений о Кавказе, т. VI, Тифлис, 1880, стр. 269.

<sup>2</sup> იხ. Л. М. Меликсет-Беков, Тифлис, его основание и краткий исторический очерк, Тифлис, 1925, стр. 5.

სამკურნალო თვისებების შესახებ გადმოცემა შემონახულია შუა საუკუნეების სომხურ ლიტერატურაშიც. აი, იგიც:

„მაჯთარის მახლობლად ქალაქ ფაიტაკარანთან, ერთი ჩინებული თბილი წყაროა. იგი გონჯს, კეთროგანს, ეშმაკეულის მსგავსს, ან სხვა რომელიმე სატკივრით შეპყრობილს, დავრდომილებსა და სხვა ავადმყოფებს ჰკურნავს. მის შესახებ ჰყვებიან შემდეგს. იყო ერთი ყმაწვილი, რომელსაც ჰყავდა და ერთხელ ისინი შარაფის მხარეს მიდიოდნენ. უეცრად ამოვარდა ქარიშხალი, ამ ყმაწვილის და ჰაერში აიტაცა და ასე მიჰქონდა დაახლოვებით ერთი საათის განმავლობაში. ძმა კი ქვემოთ მისდევდა მას, მისთვის არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო, მხოლოდ იცრემლებოდა და გაიძახოდა „ვაი, ჩემო დაოო“. ქარიშხალი მოტყდა, ქალიშვილი მიწაზე დაეცა და სხეულის მთელი ნაწილები დაემტვრა. მაგრამ ძმამ იგი იმ წყალთან მიიყვანა და ისიც განიკურნა მეშვიდე დღეს“<sup>1</sup>.

თბილისის დამაარსებელი ქართველი მეფის სახელი არ იხსენიება ქართულ ხალხურ გადმოცემათა ზოგიერთ ვარიანტში, ზოგში კი თბილისის აღმშენებლობა მიეწერება ვახტანგ გორგასალს, რომელიც მეფობდა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს გადმოცემები წარმოშობით დაკავშირებულია ქართველთა პირველი მეფის ფარნაოზის (ფარნავაზის) სახელთან.

ზოგიერთ ქართულ წერილობით წყაროში დაცულ გადმოცემაში თბილისის სახელწოდება იხსენება უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. მაგრამ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ეს წერილობითი წყაროები ეკუთვნიან ბევრად უფრო გვიანდელ ხანას. მაგალითად, ერთი ასეთი გადმოცემა შემონახული აქვს XI საუ-

<sup>1</sup> სომხეთის სსრ მატენადარანი (ხელნაწერთა საცავი), ხელნაწერი № 4878, გვ. 185 — 185ა. მისი სხვა ვარიანტი იხ. Н. Марр, Сборники притч Вардана, часть III, СПб, 1894, стр. 172.

კუნის ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს თავის თხზუ-  
ლებაში, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება ქართველთა მეფე-  
თა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. ამ გადმოცემა-  
ში მოთხრობილია ქართველთა მეფის ფარნავაზის მიერ თბი-  
ლისის მიდამოებში განძის პოვნის ამბავი.

მოგვყავს მროველის ისტორიაში დაცული ამ ლეგენდის  
ის ადგილი, სადაც მოხსენიებულია ტფილის-თბილისის  
სახელი.

„იმავე დღეს, — ყველა მროველი, — (ფარნავაზი)  
გავიდა მარტოდ სანადიროდ. დაინახა ერთი ირემი  
ტფილისის ღელე-ღულეებში, ესროლა მას ისარი, და-  
ეცა ირემი კლდის ნაპრალში, და მიჰყვა მას. ჩავიდა  
მზე და დარჩა იქ ღამით. მოვიდა თოვლნარევი წვიმა  
და იძია ფარნავაზმა საფარველი. და ნახა იქ ძველი  
დროიდან ქვებით დახშული ერთი შესავალი, რომე-  
ლიც დარღვეული იყო. გაადო და ნახა ერთი ვრცელი  
გამოქვაბული ოქროსა და ვერცხლის განძით აღსავსე,  
გაეხარდა და მოაგონდა სიზმარი“.

*[აბუ ხ ნიქნ ათორნ ხლანქრ კირა მქაქნ, ლ ხთხა ხრქ მქ ხ  
ჩხეჩხათნ ნიქიხაყ ლ ხჩარ ფნა ნხთილ, ლ ანკაღ ხრქნ ხ  
კირნ მქ ქარი, ლ ზა ფქნხი ზირა ფნაყ; ხღ ხაილთ  
არხფაკნ ლ მნაყ ანფ ფქიქხერნ, ლ ხქნ ანბრღ ბქანა-  
ჩაინ, ლ ქანფქრ ფაინაქაფ რიქანხი. ლ ხთხა ანფ  
ქყხაღ ქარიამრქ მილთ მქ ხ რქნ ქამანსაკაყ, ლ ჭრ ქაქი-  
თხაღ. ლ რაყხაღ` ხთხა აქრ მქ რნფარბაკ, ქყხაღ ფანბქრქ  
ოსქიქინაღ ლ არბაქხიქინაღ. ლ ქანფაყხაღ` ქიქხაყ  
ფხრაფნაღ]¹.*

თუ ლეონტი მროველის ისტორიაში დაცულ გადმოცემას  
სარწმუნოდ მივიჩნევთ, გამოვა, რომ თბილისი როგორც და-  
სახლებული პუნქტი არსებობდა ჯერ კიდევ V საუკუნეზე  
ბევრად უფრო ადრე. მართლაც შეუძლებელი არაფერია იმა-  
ში, რომ თბილისი, სანამ იგი ციხედ ან ქალაქად გადაიქცეო-

¹ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 30.

და, დასახლებული ყოფილიყო. მაგრამ ასეთი დასკვნის გასაკეთებლად საკმარის საბუთები ჯერ არა გვაქვს. ამისთვის საჭირო იქნება ახალი მონაცემები\*.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორი უძლიერესი სახელმწიფო, სასანური სპარსეთი და ბიზანტია, ხანგრძლივსა და მძიმე ომებს აწარმოებდა ერთმანეთთან იმისათვის, რომ დაუფლებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებს — სომხეთს, საქართველოსა და ალბანეთს. მათი გამანადგურებელი მტრობის პირველი მსხვერპლი იყო სომხეთი: 387 წელს სპარსეთი და ბიზანტია საბოლოოდ შეთანხმდნენ სომხეთზე ბატონობის საკითხში; იმავე წელს ქტეზიფონის შეთანხმებით არშაკიდული სომხეთი გაიყო ორ ნაწილად. აღმოსავლეთი ნაწილი (დაახლოებით ოთხი მეხუთედი) სპარსეთის მფლობელობაში გადავიდა, ხოლო დასავლეთი ნაწილი ბიზანტიამ წაიღო. იმის შემდეგ, რაც სომხეთში საქმეები მოამთავრა, სპარსეთის სამეფო კარმა გადაწყვიტა განეხორციელებინა თავისი დამპყრობლური გეგმები საქართველოს მიმართაც. სპარსეთის სამეფო კარს განსაკუთრებით ის გარემოება არ აძლევდა მოსვენებას, რომ ქართველთა მეფე ვარაზ-ბაქარმა, ანუ, რაც იგივეა, ვარაზ-ბაკურმა (379 — 393 წწ.) მეგობრული ურთიერთობა დაამყარა და ზავი შეკრა ბიზანტიის კეისარ თეოდოსისთან. ვარაზ-ბაკურის სამეფოში შედიოდა შიდა ქართლი, ზემო ქართლის ერთი ნაწილი და კახეთი. სპარსელებმა მიზნად დაისახეს დაუფლებოდნენ საქართველოს, რომელიც მათ დიდად უღიზიანებდა მადას თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა თუ გეოგრაფიული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობით. სპარსელები დიდი ჯარით დაიძრნენ საქართველოზე, დალაშქრეს ქართლი, კახეთი და ემზადებოდნენ ქვეყნის დედაქალაქის,

\* ამჟამად ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით გადაწყვეტილია. არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მოპოვებულმა მასალამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ თბილისისა და მისი მიდამოების ტერიტორიაზე აღამიანი ცხოვრობს უკანასკნელი 5-6 ათასი წლის მანძილზე.

მცხეთის, ასაღებად. მაგრამ ქართველთა დედაქალაქის მცველ-  
მა ჯარმა მდგარი და გმირული წინააღმდეგობით საშუალებად  
არ მისცა სპარსელთა მხედართმთავარს ხვარ-ბორ-ზარდს  
სისრულეში მოეყვანა ეს განზრახვა. სპარსელებმა მცხეთის  
აღება ვერ შეძლეს. ხვარ-ბორ-ზარდი იძულებული იყო მოეხ-  
სნა მცხეთის ალყა და მისგან ოციოდე კილომეტრით დაშორე-  
ბულ საკმაოდ ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის მქო-  
ნე თბილისში გამაგრებულიყო. აქ ხვარ-ბორ-ზარდმა ციხე  
ააშენა.

ამრიგად, სპარსელებმა მცხეთის საწინააღმდეგოდ შექმნეს  
თავიანთი დასაყრდენი პუნქტი, რომელსაც შემდგომში, სხვა-  
დასხვა პოლიტიკურ გარემოებათა პირობებში, წილად ხვდა  
ქცეულიყო საქართველოს უმთავრეს ქალაქად და უდიდესი  
როლი შეესრულებინა არა მარტო საქართველოს, არამედ მთე-  
ლი ამიერკავკასიის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრე-  
ბაში.

ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ძვირფასი ცნო-  
ბებიდან ირკვევა, რომ პირველი სპარსელი პიტიანშეების დასა-  
ყრდენი, თბილისი, ქალაქად იქცა მხოლოდ მოგვიანებით,  
V საუკუნის ბოლოს, ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასალის  
დროს. სამწუხაროდ, ის წყაროები, რომლებიც ამის შესახებ  
მოგვითხრობენ, უფრო გვიანდელია, XI და შემდგომ საუკუ-  
ნეებს მიეკუთვნებიან. მაგრამ არავითარი საფუძველი არ არის  
იმისათვის, რომ იქვე შევიტანოთ ამ წყაროების დამაჯერებლო-  
ბაში. ისინი რომ ნდობის ღირსნი არიან, უკვე კარგა ხანია  
დამტკიცებულია ქართველოლოგიაში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის საყურადღებო და  
ძვირფას ცნობებს გვაწვდის ქართული საისტორიო მწერლო-  
ბის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეფე ვახტანგ  
გორგასალის ისტორიკოსი ჯუანშერი (XI საუკუნე). იგი პირ-  
დაპირ წერს:

„ვახტანგმა საფუძველი დაუდვა ქალაქ ტფილისს და აგებ-  
და მას მხნედ“.

[*ახს არჩხაქ ღერ ქახიშანჲ ჯიან გარღაჲინ შიქსხაყ ს ჯი-  
ნჯერ ყნა ძიოიშხამჲ*]<sup>1</sup>,

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 184.

საყურადღებოა, რომ ქართული წყაროს ეს ცნობა მტკიცედება აგრეთვე სომხური წერილობითი წყაროების მეშვეობით მდებარეობს. ერთი ასეთი ცნობათაგანი შემონახულია XI<sup>1</sup> საუკუნის მემატიანის მხითარ აირივანელის „ქამთაღმწერლობაში“. იქ დაცულ და ჩვენამდე მოღწეულ სხვა სიათა შორის არის აგრეთვე ქართველ მეფეთა სიაც, რომელიც მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო საკითხის ახსნისათვის. როგორც ჩანს, სომეხ მემატიანეს ხელთაჰქონდა ქართული საისტორიო მწერლობიდან აღებული უძველესი ცნობები. ამ ცნობებზე დაყრდნობით მას აუცილებლად ჩაუთვლია რამდენიმე ქართველი მეფის სახელის გასწვრივ გაეკეთებინა მინაწერები, რომლებიც აღნიშნავენ ამ მეფეთა დროს მომხდარ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს. ასეთი მინაწერი-განმარტება ამ სიაში გვხვდება ოთხი მეფის სახელის გასწვრივ.

აი, ისინიც:

„ფარნავაზ, — პირველი მეფე“, „ანდრიკ — (რომლის დროს) დაიბადა ქრისტე“, „მიპრან, — ამან ნუნეს ქადგებით იწამა ქრისტე (ქრისტიანობა მიიღო)“ და „ვახთანგ, — ამან ააშენა თბილისი“.

[*Φωκινάκης ἁγιαζὴν βιαγατορ*, «*Σκηρτικ—Φριχათი ბნაω*», «*Μητρίαν — σα ἱααααααααα ἰ Φριχათი ἰ ἰონεσῆα ἡα-რიουβხამ*» *և* «*Վախխանգ—սა ἡΣϕխխა ἡჩხხხა*»]<sup>1</sup>.

საინტერესოა მხითარ აირივანელის მიდგომა ამ საკითხისადმი:

თბილისის დაარსება მას ისეთ საყურადღებო ფაქტად მიუჩნევია, რომ ქრისტეს დაბადებისა და ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად მოიხსენიებს. ხოლო ამ უკანასკნელთ, ცხადია, მისთვის, როგორც საეკლესიო ისტორიკოსისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდათ.

<sup>1</sup> მ ხ ი თ ა რ ა ი რ ი ვ ა ნ ე ლ ი, ქამთაღმწერლობა, ქ(ე რ ო ბ ე) 3 (ა ტ კ ა ნ ო ვ ი ს) გამოცემა, ს.-პეტერბურგი, 1867, გვ. 22 (სომხურ ენაზე). [მდრ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, დანართი, გვ. 259 — 261. რედ.]

ამრიგად, სომხური ლიტერატურული წყარო მხარს უჭერს ქართულ მატრიანეებსა და ხალხურ გადმოცემებში დაცულ ცნობას იმის შესახებ, რომ თბილისი დაარსებულა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასალის დროს.

ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენელს, ბატონიშვილ ვახუშტის, უეჭველია, ხელთ ჰქონდა უძველესი ისტორიული ცნობები, რომლებიც უფლებას აძლევდნენ მას, ეთქვა შემდეგი:

„(თბილისი) არამედ პირველ იყო დაბა. კზ მეფის ვარაზ-ბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შუარისციხე მცხეთისათვის ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად გორგასალ დადვა საფუძველი, დაჩიმ, ლდ მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა“<sup>1</sup>.

3. იოსელიანს მიაჩნია, რომ თბილისის დაარსება მოხდა უფრო გვიან, 455 წელს, მეფე ვახტანგ გორგასალის დროს. ისტორიულ მონაცემებზე, კერძოდ კი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტის მიერ გადმოცემულ ცნობებზე დაყრდნობით, იგი შენიშნავს: „თბილისის ირგვლივ მყოფ მალლობებზე ჯერ კიდევ ვახტანგამდე იყო სიმაგრეები, რომლებიც აქ შეენებინათ სპარსელებს, მირდატის ძის ვარს-ბაქარის დროს, რომელიც მეფობდა 379 წლიდან 393 წლამდე“<sup>2</sup>. მაგრამ ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხე სპარსელების ხელში დიდხანს არ დარჩენილა. მალე სპარსეთის სარდალი ხვარ-ბორ-ზარდი სპარსეთში გაიწვიეს. ქართველებმა ისარგებლეს ხელსაყრელი შემთხვევით და დაუყოვნებლივ ხელთ იგდეს ეს ციხე, რომელიც აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა მცხეთას. ამით მათ უზრუნველყვეს დედაქალაქის უშიშროება.

სპარსეთის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის საქართველოსთვის წარმოებულ ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში. ამ სასტიკი ბრძოლების დროს ქართლი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ქართლის მე-

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941 წ. 83-82.

<sup>2</sup> П. Иоселвани, Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866, 83. 10.

ფეხები მუდამ კონკრეტული ვითარებიდან გამოდიოდნენ და ითვალისწინებდნენ იმას, რა უფრო სასარგებლო იყო ქვეყნისათვის. ამიტომ ისინი ხან სასაზღვრო სპარსეთს უჭერდნენ მხარს, ხან კი ბიზანტიას. ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლების შემდეგ სპარსეთის სამეფო კარმა შეძლო დაეჭვებდებარებინა ქართლი თავისი ხელისუფლებისათვის. ქართლის მეფე, როგორც სპარსეთის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ქვეყნის გამგებელი, ვასალურ დამოკიდებულებაში იყო სპარსეთის მეფესთან, რომელიც მისი უმაღლესი სიუზერენი გახდა. მეფეთმეფე საქართველოში ნიშნავდა თავის წარმომადგენელს, პიტიახშს, რომლის მოვალეობაში შედიოდა ისიც, რომ მას მუდმივად უნდა ედევნებინა თვალი ქართველთა მეფის ქცევისა და პოლიტიკური განწყობილებისათვის. სპარსელი პიტიახში მხოლოდ სპარსეთის მეფეთ-მეფეს ემორჩილებოდა. ამ პერიოდში ქართლის დედაქალაქი და მეფეთა სამყოფელი ადგილი ისევ მცხეთა იყო. იგი ამავე დროს საეკლესიო მართველობის ცენტრსაც წარმოადგენდა. სპარსელმა პიტიახშებმა კი თავიანთ ადგილსამყოფელად აირჩიეს მცხეთიდან არც თუ მოშორებით მდებარე თბილისი, საიდანაც ადვილად ადევნებდნენ თვალყურს ქართლის მეფეთა მოქმედებას და, ამავე დროს უშიშრად გრძნობდნენ თავს. „საყურადღებოა, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — რომ სპარსთა მეფის წარმომადგენელი ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქში კი არ დასახლებულა, სადაც ქართველთა მეფესა ჰქონდა ფეხი მოკიდებული და თითონ იგი იქ უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, არამედ თბილისში, ახალს ქალაქში, სადაც იგი სრულებით თავისუფლად იგრძნობდა თავს და ამასთანავე კავკასიის სხვა დანარჩენ სპარსთა მეფის საყმოს ქვეყნებზედაც, — სომხეთსა, სივნიეთსა და გუასპურაგანზე, — უფრო ახლო იქნებოდა. ამ ახალს, სპარსთა ზღუდელ ქვეულს ქალაქ თბილისში ჰქონდა ბინა სპარსთა მეფის მარზპანს მეექვსე საუკუნის პირველს ნახევარში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბილისი, 1951 წ., გვ. 279.

თბილისის შემდგომი ამაღლებისა და წინსვლის სწორად გაგებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც, უეჭველია, ხელს უწყობდა ამ განვითარებას. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თბილისს განსაკუთრებით ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა. იგი შემორჩალული იყო მაღლობებით, სადაც შეიძლებოდა მიუდგომელი ციხეების აგება და შედარებით მცირერიცხოვანი ჯარებით გამაგრება. ეს გარემოება კი თავდაცვის თვალსაზრისით ყოველ ციხესა და ქალაქს გადამწყვეტ უპირატესობას აძლევდა. თბილისის განვითარებისა და მისი მნიშვნელობის გაზრდის საქმეში არსებითი როლი შეასრულა აგრეთვე მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც. თბილისი მდებარეობდა ქართლისა და სპარსეთის დამაკავშირებელ მთავარ გზაზე, რომლითაც წარმოებდა ალემბიცილობა და ყოველგვარი სახის სხვა კავშირი. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ მტკვარი სანაოსნო იყო, იქმნებოდა ფართო შესაძლებლობა შავი და კასპიის ზღვებს შორის ცხოველი სავაჭრო ურთიერთობის გაჩაღებისა. მტკვარი ევრაზიული ალემბიციცილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენდა. თბილისი მდებარეობდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მნიშვნელოვან სახმელეთო გზების შესაყარზე. გარდა ამისა, თბილისში, მტკვრის ყველაზე ვიწრო ადგილას, გადებული იყო ამ მდინარის ორივე ნაპირის შემაერთებელი ხიდი.

სპარსეთის ბატონობის ხანაში სპარსეთის მეფის წარმომადგენლის რეზიდენციის, თბილისის, მნიშვნელობა თანდათან ისე გაიზარდა, რომ იგი სერიოზულ კონკურენციას უწყევდა მცხეთას. მარზპანობის ეპოქაში თბილისის მნიშვნელობა იზრდება არა მარტო ქართლის (იბერიის), არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამტკიცებულად ითვლება, რომ თბილისის ზღუდის მშენებლობა დაიწყო ვახტანგ გორგასალმა და დაამთავრა მისმა შვილმა, დაჩიმ, რომელმაც თბილისი იბერიის დედაქალაქად აქცია VI ს. დასაწყისში.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ძველი

ბერძენი ავტორები სტრაბონი, პტოლემეოსი იბერიის დედაქალაქად მცხეთას იცნობენ. თბილისმა მხოლოდ შემდგომში შესცვალა მცხეთა. როდის უნდა მომხდარიყო ეს შესცვლა, კითხულობს ჯავახიშვილი და თვითვე პასუხობს:

„ევსტატე მცხეთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ იმ დროს, მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქად უკვე თბილისი ითვლებოდა“<sup>1</sup>.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს დედაქალაქის ეს შესცვლა საკვირველად არ მიაჩნდა: „ან რა გასაკვირველია, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — როცა მეფობა გაუქმდა, უპირატესობა უექველია თბილისს მიენიჭებოდა იმიტომ, რომ იქ ცხოვრობდა მარზაპანი, იქვე იყვნენ ის ქართველი მთავარნი, რომელთა ხელშიც იყო ქვეყნის შინაური მართვა-გამგეობა.“

ხოლო რაკი ქვეყნის უზენაესი მართვა-გამგეობა თბილისში გადავიდა, მკვიდრნიც და მოქალაქენიც თანდათან მცხეთიდან თბილისში გადასახლებულან, „მცხეთა ათხელებულა“ და დაცემულა, თბილისი კი გაზრდილა, აშენებულა და V ს. აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქად ქცეულა“<sup>2</sup>.

შემდეგ ჯავახიშვილი აგრძელებს: „მაგრამ ამ მიზეზებს გარდა შესაძლებელია სხვა გარემოებასაც ხელი შეეწყო დედაქალაქის გადატანისათვის. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ დასავლეთ საქართველოშიაც ძველი დედაქალაქი გაუქმდა და აღმოსავლეთისაკენ იყო გადმოტანილი. იქნებ აქ ერთი რაიმე საზოგადო მიზეზი მოქმედებდა?...“<sup>3</sup>



თბილისი ძველ სომხურ წყაროებში VII საუკუნის დამდეგიდან იხსენიება<sup>4</sup>. VII საუკუნის სომეხი ავტორებიდან

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გვ. 278.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 279.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 279 — 280.

<sup>4</sup> საპიროდ მიგვჩინია აღენიშნოთ, რომ თბილისის ისტორიაზე მომუშავე ზოგი სპეციალისტი გაუგებრობაში ვარდება, უმთავრესად მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ძველი სომხური წყაროებით სარგებლობის დროს. ასე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ერთ-ერთ თავის

თბილისს ახსენებენ ანანია შირაკელი, მოსე კალანკატუელი და სეპეოსი.

თბილისის შესახებ სომხური წერილობითი ცნობებიდან უძველესად უნდა ჩაითვალოს VII ს-ში მცხოვრები გამოჩენილი სომეხი მეცნიერის, ასტროლოგის, მათემატიკოსის, კალენდართმცოდნისა და გეოგრაფოსის ანანია შირაკელის შრომებში დაცული ცნობები. ტფილის-თბილისი „ტფხიქ“ ფორმით შირაკელის შრომებში იხსენიება ორჯერ. ერთხელ — მის „გეოგრაფიაში“, სადაც შირაკელი ჩამოთვლის აზიის ქვეყნებს, რომლებშიც ოცდამეხუთედ ასახელებს „ვერიას“, „ესე იგი ვირქ“-ს, შემდეგ საქართველოს ოლქებს, და ბოლოს, ქალაქებს, რომელნიც სულ სამია რიცხვით.

„...ქართველთა ქალაქებია ტფილისი, სამშვილდე, მცხეთა...“

[...ახს. გაღაპ ქრავ შიქსიქ, შამიიქ, შბქსქი...]<sup>1</sup>.

საყურადღებოა, რომ ქართლის ქალაქებს შორის შირაკელი თბილისს პირველ ადგილზე იხსენიებს, მცხეთას კი მესამეზე.

შრომაში წერდა, თითქოს თბილისს ახსენებდეს V საუკუნის სომეხი მწერალი მოსე ხორენელი, იხ. Дмитрий Бакрадвей Николай Берзенов, Тифлис в историческом и этнографическом отношении, СПб, 1870, стр. 20. სამწუხაროდ, ეს გაუგებრობა გაიმეორა ზოგიერთმა სხვა მკვლევარმა შემდგომშიც. გაუგებრობის საფუძველი, როგორც ჩანს, იყო ერთ დროს არმენოლოგიაში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ის მცდარი აზრი, რომ ხორენელი არის ავტორი „გეოგრაფიისა“, რომელშიც თბილისი, მართლაც, იხსენიება როგორც იბერიის დედაქალაქი. მაგრამ, ამჟამად, არმენოლოგიაში საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ „გეოგრაფია“ ეკუთვნის არა მოსე ხორენელს, არამედ VII ს-ის სახელგანთქმულ სომეხ მეცნიერს, ანანია შირაკელს. ხოლო V ს-ში მცხოვრები „ისტორიის მამა“ — მოსე ხორენელი, რომელიც თავის წიგნში ქართველი ხალხის ისტორიისათვის ესოდენ უხვ და ძვირფას ცნობებს გადმოგვცემს, სამწუხაროდ, ერთხელაც კი არ ახსენებს ქალაქ თბილისს. იმავე შრომაში დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე ს X ს. ისტორიკოსი უხტანესი გაუგებრობით VI ს. ისტორიკოსად უქცევია და იმ სომეხ ისტორიკოსების რიგში შეუყვანია, რომლებსაც თბილისის შესახებ პირველი ცნობები მოეპოვებათ. იხ. იქვე.

<sup>1</sup> პროფ. დ-რი აშ. ა ბ რ ა ჰ ა მ ი ა ნ ი, ანანია შირაკელის „ნაწერები“, ერევანი, 1944, გვ. 348 (სომხურ ენაზე).

ეს გვიჩვენებს, რომ უკვე ანანია შირაკელის დროს, VII ს-ში, თბილისის პირველობა წაურთმევეია მცხეთისთვის. თბილისისა შირაკელთან მეორედ გვხვდება „იტინერარიებში“, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მისი „გეოგრაფიის“ გაგრძელებას. „იტინერარიებში“ ავტორი იძლევა არსებულ მანძილებს ქალაქებს შორის მიღებში და, სხვათა შორის, წერს: „ღვინიდან კოლბამდე 50 მილია, იქიდან კოტაგელევამდე 120, იქიდან ტფილისამდე 140, იქიდან ჰუნარაკერთამდე 70, იქიდან ბარდავამდე 100“.

[*«Ի Դուռնա ի Կողբ Մ, անտի ի Կոտագեղեն շ՛, անտի ի Տիփսիս շ՛, անտի ի Հունարակերտ Հ. անտի ի Պարտաւ շ՛»*]<sup>1</sup>

თბილისს, უკვე „ტფხის“ ფორმით, ორჯერ ვხვდებით VII ს. სომეხი ისტორიკოსის სებეოსის „ისტორიაში“, ორივეჯერ VI ს. ბოლოს მომხდარ ამბებთან კავშირში. პირველად, ქართველთა დედაქალაქის სახელი იხსენიება სპარსთა მეფის ხოსროს მიერ ბიზანტიის კეისარ მავრიკიოსთან მიწერილ წერილში, რომლითაც გაჭირვებაში ჩავარდნილი ხოსრო თხოულობს კეისრისაგან მამუელ ჯარს, რათა თავის მტრებთან ანგარიში გაასწოროს და მამისეულ ტახტს დაეუფლოს. სამავგიეროდ იგი კეისარს სხვადასხვა ქვეყნის მიცემას ჰპირდება:

„მოგცემ ასურეთის მხარეებს, მთელს არვასტანს ქალაქ ნიზიბინამდე, სომხეთიდან სატანუტერო ქვეყანას აირატატსა და ქალაქ ღვინამდე, და ვიდრე ბზნუნების ზღვის ნაპირამდე და არესტის დაბამდე, აგრეთვე ქართლის ქვეყნის უდიდეს ნაწილს ქალაქ თბილისამდე“.

[*«Եւ տաց քեզ զԿողմանս Ասորոց—զԱրուսատանն ամենայն մինչև ի Մծքին քաղաք, և երկրէն Հայոց՝ զաշխարհն Տանուտերական իշխանութեանն մինչև ցԱյրարատ և ցԴուին քաղաք, և մինչև ցեղը Թուլուն Բզնունեաց և ցԱռեստ ական և զմեծ մասն Վրաց աշխարհին՝ մինչև ցՏիփսիս քաղաք...»*]

<sup>1</sup> ანანია შირაკელი, ნაწერები, გვ. 355 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> სებეოსი, ისტორია, ხელნაწერები შეაჯერა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო სტ. მალხასიანცმა, ერევანი, 1939, გვ. 37 (სომხურ ენაზე).

სებეოსთან თბილისს მეორეჯერ ვხვდებით იმ ადგილას, სადაც ავტორი გვიამბობს, თუ როგორ შეასრულა დანაპირები ხოსრომ და მისცა მავრიკიოსს აღთქმული მიწები მისგან მღვდელთა და მღვდელთა სასახლეების სასახლეებს. ამ ქვეყნების რიცხვში მან „მისცა აგრეთვე უდიდესი რაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდე“.

[*ახო ს გამბ მასს ღრავ აქსარჩის ძინჯს ეძიქსიჲ დაჲ*]<sup>1</sup>.

თბილისის შესახებ უფრო ვრცელსა და ძვირფას ცნობებს ვხვდებით VII ს. მეორე სომეხი მემატიანის მოსე კალანკატუელის „აღვანთა ქვეყნის ისტორიაში“. ისინი შეეხებიან ბიზანტიელ-ხაზართა ლაშქრობებს საქართველოსა და თბილისზე 625—627 წლებში და მათს მომდევნო ამბებს. მოსე კალანკატუელთან შემონახული ამ ცნობების შესახებ სათანადო ადგილას ვრცლად ვილაპარაკებთ. ამჯერად მხოლოდ შევნიშნავთ, რომ VII საუკუნის ავტორი მოსე კალანკატუელი თბილისის შესახებ დიდის აღტაცებით ლაპარაკობს. მის მიერ თბილისისათვის მიკუთვნებული ეპითეტები გვიჩვენებენ, რომ ქართველთა დედაქალაქი უკვე VII საუკუნეში დიდი სახელით სარგებლობდა და, როგორც ჩანს, სომეხი ავტორისთვის ცნობილ ერთ-ერთ თვალსაჩინო სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა. კალანკატუელი თბილისს „ნატიფ“, „სავაჭრო“, „სახელგანთქმულ დიდ ქალაქ ტფილისს“ უწოდებს<sup>2</sup>.

უნდა ითქვას, რომ ქართველთა დედაქალაქის შესახებ სომხურ ლიტერატურაში არსებული ეს ცნობები თბილისის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენენ უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ისინი იძლევიან ავტორების, VII ს-ში მცხოვრებ, თანადამხდურ ადამიანთა მოწმობები, რომელთა დამაჯერებლობა სავსებით სარწმუნოა და უეჭველი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> სებეოსი, ისტორია, ხელნაწერები შეაჯერა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო სტ. მალხასიანცმა, ერევანი, 1939, გვ. 47 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> მოსე კალანკატუელი, აღვანთა ქვეყნის ისტორია, თბილისი, 1912, გვ. 156 (სომხურ ენაზე).

<sup>3</sup> საყოველთაო აღიარება პოვა იმ ეტიმოლოგიამ, რომლის მიხედვი-

საქართველოს უძველესმა დედაქალაქმა თბილისმა ვეკლით სავსე გზა გაიარა. იგი მონაწილე იყო ქართველი ხალხისა და საქართველოს თავზე დამტყდარი თითქმის ყველა უბედურებისა. უბედურება და გაჭირვება, ძარცვა და აოხრება, ხოცვა-ჟლეტა და ტყვეობა თბილისის ისტორიის მუდმივი თანამგზავრნი იყვნენ საუკუნეთა განმავლობაში. მისი ბედი მშობლიური ხალხის ბედი იყო, სავსე ათასი გაჭირვებითა და სიმწარით, ათასი მოულოდნელობით, მრავალი ვნებითა და სურვილით. ამ სასწაულებრივი ქალაქის ისტორია მძიმე ჭირთა დაუსრულებელი ჯაჭვი იყო. საქართველოსთან ერთად საუკუნეთა განმავლობაში თბილისიც ბევრს ეწამა, რადგან ქვეყანაზე მტრის თავდასხმის მთავარი სიმძიმის გადატანა ხშირად სწორედ მას უხდებოდა. მართლაც, თბილისი ხშირად დახვედრია ველური ურდოების მძვინვარე თავდასხმათა მთავარ დარტყმებს და ამით ქვეყნისთვის განმზადებული განსაცდელი შეუმსუბუქებია. ბევრი რამ გადაიტანა საუკუნეთა განმავლობაში ამ ქალაქმა, ბევრი გაჭირვებაც ნახა, მაგრამ არასოდეს არ შემდრკალა და მუდამ იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებელი არსებობის წმინდა უფლებისათვის. სწორად შენიშნავდა პლატონ იოსელიანი, რომ „ჭირნი, რომელნიც გადაიტანა თბილისმა სხვადასხვა ხალხებისაგან, თანადროულნი არიან მისი არსებობისა“-ო<sup>1</sup>.

თაც სახელი თბილისი წარმოიშვა სიტყვიდან თ ბ ი ლ ი, ცხელი სამკურნალო მინერალური წყლების სახელიდან. მაგრამ - ზოგიერთი მკვლევარი თბილისის სახელს სხვა ეტიმოლოგიას უძებნის და მას სატომო სახელ „თუბალ“-ს უკავშირებს. ამის შესახებ იხილე, მაგ., Л. М. Меликсет-Беков, Тифлис, его основание и краткий исторический очерк, стр. 18. თ ო მ ა არ წ რ უ ნ ი დ ა ნ დაწყებული ზოგიერთი სომხური წყარო — ფსევდო-შაპუ ბ ა გ რ ა ტ უ ნ ი, ჰ ო ვ ა ნ ე ს ე რ ზ ი ნ კ ე ლ ი, თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი და სხვ.—თბილისის ეძახის ფაიტაკარანსაც. ან ტფის - ფაიტაკარანს. თბილისის ფაიტაკარანის სახელით ხსენებას ჩვენ გვხვდებით უფრო გვიანაც, XVII ს. დასასრულის წყაროებშიც.

<sup>1</sup> П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, стр. 12.

VI ს. დასასრულსა და VII ს. დასაწყისში თბილისი უკვე წინანდელი პატარა და უმნიშვნელო დასახლებული პუნქტი როდი იყო. მოკლე ხანში, ხელსაყრელი პირობების წყალობით იგი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქად იქცა და სახელიც სწრაფად გაითქვა. X ს. სომეხი ისტორიკოსი უხტანესი, რომელიც მხარს უჭერს VII ს. ისტორიკოსს სებეოსს, VI ს. დასასრულსა და VII ს. დასაწყისის ისტორიული ამბების აღწერისას თბილისის შესახებ ამბობს შემდეგს:

„საოცრად ნაგები და საკვირველი, სახელგანთქმული და გამოჩენილი დიდი დედაქალაქი ტფილისი“<sup>1</sup>.

საესებით ბუნებრივია, რომ ეს „საოცრად ნაგები და საკვირველი“ ქალაქი უცხო დამპყრობთა ყურადღებას იქცევდა და მრავალგზის განიცდიდა მათ თავდასხმებს.

თბილისისათვის წილხვდომილი ერთი ასეთი უბედურების, 625—627 წლებში მომხდარი ტრაგედიის, სრული და სურათოვანი აღწერა შემოუნახავს ამ ამბების თანამედროვეს, VII ს. გამოჩენილ სომეხ ისტორიკოსს მოსე კალანკატუელს თავის თხზულებაში „ალვანთა ქვეყნის ისტორია“<sup>2</sup>.

სპარსეთ-ბიზანტიის ჭიშობა ამიერკავკასიის ქვეყნებზე ბატონობისათვის VI—VII საუკუნეებშიც გრძელდებოდა. მართალია, ორივე მოწინააღმდეგე სახელმწიფომ 532 წელს დადევს ზავი, რომელსაც „საუკუნო“ დაარქვეს, მაგრამ ეს „საუკუნო“ ზავი ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მტრობა და ომი კიდევ უფრო გაძლიერდა ბიზანტიის კეისარ იუსტინიანესა (527—566) და სპარსეთის მე-

<sup>1</sup> ეპისკოპოსი უხტანესი, სომხეთის ისტორია, ვაღარშაპატი, 1871, ნაწილი მეორე, გვ. 34 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> საპიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ საოცარი გაუგებრობის შედეგად, კალმის ერთი მოსმით, ეს გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსი ტომით ალვანელად გადაუქცევიათ. ამ სამწუხარო გაუგებრობამ თავი იჩინა ისეთ ავტორიტეტულ წიგნშიც კი, როგორცაა ნ. ბერძენიშვილის, ი. ვ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით გამოსული „საქართველოს ისტორია“, ნაწილი I, თბილისი, 1948, გვ. 137, სადაც მოხსენებული „ძველი ალბანელი ისტორიკოსი“ სხვა არაფერია, თუ არა ალვანეთის სახელგანთქმული სომეხი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი.

3. ვ. ს. ნალბანდიანი

საქართველოს  
ისტორიის  
ინსტიტუტი

ფეთ-მეფის ხოსრო ანუ შირვანის (531—579) დროს. დაწყებული 542 წლიდან ომი ახალი ძალით გაჩაღდა. VI მემკვიდრე მეოთხედში ბიზანტიელებმა შეძლეს სპარსელების გაძევება ლაზიკიდან და იქ ფეხის მოკიდება. 591 წელს ისევ დაიდო ზავი, რომლის ძალითაც ბიზანტიის ხელში გადავიდა მნიშვნელოვანი ნაწილი სომხეთისა და ქართლის ერთი ნაწილი თბილისამდე. ქართლის დანარჩენი ნაწილი ქალაქ თბილისთან ერთად სპარსელებს ჯერ კიდევ მტკიცედ ეჭირათ ხელში. ბიზანტია-სპარსეთის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა VII ს. დასაწყისიდან, როდესაც სპარსეთის ტახტზე დაჯდა ხოსრო II, რომელსაც მოპოვებულ განარჯვებათა გამო „ფარვიზს“ (გამარჯვებულს) ეძახდნენ. „აღმოსავლეთის ლომი“, როგორც მას მოსე კალანკატუელი უწოდებს, ხანგრძლივი და სერიოზული მომზადების შემდეგ დაიძრა ბიზანტიის წინააღმდეგ. რამდენიმე წლის შეუპოვარი და გადამწყვეტი ბრძოლების შედეგად მან შეძლო 591 წლის ზავით დაკარგული მიწების დაბრუნება. მაგრამ იგი არ დაკმაყოფილებულა მიღწეულით, ომი გააგრძელა და დაიპყრო იერუსალიმი, ეგვიპტე, ხოლო 617 წელს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლის გარეუბანი ქალკედონიც კი. ბიზანტიის იმპერია, თითქოს გარდუეალი კატასტროფის წინაშე იდგა, მაგრამ სწორედ ამ კატასტროფის საფრთხემ გამოაფხიზლა ბერძნები. ჰერაკლე კეისარი დიდის გულმოდგინებით შეუდგა თავისი ჯარების მომზადებას ხანგრძლივი და გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. ამ საქმეში მას დიდად ეხმარებოდა ბიზანტიის ეკლესია, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა „საღვთო“ ხასიათი ნიეცა ამ ომისთვის, რადგანაც ომის მიზნად მას ქრისტეს იმ ჯვრის განთავისუფლება მიაჩნდა, რომელიც წარმართთა მიერ დაპყრობილ იერუსალიმში იყო.

622 წელს კეისარმა ჰერაკლემ დაიწყო ომი სპარსეთის მეფის ხოსრო ფარვიზის ჯარების წინააღმდეგ. ეს ომი გაგრძელდა ხუთ წელიწადს. 625 — 627 წლების სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად იქცა ამიერკავკასიის ქვეყნები. გამარჯვების უზრუნველსაყოფად ჰერაკლე იძულებული იყო, მოკავშირე მოეძებნა. დიდი ნადავლისა და სიმდიდრის დაპირებით მან შეძლო შეეკრა კავშირი კავკასიის მთების გადაღმა კასპიის

ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებზე მცხოვრებ მომთაბარე ხაზარებთან. ხაზარები თითონაც მოწყურებულნი იყვნენ სისხლის ღვრასა და ძარცვა-გლეჯას და პერაკლეს წინადადება მოვლებით მიიღეს.

აი, რას მოგვეთხრობს მოსე კალანკატუელი:

„პერაკლეს ბრძანებით ხაზარები დიდი სიმრავლით დაიბრუნნენ ჩვენს ქვეყანაზე სალაშქროდ“.

[«*Սաստիկ ամբոխիւ ելին իսպիրք ասպատակել յաշխարհս մեր՝ հրամանսւ Հերակիւ*»]:<sup>1</sup>

ხაზარების ველურმა ბრბოებმა საშინლად ააოხრეს ამიერ-კავკასიის ქვეყნები, გამსაკუთრებით კი ალვანეთი. დიდმა ნადავლმა კიდევ უფრო გააღიზიანა ხაზარების მადა.

როდესაც ხაზართა ხაკანმა ჯიბლუმ შეიტყო პირველი წარმატების შესახებ, გადაწყვიტა თვითონ წასულიყო ამიერ-კავკასიაზე და პირადად ჩასდგომოდა სათავეში ახალ ლაშქრობას.

„შემდეგ, — წერს სომეხი ისტორიკოსი, — როდესაც მათმა მთავარმა იხილა სიმრავლე ნადავლისა, კაცთა და პირუტყვთა, ოქროს ჭურჭლისა და ძვირფას სა-მოსთა, განიზრახა თვითონ წასულიყო იმ მხარეებში. შემდეგ შეატყობინა ყველას, ვინც მის ხელქვეით იყო, თითოეულ ტომსა და ხალხს, მთისა და ბარის მცხოვრებლებს, ბინადარსა და მომთაბარეს, ზღვისა და ხმელეთის, თავგადაპარსულეებსა და გრძელთმიანებს, რომ მის ჩიშანზე სავსებით მზად ყოფილიყვნენ. არავის შეეძლო მისი ჯარის სიმრავლის დათვლა. როდესაც ამ საშინელმა ამბავმა ალვანთა ქვეყანას მოაღწია, [შეიკრიბნენ] დიდ დედაქალაქ პარტავაბერდში და [გადასწყვიტეს] ჩვენი ქვეყნის დაცვა“.

[«*Ասպա իբրև ხոնս իշխան տէր նոցա զայն ամենայն աղխ գերութեան աւարաց, մարդոյ և անասնոյ և անօխոց ոսկեղինաց և հանգերձից պատուականաց, խորհեցաւ ի մտի իւրում՝ յայնմ կոյս ինքն իսկ իւրովի գալ ելանել: Ազգ*

<sup>1</sup> მოსე კალანკატუელი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 151 (სომხურ ენაზე).

აიხსენს აქნილობის ამხნევიან ირე რნე ღხიამე ჩუიქ ქქს  
იიჩამე თიჩამე ს ადყაყ ადყაყ` ლინსაკანსაყ ს  
კანსაყ` კარკარნსაკაყ ს` რაყიქსკაყ` ბიქამქსაყ ს ყა-  
მარქანიყ` ყქსადერბთაყ ს ყქსათორაყ, ყქ რნე აქსარქსქ  
ნორა` აყნყსაკაყმ აყათრასათსკანს ყთანქყქს... ს ღჩამარ  
პ. აქარიანი, სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონი, ტომი IV, გვ. 350  
(სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> მოსე კალანკატუელი, აღვანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 380  
(სომხურ ენაზე), სტეფანოს ტარონელი ასოლიკი, მსოფლიო  
ისტორია, გვ. 109 (სომხურ ენაზე) და სხვა.

ნი არ სცნობდნენ ხალიფთა ხელისუფლებას. როგორც სომეხნი ისტორიკოსი ამბობს:

„ისინი ცხოვრობენ მთის სიმაგრეებში, უზრუნველნი ლად, დამშვიდებულნი გარეშე მტრების საფრთხისაგან. სამეფო ხარკი და გადასახადი მათთვის რჩებათ: თავიანთი თავის განმგებელად მხოლოდ ერთ კაცს აყენებენ თავიანთივე სურვილის მიხედვით. ისინი ერთსულოვნად და ერთობით არიან, და ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდით“.

[«...*Սոքս բնակին յամիրս լիննականս, յանհոգս խաղաղացեալք յարտաքին թշնամեաց, և հարկ և հասք արքունի ի յինքեանս մնակով, միայն զմի ուն կացուցանեն տիրել ի վերայ իրեանց ըստ կամս անձանց իրեանց, և միաբան և միախոհ կան և կեան առ միմեանս...*»]<sup>1</sup>.

ცხადია, ასეთი დამოუკიდებელი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი ადვილად არ დამორჩილდებოდა და არ დასთმობდა თავისუფალ ცხოვრებას. გულადი და თავისუფლებისმოყვარე წინარები თავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაებნენ და დაამარცხეს კიდევაც ბულა, რომლის ჯარები, როგორც თომა არწრუნის ამბობს, „გაბრუნდნენ სირცხვილელნი, გაწბილებულნი, სასაცილოდ აგდებულნი და ძლიერ დაჩეჩქვილნი“.

[«...*Դարձան կորակնեալք ամօթալից խայտառակեալք, լի ծանականօք և մեծ բեկմամբ*»]

ბულას ამ დამარცხებამ წინარეთში საბოლოოდ დასცა არაბთა გავლენა საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების თვალში. მართალია, ბულამ ამის შემდეგაც შეძლო ისევ აეობრებინა ალვანეთი, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ არაბულ იარაღს ძველი ბრწყინვალეობა აღარ ჰქონდა.

<sup>1</sup> თომა არწრუნის, არწრუნთა სახლის ისტორია, გვ. 286 — 287, (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 289.



ბუღას ლაშქრობების შემდეგ, უფრო კი X საუკუნის წყისიდან, როდესაც სახალიფოში ისევ გაძლიერდა შინა ომი, კიდევ უფრო დასუსტდა სახალიფოს გავლენა საამიროებზე, განსაკუთრებით კი განაპირა ქვეყნებზე. იქ სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა დაპყრობილი ხალხების განმსათავისუფლებელი ბრძოლა. ძალიან მრეობამ, აოხრებამ, თავდასხმებმაც, ტყვედ წასხმამ, ცეცხლმა და მახვილმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა და სარწმუნოებრივმა შევიწროებამ ვერ შეძლო ჩაეკლა ხალხების თავისუფლების მოყვარე სული. კარგად აქვს ნათქვამი X ს. არაბ გეოგრაფსა და მოგზაურს ალი აღმასუღს.

„იმ დროიდან დღევანდლამდე თბილისის მუსლიმანებმა ყოველგვარი პატივისცემა დაკარგეს. მათ აღარ ენორჩილებოდნენ მეზობელი ქვეყნები. ტფილისის ბეგარი სოფელი გამოეყო მათ და ურთიერთობა ტფილისსა და ისლანის ქვეყნებს შორის გადავიდა ვიაურთა ტომების ხელში, რომლებიც ყოველის მხრიდან გარს ერტყმიან ტფილისს“<sup>1</sup>.

მიუხედავად ხშირი ყაჩაღური ლაშქრობებისა, ურიცხვი თავდასხმებისა და მრავალგვარი გაჭირვებისა, თბილისმა შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ძველი დიდება. იგი ჯერ კიდევ წარმოადგენდა არაბთა სახალიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქს. მისი გეოგრაფიული მდებარეობის გარდა, ამანი მას დიდად შეუწყობ ხელი იმ გარემოებათაც, რომ იგი იყო საამიროს აღმინისტრაციული ცენტრი.

სამწუხაროდ, როგორც ქართულს, ისე სომხურ წერილობით წყაროებში ცოტაა ცნობები თბილისის საშინაო ცხოვრების, განსაკუთრებით კი სამეურნეო ურთიერთობათა შესახებ. იმ დროს, როდესაც ქართულსა და სომხურს, როგორც ძველ, ისე შუა საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში უამრავია აღწერა ლაშქრობების, შემოსევების, დამარცხებებისა და გამარჯვე-

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, выпуск XXXVIII, стр. 56.  
5. ვ. ს. ნალბანდიანი

ბების, მაშინ ამის საწინააღმდეგოდ ამავე ძეგლებში ძალიან ცოტაა ცნობები ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ამიტომ არაბი მოგზაურების, გეოგრაფებისა და ისტორიკოსების მიერ დაცული ცნობები დიდ მნიშვნელობას ღებულობენ თბილისის ისტორიის რიგ სერიოზულ, განსაკუთრებით კი სოციალურ-ეკონომიური ხასიათის საკითხების ახსნისათვის. მოკლედ შევჩერდებით ამ ცნობებზე.

X ს. არაბი გეოგრაფი ალ-მუკადასი თავის თხზულებაში მოგვითხრობს, რომ ქალაქ დვინს ჰქონდა რამდენიმე კარი. ერთ მათგანს ერქვა ბაბ-თიფლის (თბილისის კარი)<sup>1</sup>. ეს ფაქტი მიგვითითებს იმაზე, რომ თბილისი მუდმივსა და ცხოველს სავაჭრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრთან, დვინთან. ამ ორი ქალაქის სავაჭრო კავშირს ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რომ დვინში განსაკუთრებული კარიც კი ყოფილა, რომელიც თბილისის სახელს ატარებდა.

თბილისის საწინაო ცხოვრების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა იმავე, X საუკუნის მოგზაური და გეოგრაფი აბულ კასიმ-იბნ ჰაუქალი, რომელმაც ინახულა თბილისი 942—943 წწ. თავის „გზებისა და სამეფოთა წიგნში“ იგი წერს შემდეგს:

„ტფილისი სიდიდით ბაბ-ულ-აბვაბზე უფრო მცირეა. მას შემოვლებული აქვს თიხის ორი კედელი, რომელშიაც დატანებულია სამი კარი. ეს არის ნაყოფიერი, გამაგრებული, სურსათ-სანოვაგით მდიდარი, ფასების თვალსაზრისით იათი ქალაქი. თავისი კეთილდღეობით იგი აღემატება სხვა მდიდარ სახელმწიფოებსა და ნაყოფიერ ქვეყნებს. ერთმა კაცმა, რომელსაც იქ თაფლი უყიდია, მიამბო, რომ მან 1 ღირჰემად 20 ლიტრი შეიძინა. ეს ქალაქი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასაზღვრო ოლქს, რომელსაც ყოველი მხრიდან უამრავი მტერი ეხვევა. იქ არის ისეთივე აბანოები, როგორც

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, выпуск XXXVIII, 83. 10.

ტივერიადაში. მათი წყალი უცეცხლოდ დღეს.

ქალაქი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. ტფილისში მცურავი წისქვილებია, რომლებიც ფქვავენ ხორბალსა და კაკალ პურს, როგორც მოსულში...

ტფილისის მცხოვრებლებს შორის უცხოელი უშიშრად გრძნობს თავს და მათი გულუხვობით სარგებლობს. ისინი შეგობრულად არიან განწყობილნი მათ მიმართ, ვინც მათთან შემთხვევით მოხვდება და ვისაც რაიმე, თუნდაც მცირე, გულისხმიერება ან ცოდნა აქვს მეცნიერებისა. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ მეცნიერებას გადმოცემების შესახებ და პატივს სცემენ მათ, ვინც ამ მეცნიერებითაა გატაცებული<sup>1</sup>.

საყურადღებოა არაბი მოგზაურის დაკვირვება თბილისელების დამოკიდებულების შესახებ მეცნიერების მიმართ. ცნობილია, რომ არაბებმა დადებითი გავლენა იქონიეს მეცნიერების ზოგიერთი დარგების (ასტროლოგიის, მათემატიკის, მედიცინის) განვითარებაზე. თითონ ქართველებიც მსოფლიოს უძველესი კულტურის მქონე ხალხების რიცხვს ეკუთვნოდნენ და, ბუნებრივია, ცხოველ ინტერესს იჩენდნენ მეცნიერების იმ ახალი დარგების მიმართ, რომელთა განვითარებაშიც არაბებს დიდი დგაწლი მიუძღოდათ. ის გარემოება, რომ ამ ეპოქაში ქართველები ადვილად ითვისებდნენ არაბების მიერ მოპოვებულ მეცნიერების ახალ მიღწევებს, მიგვითითებს იმდროინდელი ქართული მეცნიერების მაღალ დონეზე. დ. ბაქრაძე თვლიდა, რომ „არაბების დროს თბილისს თავისი ობსერვატორია ჰქონდა, რომლიდანაც მეცნიერები ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდნენ. როგორც ჩანს, იგი კალას ციხეში უნდა ყოფილიყო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, выпуск XXXVIII, 83. 88—89.

<sup>2</sup> Дмитрий Бакрадзе и Николай Берзенов, Тифлис в историческом и этнографическом отношениях, стр. 27.

იბნ-ჰაუქალის ცნობები გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან იმდროინდელი თბილისელების ხასიათის, ქცევის, ყოფიანობისა და ჩვეულებების ეროვნულ თავისებურებათა შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა არაბი გეოგრაფის ნაამბობი ქართველთა ცნობილი გულუხვობისა და სტუმართმოყვარეობის შესახებ, რომელსაც არა ერთი უცხოელი მოუყვანია განცვიფრებაში. მისი მსაღლი დღესაც შემონახულა და ამ ხალხის ერთ-ერთ უმშვენიერეს ეროვნულ ტრადიციას წარმოადგენს.

„მე ბევრი შემხვედრია, — განაგრძობს იბნ-ჰაუქალი, — მათ შორის სავსებით სანდო პირებიც, რომლებიც მათს ქალაქში ყოფილან და უცხოვრიათ იქ წელიწადი, ან მეტიც. ყველა ისინი ერთხმად ამტკიცებენ, რომ არც ერთ მათგანს ღამეც კი არ გაუთევია თავის სახლში და არც შეეძლო ამის გაკეთება“<sup>1</sup>.

და, აი, არაბი მოგზაური ნოგვითხრობს თბილისელების სტუმართმოყვარეობისა და გულუხვობის შესახებ:

„მე თვითონ დავაწმუნდი, — განაგრძობს იბნ-ჰაუქალი, — მათს ნისწრაფებაში და უდიდეს სურვილში ასე მოექცნენ უცხოელებს. საქმე იმაშია, რომ როდესაც მე ჩავედი მათთან, დავიფიცე არავისთან არ ნექამა საჭმელი, რადგანაც უმჯობესად მიმაჩნდა მე თვითონ მომეგლო ჩემი თავისთვის და ხელი მომეკიდა მხოლოდ იმ საქმეებისთვის, რომლებსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩემთვის. მაშინ მათ გამართეს ბჭობა, რათა ჩემი ფიცი განეხილათ. ამ ბჭობას მათი ყალიც ესწრებოდა. უპირველეს ყოვლისა მან პირდაპირ მომმართა და მითხრა: „გფარავდეს ღმერთი! ჩვენს ქალაქში სასამელ-საჭმელი ისე იაფია, რომ ჩვენ საფუძველი არა გვაქვს გაიძულოთ ფული არ დახარჯო მათ საყიდლად. იყიდე იმდენი, რამდენიც, ღვთის მადლით, ჩვეულებად გაქვს. სულერთია, მისი ფასი არ მიადრწევს იმ მინიმალურ რაოდენობას, რომელზედაც შენ უფლება გაქვს დაიხარჯო. მაგრამ ჩვენ ველით

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, выпуск XXXVIII, стр. 89—90.

(ღვთის) ჯილდოს იმისთვის, რომ გემსახურებით და შენც უფლება არა გაქვს დაარღვიო ჩვენი წესი და შეცვალო ჩვენი ჩვეულება, რადგანაც... არც ერთ მთავარსა და ზაურს, რომელსაც მოსამსახურე არა ჰყავს, უფლება არა აქვს თუნდაც ერთი ღამე გაატაროს შინ. შვილო (ნიმართა ყადიმ ერთ იქ მყოფთაგანს), წადი ამის (სტუმარის) კართან, ამირას ბრძანებით დაჭედე იგი მაგარი ფიცრით და დაბეჭდე ჩემი ბეჭდით. მეზობლებს დაავალე თვალყური აღევნონ კარს, შენ კი უფლება არ მისცე მას (სტუმარს), — ჰფარვიდეს ღმერთი, — ჩვენი ნებართვისა და უწყების გარეშე სახლში შევიდეს. მშვიდობა შენდა!

და მომავლორეს ჩემს ბარგსა და ქონებას. ერთი ღამე ყადისთან გაეატარე, ერთიც მათ ამირასთან. ამ ხნის განმავლობაში მთელი ჩემი საქონელი გაეყიდათ და ეყიდათ ყველაფერი ის, რაც მათი აზრით ჩემთვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო, ისე რომ ჩემი ყოველივე საზრუნავი დაქმნაყოფილებული იყო“<sup>1</sup>.

სხვათა შორის, ამ შემთხვევიდან ხუთასი წლის შემდეგ თბილისელთა გულუხვობამა და სტუმართმოყვარეობამ ჰაუქალის მსგავსად განცვიფრებაში მოიყვანა ვენეციელი მოგზაური ამბროზიო კონტარინი.

თავის დაკვირვებებს ჰაუქალი ამთავრებს იმით, რომ აღნიშნავს: თბილისი ეკუთვნოდა ამიერკავკასიის იმდროინდელი სამი უდიდესი ქალაქის რიცხვს.

„აქ, — წერს იგი, — ბარდას (ბარდავს), ბაბსა (დერბენტსა) და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არის“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, выпуск XXXVIII, 83. 91—92.

<sup>2</sup> იქვე, 83. 92.

X ს. დასასრულსა და XI ს. დასაწყისში, არაბთა სახალიფოს ძალაუფლების შემდგომი დასუსტების პირობებში, კიდევ უფრო დაჩქარდა საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის პროცესი. ეს პროცესი მიმდინარეობდა ინელა, ქვეყნის შიგნით შინაფეოდალური ომებისა და გარედან განუწყვეტელი თავდასხმების რთულ ვითარებაში.

მაგრამ საქართველოს გაერთიანების პროცესში მისი უძველესი დედაქალაქი თბილისი კიდევ დიდხანს რჩებოდა არაბ ამირათა ხელში. ეს კი, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მნიშვნელოვნად აფერხებდა გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეს. ქართლი და მისი შთავარი ქალაქი, რომელნიც საუკუნეების წინ არსებით როლს ასრულებდნენ ქართველთა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, უნდა ისევ შესულიყვნენ ამ ცხოვრების ცხოველ გარემოში.

საქართველოს გაერთიანების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გიორგი I შვილმა ბაგრატ IV (1027 — 1072), რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა გამოაცხადა გარემოსრბოლი ძალების გასატეხად და ქვეყნის მსხვილ ფეოდალებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა შესასუსტებლად. მის ღროს თბილისი ისევ არაბ ამირათა ხელში იყო. ბაგრატს უკიდურესად სჭირდებოდა ქართლის გული — თბილისი. ახალგაზრდა ენერგიულ მეფეს ძალიან კარგად ესმოდა ქართლისა და თბილისის მნიშვნელობა საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის. 1037—1038 წწ. მან გაილაშქრა არაბებისაგან თბილისის გასათავისუფლებლად. სხვათა შორის, ამ ლაშქრობაში კახეთის მეფეც მონაწილეობდა. თბილისის ამირა ჯაფარმა კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ამ ქალაქის დაკარგვა. მან მდგარი წინააღმდეგობა გაუწია ბაგრატს. თავისას მტკიცედ დაადგა ბაგრატი. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბაგრატ IV-ს ამ, და ყველა სხვა, წამოწყების განხორციელება უზღებოდა გარემოსრბოლი ძალებთან, ძლიერ ერისთავებსა და აზნაურებთან

ბრძოლისა და შინაფეოდალური ომების ყველაზე უფრო გამწვავების პირობებში. ცხადია, ეს გარემოება დიდად და ხელს ბაგრატს გადაეჭრა ის საკითხები, რომელთაც წყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდათ ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. ეს გამოაშკარავდა თბილისის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის მსვლელობაშიც. თბილისის ალყა გაჭიანურდა, უკვე მეორე წელი იყო, რაც იგი გრძელდებოდა. არაბთა ჯარსაც და ქალაქის ნაცხოვრებლებსაც ძალიან გაუჭირდათ. ქალაქში დაიწყო შიმშილი.

„დაიმშა ქალაქი, [ისე რომ] ერთი ლიტრა ვირის ხორცი ხუთას დრამად შეიქნა“.

*[«ხს სიძხვას გარჯან, მჩხვს ხელს ქორ მჩ მჩა ხვთქ  
ქ ჩხნგ ჩარქორ ერამ»]*<sup>1</sup>.

თითქოს მოვიდა არაბთა აღსასრულის დღეც. ისინი უკვე იმაზე ფიქრობდნენ თუ როგორ ეშველათ თავისთვის. ამირა ჯათარი ხსნის საშუალებას ეძებდა. მან მოამზადებინა ტივები და ნავეები, რომ რომელიმე ბნელ ღამეს მტკვრით გაპარულიყო განძაში. მაგრამ უეცრად ყველაფერი შეიცვალა: მოვიდა ადერბაიჯანის ამირასაგან ნათხოვნი მაშველი ჯარი. და მაშინ, როდესაც თბილისის ამირა ალყაშემორტყმული ქალაქიდან გასაქცევად იყო გამზადებული, ბაგრატის დაეხვეა მას (1039—1040 წწ.). ეს მოხდა იმდენად მოულოდნელად, რომ ლიპარიტსაც კი არაფერი არ გაუგია (ლიპარიტი იყო კლდეკარის ერისთავი, უდიდესი გავლენის მქონე მთავარი და ბაგრატის უმთავრესი მოწინააღმდეგე). ბაგრატის ამ საქციელს, რომელმაც კლდეკარის ერისთავის არა მარტო უკმაყოფილება გამოიწვია, არამედ საბოლოოდ წააჩხუბა კიდევაც იგი მეფეს, მკვლევრები განიხილავენ, როგორც ლიპარიტის მოწინააღმდეგე აზნაურების ოინების ნაყოფს<sup>2</sup>.

თბილისის ასაღებად დაწყებული ლაშქრობის დროს ამირასთან ესოდენ მოულოდნელად დახვევების მიზეზის გამოსარ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 225 — 226.

<sup>2</sup> იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბილისი, 1948, გვ. 168.

თბილისი  
საქართველოს  
ისტორიის ინსტიტუტი

კვევად აკად. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებდა არაბი ისტორიკოსის იბნ-ალ-ასირის ერთს ცნობაზე. იგი საშუალო საუკუნეებში იძლევა ცოტათი მაინც უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოვლენების არსს და ბაგრატიის საქციელის ნამდვილი მამოძრავებელი მიზეზები გავიგოთ. არაბი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თბილისის გარემომცველ ქართველებს ამბავი მოუვიდათ, სელჩუკები სომხეთის აოხრებისა და განადგურების შემდეგ საქართველოსკენ დაიძრნენ და ამირას დასახმარებლად მოდიანო. ამიტომ ქართველები დაზავებას ჩქარობდნენო. აკად. ივ. ჯავახიშვილი სწორად მიიჩნევს ამ ცნობაში მოყვანილ ახსნას და წერს: „ალბათ, ისინი დაარწმუნებულები იყვნენ, რომ სელჩუკანთა შემოსევა ქართველებს კეთილს არაფერს მოუტანდა და ქვეყნის აოხრებას ისევ ნებაყოფლობითი დაზავება არჩიეს. ამ მხრივ ბაგრატიისა და დიდებულთა გადაწყვეტილება გონივრული და ფრთხილი იყო“<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, რომი წლის ალყისა და დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ბაგრატ მეფემ ვერ შეძლო დაებრუნებინა არაბებისაგან ქართლის გული — თბილისი. მაგრამ ბაგრატს ამ განზრახვაზე ხელი არ აუღია, იგი მხოლოდ უფრო შესაფერ დროს ელოდებოდა.

სწორედ ამ დღეებში სომხეთში სულს ლაფავდა ბაგრატუნების დინასტია, რომლის დაცემაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ბიზანტიის იმპერიამ. ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე IX მონომახსმა მოტყუებით მიიწვია თავისთან ახალგაზრდა მეფე გაგიკი, შემდეგ კი უფლება აღარ მისცა დაბრუნებულყო თავის სატახტო ქალაქ ანისში. ამრიგად, 1045 წელს ანისმა დაკარგა მეფე, რომლის ტახტი ცარიელი დარჩა, ხოლო ქალაქი კი უპატრონო. სომეხი აზნაურების ერთი ჯგუფის თხოვნით ბაგრატი წავიდა ანელების დასახმარებლად, მაგრამ იძულებული შეიქნა გზიდანვე უკან დაბრუნებულიყო: ანისის გზაზე მას წამოეწია თბილისის მოქალაქეთა და უმაღლესი სასულიერო პირების მიერ გამოგზავნილი ელჩობა, რომელმაც შეატყობინა მას თბილისის ამირა ჯაფარის სიკვდილი და

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948, გვ. 435.

სთხოვა მას მისულიყო და დაბატონებოდა ქალაქს. მაშასადამე, ქართველთა დატყვევებული დედაქალაქის, თბილისის წინაშე ისევ გაიღო ხსნის კარი.

ბაგრატი თავისი ჯარით ქართლისაკენ წავიდა. დიღმის ველზე მას სინჯარულით შემოეგებნენ ქალაქის მცხოვრებლებისა და სასულიერო პირთა წარმომადგენლები.

ბაგრატი ქალაქში შევიდა. მას ჩააბარეს ქალაქის გასაღებები. ბაგრატის ხელისუფლება სცნო თბილისმა, გარდა ისნისა, რომლის მცხოვრებლებმა ჩაანგრეს ხიდი მტკვარზე და არ მისცეს. საშუალება ბაგრატს ისაჩუქც გაეფრცვლებინა თავისი უფლება. რადგანაც ისანმა ნებით არ მოინდომა დანებება, ბაგრატი შეეცადა ძალით აეღო იგი. მედგარმა ბრძოლამ მთელს ზაფხულს გასტანა, მაგრამ უშედეგოდ. ბაგრატს ჯერ კიდევ არ დაენთავრებინა თბილისის სრული განთავისუფლების საქმე, როდესაც ახლად ცენტრალიზებული ხელისუფლების მოწინააღმდეგე ერისთავების ხრიკების გამო ბაგრატი იძულებული გახდა მიეტოვებინა თბილისი და ჯავახეთში წასულიყო. აწრიგად, თბილისის განთავისუფლების საქმე ამჯერადაც მარცხით დამთავრდა.

ორი მოძმე ხალხის ორივე დედაქალაქი უცხოთა ტყვეობაში იყო. მათ წილად ერგოთ, ძალიან მძიმე დღეები ენახათ იმ არეულ დროში. და, აი, როდესაც განთავისუფლებისა და ხსნის სასურველი ჟამი ესოდენ ახლო ჩანდა, ორივე დედაქალაქის თავზე ხელახლა შეიყარა შავი ღრუბლები.

სწორედ ამ დროს ასპარეზზე გამოვიდა აღმოსავლეთის ახალი სინხლისსამეფო დამპყრობი — თურქ-სელჩუკები. მათი საზიზღარი თურდოები, რომლებიც გზადაგზა სიკედილსა და შიშის ზარს ავრცელებდნენ, დაიძრნენ კასპიის ზღვის აღმოსავლეთი რაიონებიდან დასავლეთისაკენ. ბიზანტიამ, რომელიც თავისთავს უძლიერესად და სამუდამოდ უძლეველად სთვლიდა, უკან დაიხია. ბიზანტიელებს ჯერ კიდევ შესაფერისად არ გაემავრებინათ ანისი, როდესაც 1047 წლიდან მოკიდებული დაიწყო სელჩუკების ხშირი თავდასხმები. მათ დიდი ზიანი მიუყენეს სომხეთს. ცხადია, იგივე მძიმე განსაცდელი მოელოდა მეზობელ საქართველოსაც. 1065 წელს სულთანი ალფ-

არსლანი დიდი ჯარით შეიჭრა საქართველოში. მან საქართველოს სამხრეთი ოლქები, აიღო ახალქალაქი, იგი, ხალხი კი ამოხოცა. 1068 წ. საქართველოზე თავდასხმა გამეორდა. ამჯერად დიდად დაზიანდა ქართლი. ზამთრის მოახლოვებისთანავე სელჩუკებმა დატოვეს საქართველო. წასვლის წინ ალფ-არსლანმა თბილისი და რუსთავი დაუტოვა განძაკის ბატონს ფადლონს. ბაგრატმა გადაწყვიტა ესარგებლა შემთხვევით და კიდევ ერთხელ ცადა თბილისის განთავისუფლება. იგი თავს დაესხა თბილისისა და მისი საზღვრების ძარცვით გართულ ფადლონს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მან მუსრი გაავლო ფადლონის ჯარს, თითონ ფადლონი კი ტყვედ იგდო. მაგრამ ბაგრატმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა თავისთვის დაეტოვებინა ქალაქი. მან თბილისი გადასცა ვინმე სილილ არაბს, რომელმაც იქისრა ბაგრატისთვის ყოველწლიურად 44.000 დინარი გადაეხადა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატის ეს მოქმედება არაა საკმარისად ახსნილი და განმარტებული. ბაგრატის ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მოელის მრავალმხრივსა და დამაჯერებელ ახსნას. მაგრამ ის კი ცხადია, რომ მან ისევ დაკარგა ზელსაყრელი შემთხვევა და ისევ ვერ შეძლო თბილისის განთავისუფლება. თბილისის განთავისუფლების დიდება და სახელი, როგორც დავინახავთ, უნდა დარჩენოდა მის შვილიშვილს, ქართველთა სახელგანთქმულ მეფეს, დავით აღმაშენებელს.

ბაგრატი გარდაიცვალა 1072 წელს. მისი მემკვიდრე იყო გიორგი II, სუსტი ნებისყოფის ადამიანი. ბაგრატის სიკვდილმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმე დროებით შეაჩერა. ამ პერიოდში კიდევ უფრო გახშირდა თურქ-სელჩუკების გამანადგურებელი შემოსევები საქართველოში. 1080 წელი იყო თურქების დიდი ლაშქრობის წელი, რომელსაც ქართველებმა „დიდი თურქობა“ უწოდეს. ამ შემოსევებმა საქართველოს დიდი ზიანი მიაყენეს. აოხრდა და გაუჟაყრიელდა ქალაქები და სოფლები, დიდი რაოდენობით ამოწყდა ხალხი.

გიორგი მეფეს ისღა დარჩენოდა, რომ გასცლოდა სელჩუკების უზარმაზარ ლაშქარს. იგი იძულებული გახდა, ხელშეწყობა ალფ-არსლანის შვილს, სულთან მელიქ-შაჰს, გამოეცხადებინა მისთვის თავისი მორჩილება და ყოველწლიური ხარკის მიცემას დაჰპირებოდა, ოღონდ კი თურქებს თავისი გამანადგურებელი ლაშქრობები და ამაოხრებელი შემოსევები შეეწყვიტათ. მაგრამ მიუხედავად ამისა სელჩუკები ძარცვას განაგრძობდნენ, რამაც ქვეყნის მეურნეობა დაღუპვის პირამდე მიიყვანა.

ამ მძიმე პირობებში გიორგი II 1089 წელს თავისი ნებით უარი თქვა სამეფო ტახტზე და გადასცა იგი თავის შვილს, 16 წლის ჭაბუკ დავითს, რომელსაც შემდგომში წილად ზედასრულიად განსაკუთრებული როლი შეესრულებინა ქართული სახელმწიფოს ისტორიაში, განსაკუთრებით კი საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრალიზებული მონარქიის განმტკიცების საქმეში. მაგრამ მისი საქმიანობა მხოლოდ საქართველოთი როდი შემოიფარგლება. მან არსებითი გავლენა იქონია მთელი ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიაზეც. ეს ის დავითი იყო, რომელმაც სახელმწიფო მოღვაწის არაჩვეულებრივად დიდი ნიჭის გამო „აღმაშენებლის“ სახელი დაიმსახურა. მძიმე, ძალიან მძიმე მუშაკვიდრობა ერგო ახალგაზრდა მეფეს: ნანგრევებისა და ჩაოხართა აღდგენა, განადგურებული და გაუკაცრიელებული ქალაქები და სოფლები, ომისმოყვარე ერათავები და აზნაურები, რომლებიც სულ განზე იწევდნენ და ერთის მხრივ განუწყვეტლად ებრძოდნენ ერთმანეთს, მეორეს მხრივ კი მუდამ იმის ცდაში იყვნენ, ყოველნაირად დაესუსტებინათ მეფის ხელისუფლება და სამეფო ტახტის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულიყვნენ.

მაგრამ მალე პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში სრულებით შეიცვალა. სელჩუკთა ცალკეულ საამიროთა შორის, რომელნიც ერთ ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ არ გაერთიანებულან, XI ს. ბოლოსა და XII ს. დასაწყისში გაძლიერდა შინაგანი წინააღმდეგობანი და უთანხმოებანი. ამ გარემოებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მათს ხელისუფლების ქვეშ მყოფ ქვეყნებსა და ხალხებს, რომელნიც მხოლოდ შემთხვევას ელოდებოდნენ, რათა მოეშორებინათ სელჩუკ-

ჩი უღელი, და სწორედ ამ პირობებში „საქართველო იყო ის“  
ძლიერი ძალა, რომელიც გამოვიდა ასპარეზზე ამ საბრძოლველ  
წინააღმდეგ, გააერთიანა რა თავის ორგვლივ სომეხი, ალვანელი  
და ჩრდილო კავკასიის მთელი ხალხები. ეს ერთსულოვნე-  
ბა ჩვენ უნდა მივაწეროთ უნთავრესად იმ დიდ გამარჯვებებს,  
რომელთაც მიაღწია საქართველომ არა მარტო ისტორიულ  
სომხეთში, არამედ აღრბადაგანშიც. ეს წარმატებები, რომელ-  
თაც დიდად შეუწყვეს ხელი სომხეთის აღდგენას არარატისა  
და მისმეზობელ ოლქებში, ისევე როგორც სომხეთის კულტუ-  
რულ აღორძინებას, ხელსაყრელი იყო ამავე დროს საქართვე-  
ლოსთვისაც: სომხეთის სამთავროების აღდგენით საქართვე-  
ლოს სამხრეთი საზღვარი ისევე დაცული ხდებოდა“<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებელმა ისარგებლა რა სელჩუკიან ამირებს  
შორის გაშეფებული წინააღმდეგობებითა და ომებით, XI ს.  
ბოლოს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა და უარი  
განაცხადა ხარკი გადაეხადა სელჩუკებისათვის. ურჩი და  
მოწინააღმდეგე ფეოდალების მოთოკვის შემდეგ მან შეძლო  
შეტევაზეც კი გადასულიყო. იგი მტკაველ-მტკაველ ართმევდა  
მიწებს სელჩუკიან საამიროებს. მისი მძაფრი და მოულოდნე-  
ლი თავდასხმები წარმატებით გვირგვინდებოდა. იგი თანმიმ-  
დევრულად და მტკიცედ მიიწევდა სასულთნო მიზნისაკენ, სა-  
ქართველოს გაერთიანების დიდი ისტორიული მისიის დასამ-  
თავრებლად. დავითს უკვე ბევრი რამ ჰქონდა გაკეთებული  
საქართველოს გაერთიანებისა და ურთიანი ქართული მონარ-  
ქიის შექმნისათვის, მაგრამ გაერთიანებულ საქართველოს  
გარეთ კიდევ რჩებოდა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილები,  
თბილისი, სამშვილდე, რუსთავი, რომლებიც ჯერ კიდევ თურქ-  
სელჩუკთა ხელში იყო. მაგრამ მალე დავითმა შეძლო დაე-  
მორჩილებინა ჯერ კახეთის სამეფო, შემდეგ კი სამშვილდეც.  
ამის შემდეგ დავითმა გააფართოვა თავისი დაპყრობები, აიღო  
სომხეთის ციხეების უმეტესი ნაწილი, შირვანშაჰების მფლობე-  
ლობაში მყოფი ნუხის (ძველი შაქის) ახლოს მდებარე, სტრა-  
ტეგიულად დიდი მნიშვნელობის მქონე ქალაქორის ციხე.

<sup>1</sup> ბ. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმო-  
ხილვა, ნაწილი III, ერევანი, 1952, გვ. 88 (სომხურ ენაზე).

მომდევნო წელს დავითმა უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია, მან დაიპყრა ლორეს ციხე-ქალაქი თავისი სანახებით, კი და სხვ. სელჩუკები დიდი მარცხის წინაშე იდგნენ, რადგან, როგორც აკად. პ. მანანდიანი აღნიშნავს, „საქართველომ ისარგებლა რა სელჩუკთა დასუსტებით, მალე კიდევ უფრო გაძლიერდა და სელჩუკთა სპარსეთისათვის საშიშ მეტოქედ იქცა“<sup>1</sup>.

მალე დავითმა ოსებიც დაიმორჩილა და დარიალს დაუპატრონა.

ბრძენი მეფე დარწმუნდა, რომ ვასალი ფეოდალების ჯარებით ძლიერი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელი იყო, რადგანაც ამისთვის აუცილებელი იყო მუდმივი სამეფო ჯარის ყოლა. ამ მიზნით, როგორც ქართული საისტორიო თხზულებები მოგვითხრობენ, მან ჩრდილოეთ კავკასიიდან 45 ათასი ყივჩაღის ოჯახი გადმოასახლა. მათგან მან თავისი სამეფო ჯარი შეადგინა. ამ ჯარზე დაყრდნობით ახალგაზრდა მეფემ კიდევ უფრო გაბედულად დაიწყო მოქმედება. ახლა, როდესაც პირობები საკმაოდ ხელსაყრელი შეიქნა, როდესაც გაძლიერდა ქვეყნის შიგნით მისი ეკონომიური, სოლო გარეთ — პოლიტიკური მდგომარეობა, დავითმა გადასწყვიტა საბოლოოდ გაესწორებინა ანგარიში თურქ-სელჩუკებთან და სამუდამოდ გაეძევებინა ისინი ამიერკავკასიის საზღვრებიდან.

მაგრამ ამ საბედისწერო საფრთხის წინაშე სელჩუკთა სამირობებიც გაერთიანდნენ და საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრეს. თუნდ დიდად გადაჭარბებულადაც რომ მივიჩნიოთ სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაელის მიერ აღნიშნული (400.000) რიცხვი, მაინც მათი გაერთიანებული ლაშქარი, საფიქრებელია, საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. საქართველოს წინააღმდეგ მომზადებულ ამ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ვანდაკის სულთანი მელიქი, შუამდინარეთის არტუხის გვარის ამირა ილხაზი და არაბთა მეფე დუბეისი. 1121 წ. თურქთა გაერთიანებული ლაშქარი შეიჭრა საქართველოში და მიუახლოვდა მანგლისს. იმავე წლის აგვისტოში მანგლისიდან

<sup>1</sup> პ. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა, ნაწილი III, გვ. 91 (სომხურ ენაზე).

წიდილოეთისკენ მდებარე დიდგორის ველზე მოხდა ფიცხელი ბრძოლა, რომელშიც თურქები, მიუხედავად თავიანთი რიცხვობრივი უპირატესობისა, სამარცხვინოდ დამარცხდნენ. დავითის მიერ მოპოვებულმა ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს მდგომარეობა.

მაგრამ დავითის წინაშე ჯერ კიდევ იდგა ერთი დიდი და ძნელი საკითხი — თბილისის განთავისუფლება. საქართველოს დედაქალაქი თბილისის განთავისუფლებას, რომელიც უკვე ოთხასი წელი გმინავდა უცხოთა მიძიმე ბატონობაში, ბუნებრივია, დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. დავითმა დიდი გულმოდგინებითა და თანამიმდევრობით მოაწაღა თბილისის განთავისუფლების საქმე. ვიდრე იერიშს უშუალოდ თბილისზე მიიტანდა, მან აიღო თბილისის დამცველი ძლიერი ციხე-ქალაქები, სამშვილდე და რუსთავი, რითაც საგრძნობლად შეასუსტა თბილისში გამაგრებული სელჩუკების მდგომარეობა.

შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველ-სომეხთა მეგობრობასა და ამ ორი მოძმე ხალხის მტკიცე თანამშრომლობას. დავითის მიერ წამოწყებული ლაშქრობით დიდად იყვნენ დაინტერესებული არა მარტო ქართველები, არამედ სომხებიც.

დავითის მიერ თბილისის განთავისუფლების ამბები აღწერილია ქართულ საისტორიო მწერლობაში. ამავე დროს, საყურადღებოა და ღირსსახსენებელიც, რომ ამ მნიშვნელოვანმა მოვლენამ საკმაოდ დაწვრილებითი ასახვა პოვა, აგრეთვე, სომხურ საისტორიო მწერლობაში. სომეხი ისტორიკოსები სიხარულით აღწერენ თბილისის განთავისუფლების ისტორიას და დავითის მიმართ თავიანთ დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. სომეხ მემატიანეთა და ეპიმთაღმწერელთა ასეთი დამოკიდებულება გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დავით მეფემ იმავე ხანებში გაანთავისუფლა სომხეთის დედაქალაქიც, მრავალტანჯული ანისი.

ქართველი მემატიანე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დავით მეფემდე თბილისი მთელი ოთხასი წლის განმავლობაში უცხო უღელქვეშ იტანებოდა და კიცხავს დავითის წინამა-

ვალ ქართველ მეფეებს, რომელთაც შეეძლოთ აეტანათ საქართველოს დედაქალაქის ეს დამონებული მდგომარეობა, მხოლოდ პირიქით, იგი სიამაყით ამბობს, რომ თბილისის განთავსებულნი არაა, არაა და მათი პატივი წილად ხვდა დავით აღმაშენებელს<sup>1</sup>.

სელჩუკებმა თბილისის შესანარჩუნებლად ყოველი ღონე იხმარეს. მაგრამ დავითის გადაწყვეტილება ურყევი იყო: რა-დაც არ უნდა დასჯდომოდა მას უნდა გაენთავისუფლებინა საქართველოს დედაქალაქი და მისი სანახები სელჩუკებისაგან და მიეერთებინა იგი საქართველოს სამეფოსთვის. ამით, ფაქტიურად დამთავრდებოდა საქართველოს გაერთიანების საქმე.

სომეხი მემკვიდრეები საქართველოს დედაქალაქის განთავისუფლებას დიდ მოვლენად აცხადებენ. სამუელ ანელი ამის გამო წერს:

„1122 წელს დავით მეფემ დაიპყრა თბილისი“.

[*«ԵՆՀԱ թուին Դավիթ թագաւորն էսი գճիխիս»*].

ამ ცნობას ასევე მოკლე სახით ვხვდებით სხვა ისტორიულ თხზულებებსა და ქრონიკებში<sup>2</sup>.

უფრო ვრცელი ცნობები ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე თბილისის ისტორიაში შემონახულა მათეოს ურპაელისა (XII ს.) და ვარდან ისტორიკოსის (XIII ს.) თხზულებებში. მათეოს ურპაელი მრკლედ აღწერს დიდგორის ომს, შემდეგ კი გალადის თბილისის აღების გარემოებებზე.

„მაშინ მოვიდა განძაკის სულთანი მელექი ოთხასი ათასი გულადი მხედრით, — წერს ურპაელი. დაიძრა ამ საშინელი სიმრავლით და შევიდა ქართველთა ქვეყანაში ქალაქ ტფილისისა და იმ მთის მხარეს, რომელსაც დიდგორი ჰქვია. გაიგო ეს დავით ქართველთა მეფემ, [ძემ გიორგისა, ძისა ბაგრატიისამ] გამოვიდა თურქი ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად ორმოცი

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 249.

<sup>2</sup> სამუელ ანელი, კრებული ისტორიკოსთა წიგნებიდან, ვლად-შაბატი, 1893, გვ. 125 (სომხურ ენაზე).

<sup>3</sup> წვრილი ქრონიკები XIII — XVIII სს., ნაკვეთი I, შეადგინა ვ. აკობიანი, ერევანი, 1951, გვ. 25, 148 (სომხურ ენაზე) და სხვა.

ათასი ძღვერი, მხნე კაცით და გამოცდილი მეომრით.  
ჰყავდა მას სხვა ჯარიც ყივჩაღთა მეფისაგან თხუთმეტ  
ათასი, მხნე და რჩეული, აღანთა ტომისაგან ხუთასი და  
ფრანგი ასი. აგვისტოს 13-ს ღვთისმშობლის მარხვის  
ხუთშაბათ ღღეს იქნა ისეთი სასტიკი ომი ორ მთას შუა,  
რომ ჯართა საშინელი ხმაურისაგან მთები შეიძ-  
რნენ. მაშინ მოაწია ღმრთის შეწევნამ ქართველთა  
ჯარზე და როდესაც გაჩაღდა ბრძოლა, თურქთა მთელი  
ჯარი მიაქციეს ლტოლვად. იმ ღღეს იქმნა სასტიკი და  
საშინელი ხოცვა თურქთა ჯარისა, აღივსო გვამებით  
მდინარეები, ხეხეები და დაიფარა მთების ქარაფები.  
თურქთა ჯარიდან დახოცილთა რიცხვი იყო ორმოცი  
ბევრი (400 000), ხელთ იგდეს ოცდაათი ათასი კაცი,  
ხოლო ცხენებისა და დაყრილი იარაღისაგან მთელი ვე-  
ლები დაიფარა. რვა ღღეს მისდევდნენ ყივჩაღთა და  
ქართველთა ჯარები (მტერს) ქალაქ ანისის საზღვრე-  
ბამდე. სპარსთა სულთანმა მეღეჟმა და ხაზიმ ძლივს  
უშველეს თავს გაქცევით და დიდად სირცხვილეულნი  
დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. ათასში ასიც არ დარ-  
ჩენილიყო.

იმავე წელს ქართველთა მეფემ დავითმა სპარსთაგან  
აიღო ქალაქი ტფილისი, სასტიკი ხოცვა დაატრიალა  
ქალაქში და ხუთასი სარანგი [ჯარის მეთაური] ძელზე  
გასვა და ბოროტად მოაკვლევინა“.

*[«შაჟანთამ დაჟერ შხეხენ თილთანს ზანბაკაჟ ჯერ  
ჯარირ ჯაღარ ბქათრიძე არანგ დაჯაგ ხ საქაგენს ა-  
ჯაგენ დაღმიწხამე და მთანქის ქაქსარანს ქრაგ ხ კიოქმ  
სიქსხაგ დაღაქინს ხ ქხანს, ირ რხლირ კიოქი: ხე ქონაქ  
დაჟა რაქიშ ქრაგ შაღათორს ირქი რაღერათაჟ ირქოქ  
ზირქქი და ჯასანქერ ხ აქათხრაღმ რნოქქმ შირქე დორაგენ და-  
ნასონს ჯაღაროქ კირიქხაგ და არანგ დაჯაგ და კირქ აქათხ-  
რაღმიოღაგ. ინქერ და აქე დორა ხ ხაქიჯაქსაგ შაღათორქს არა  
თასან და ჯინგ ჯაღარ დაჯაგ და რნოქერა და ქაღქქს აქანაგ არა  
ჯინგ ჯარირ და ქიანგ ჯარირ: ხე ქოქთითთა ამათი ძე და ხ  
აქაიგ მათიადამანს ჯინგჯაქქი ირს ხელს საათიქ აქა-  
თხრაღმ ხ მქე ხრქიოგ ქხრანგ, ირ და ქაჯაგენს დაქმანს  
დორაგენ დოქქინს ქხრინს. და ქაქანთამ იქნოქქინს ჯასანქერ*

ქსათობი ქი ქერაჲ ორაგ დორაგნ. ლ ქი ჯამრელ ოათხრაღ-  
მჩინ ვამხნაჲს დორან მორეჲგა დარბოცანქინ ქი ქიაქოთა  
ხე ჯაქნამ ალორ ხელ საათიქ ლ ანათორ კითორაბ დორაგნ  
მორეჲგა, ლ იგან იქასამრე ვხორე ლ ბორე ჯერანგ ლ ამხ-  
ნაჲს ჳარაქონღ ჯერანგნ ბაბქხეგან. ლ ხელ ჲამარ კო-  
ათრაბიქს დორაგნ მორეჲგა ჳათათონ მქორ. ლ ბერეა-  
კალა არარქინ არა ხრხთონ ჲაღარ, ლ ქერქქარაგნ ლ ქი  
იქინოგნ ანქხელიღ ბაბქხეგალ ამხნაჲს ხრხეღ იაჯოთაგნ. ლ  
დათორა თიქ იქნათ ქარხეგან დორე სიქჯაქსაგნ ლ ორაგნ  
მჩინღ ქი საამანა ჳაღაქქინ სნთი: ხე სოქთანს ოარსიგ  
შხეღნ ლ სოღქი დარბან მადღომ ამოქიქ ქაქქარან ქორ-  
ხანგ მადგათორბ ქიაქათხამრ' ქი ჲაღარქნ ჲარქორ ჯქორ  
მნაგხალ:

ჰაქამ ამქი ჯათ მადათორნ ორაგ ოათქ დეღაღან  
სიქქია ქი ოარსიგ ლ არარ საათიქ კითორაბა დეღაღან  
ლ არა ᲁქნღ ჲარქორ სრანანღა ქი ქიაქთნ ᲁანხალ საათაქქე  
ჯარაჯარა)¹.

სომეხი ისტორიკოსი დიდი პატივისცემით ლაპარაკობს  
დავით აღმაშენებელზე და ხაზს უსვამს მის მზრუნველობას  
სომეხების მიმართ. იგი აღტაცებით ლაპარაკობს იმის შესახებ,  
რომ დავითმა გაქორვებაში მყოფ სომეხებს დახმარება გაუწია,  
შეუქმნა მათ. საქართველოში დასახლების პირობები და სხვ.  
აი, რას ვკითხულობთ მათეოს ურჰაელის თხზულებაში:

„ხოლო ეს მეფე დავითი იყო ძალზედ მხნე სპარსე-  
ლებთან ომებში. მან მრავალგზის გაიმარჯვა უცხოთა  
ჯარებზე, გატეხა მთელი მათი ძლიერება და სპარსე-  
ლებს ძალითა და მახვილით მრავალი სახელგანთქმუ-  
ლი ოლქი წაართვა. მან აიღო ტფილისი, ქალაქი დეა-  
ნისი, აიღო შირვანი, შაქი, შამქორი. აიღო სხვა მრავალი  
ოლქებიც. და იყო დავით მეფე კაცი წმინდა და  
სათნო, შემკული ყოველგვარი ღვთისმოსეობით და  
სიკეთით. იგი იყო შემწყალებელი და მოყვარული სო-  
მეხი ხალხისა. მასთან შემოიკრიბნენ დარჩენილი  
ჯარები სომეხთა. მან ააშენა სომეხთა ქალაქი ქარ-  
თველთა ქვეყანაში, დააფუძნა ეკლესიები და მონას-

¹ მათეოს ურჰაელი, ქამთაღმწერლობა, ვალარშაპატი, 898,  
გვ. 349 — 350 (სომეხურ ენაზე).

ტრები მრავალი, სახელად დაარქვა ამ ქალაქს ვიწრო.  
მთელი სომეხი ხალხი დიდს სიხარულსა და აღფრთხილებას  
ჰყავდა. სომეხი ცოლისაგან დავით მეფეს ჰყავდა ერთი  
ღვიძლი შვილი, რომელსაც ერქვა დემეტრე“.

*«Եսկ այս թագաւորս Դաւիթ էր քաջ հզօր ընդդէմ Պարսից պատերազմաց. սա բազում անգամ յաղթեաց զօրացն այլազգեաց և բեկեաց զամենայն զօրութիւնս նոցա և բազում և անուանի գաւառս էառ ի Պարսից սրով և բնութեամբ. էառ զՏփխիս և զԴամանիս քաղաք և էառ զՇոտան և զՇաքի և զՇամբօր, էառ և այլ բազում գաւառք: Եւ էր Դաւիթ արքայ այր սուրբ և առաքինի, զարդարեալ ամենայն աստուածապաշտութեամբ և բարի արդարութեամբ, և սա նրեկցաւ ընդունող և սիրող ազգին Հայոց: Առ սա ժողովեցցան մնացեալ զօրքն Հայոց, և սա շինեաց քաղաք Հայոց յաշխարհն Վրաց և հաստատեաց եկեղեցիս և վանորայս բազումս և անուանեաց զանուն քաղաքին Գօռա, և იწէր მხბარ იორაխութեամբ և ցնծութեամբ զամենայն ազգն Հայոց: Կայր և հարազատ որդի մի թագաւորին Դաւիթ, որում անուն ասէին Դէմետրէ, ի հայ կնոջէ»<sup>1</sup>.*

უეჭველია, რომ დავით მეფის მზრუნველობის ქვეშ მყოფი და მასთან თავმოყრილი „სომეხთა ჯარების ნაშთები“, რომელთა შესახებ ლაპარაკობს ისტორიკოსი, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დავითის წამოწყებებში და ამით სამაგიეროს უზღავდნენ მას მხარდაჭერისათვის.

გარდან ისტორიკოსიც შემდეგს გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის დაპყრობის შესახებ:

„მაშინ გაძლიერდა ქართველთა მეფე დავითი, ძე გიორგისი, ძისა ბაგრატისი. მან იხსნა ტფილისი სპარსთაგან, განძის სულთანი მელიქი სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა და ხუთასი კაცი სარანგი სასიკვდილო ძელზე გასვა ქალაქ ტფილისში“.

*«Յայնմ ժամանակի զօրանայր թագաւորն Վրաց Դաւիթ որդի Գէորգայ՝ որդոյ Բագրատայ, որ առ զՏփխիս ի Պարսից և հհար զՄեղիք սուլտանն Գանձակայ ի հարուածս*

<sup>1</sup> მათეოს ურჰაელი, ქამთაღმწერლობა, გვ. 356 (სომხურ ენაზე).

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ორი სომეხი ისტორიკოსიც ერთნაირი აზრისანი არიან, როდესაც ისინი მტრის მიმართ დავითის შურისძიების შესახებ ლაპარაკობენ. დავითმა ქალაქის დაპყრობის პირველ დღესვე ბრძანა სიკვდილით დაესაჯათ მტრის ბანაკიდან 500 კაცი.

იმ მძიმე ხანაში შეუპოვარი წინააღმდეგობის განწევი მტრის მიმართ ასეთი მკაცრი მოპყრობა, რა თქმა უნდა, უჩვეულო რამ არ იყო, მაგრამ მკვლევრები შენიშნავენ, რომ სისასტიკე საერთოდ დამახასიათებელი არ ყოფილა დავით აღმაშენებლისათვის. პირიქით, როგორც ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებიდან ჩანს, დავითი დამარცხებული მტრის მიმართ გამოირჩეოდა თავისი კაცთმოყვარეობითა და დიდსულოვნებით. იგი ფრთხილად ეპყრობოდა და სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას იჩენდა თბილისის არაქრისტიან მცხოვრებთა მიმართ. ამის შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის არაბული წყაროებიც. დავითმა თბილისის დაპყრობის შემდეგ მუსლიმანებს სარწმუნოებრივი თავისუფლება მიანიჭა, განსაზღვრული პრივილეგიებიც კი დაუწესა ქალაქის მუსლიმანურ მოსახლეობას; ბრძანება გასცა, რომ ქალაქში არავის გაეხედა ღორის დაკვლა, წესად შემოიღო, რომ ქრისტიანები არ შესულიყვნენ აბანოში, როდესაც იქ მუსლიმანები ბანაობდნენ და სხვ.

ექვს გარეშეა, რომ დავითი ასეთი ქცევით თავის ქვეშევრდომთა სიმპატიას იმსახურებდა<sup>2</sup>.

დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლებით ქალაქის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ქართველთა მეფემ ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა სამეფო ტახტი, ქართველთა უძველესი დედაქალაქი კვლავ გადაიქცა სატახტო ქალაქად, და ამჟერად, უკვე გაერთიანებულ საქართველოს

<sup>1</sup> ვარდან ბარძრბერდელი, მსოფლიო ისტორია, გამოცემული მკრტიჩ ემინის მიერ, მოსკოვი, 1861, გვ. 156 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე-თბილისი. 1948 წ. გვ. 204 — 205.

დედაქალაქად. ამ გარემოებამ ახალი პერსპექტივები გადმოაჩინა ქალაქ თბილისის განვითარებაში. თბილისს კვლავ დაუბრუნდა ქართველთა დედაქალაქის სიდიადე და ბრწყინვალეობა.

თურქ-სელჯუკები ასე იოლად ვერ შეეგუებოდნენ საქართველოს გაძლიერებას, რადგანაც საქართველო არა მარტო მოწინავე როლს თამაშობდა ამიერკავკასიაში, არამედ, საზოგადოდ, დიდ საშიშროებად გადაიქცა სელჯუკთა საემიროებისათვის. ამიტომ დავითის მეფობისას თურქ-სელჯუკები ერთხელ კიდევ შეეცადნენ დაებრუნებინათ დანაკარგი. 1123 წელს ისინი შირვანში შევიდნენ, მაგრამ დავითმა მათ არ მისცა შესაძლებლობა წარმატებისათვის მიეღწიათ, თავს დაესხა სულთან მაჰმედს, გაანადგურა მისი ჯარი და დაიპყრო შამახია. ზაფხულის განმავლობაში ქართველთა მეფემ შეძლო სელჯუკებისაგან გაეწმინდა აგრეთვე გუგარქის აღმოსავლეთი და აღვანეთის დასავლეთი რაიონები თავიანთი ციხეებითურთ (გაგი, ტერუნაკანი, ნორბერდი, ტავუში, კაიწონი და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის ამ წარმატებით ლაშქრობებს, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას სომხებიც იღებდნენ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისათვის, არამედ, აგრეთვე, მეზობელი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლისა და გაფართოებისათვის. ამის გამო, სამართლიანად წერს აკად. ჰ. მანანდიანი: „დავით მეფის გამარჯვებანი საერთო მტრის წინააღმდეგ აღფრთოვანებას იწვევდნენ საქართველოს მოსაზღვრე, სომხებით დასახლებულ სანახებში და იმედს უნერგავდნენ სომხებს, რომ საქართველოს დახმარებით თვითონაც შეძლებდნენ ფეხზე წამოდგომას და უცხო ბატონობისაგან განთავისუფლებას“<sup>1</sup>.

ეს ერთუზიანში განსაკუთრებით ჭარბობდა ბაგრატუნიანთა დედაქალაქის ანისის მცხოვრებლებში, რომლებიც ჯერ კიდევ სელჯუკთა ბატონობის უღელქვეშ გმინავდნენ. ანისსა

<sup>1</sup> ჰ. მანანდიანი. სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა. ტომი III, გვ. 93. (სომხურ ენაზე).

და შირაკში ამ დროს შედგადიანები ბატონობდნენ, კერძოდ მანუჩეს შვილი აბულსუარი. აბულსუარი, რომელსაც ისტორიკოსი ვარდანი „მხდალსა და ლაჩარს“ უწოდებს, სრულიად უძლური აღმოჩნდა დაეცვა თავის მფლობელობაში მყოფი ქალაქი და მისი მცხოვრებლები სხვადასხვაგვარი შემოსევებისა და თავდასხმებისაგან. უფრო მეტიც, როგორც წერილობითი წყაროები გვაუწყებენ, აბულსუარმა განიზრახა ანისი კარის (ყარსის) ამირასათვის მიეყიდნა 60 ათას დინარად, მაგრამ ანისელებმა ვერ აიტანეს მძიმე უღელი და აჯანყდნენ. მათ 1123 წლის ზაფხულს ელჩობა გაუგზავნეს დავით მეფეს და სთხოვეს მოსულიყო, დაუფლებოდა ქალაქს და გაეთავისუფლებინა ისინი უცხო დამპყრობთაგან. დავითმა არ დააყოვნა დახმარების ხელი გაეწვდინა მოძმე ხალხისათვის და 60 ათასიანი ცხენოსანი ჯარის თანხლებით ანისისაკენ დაიძრა. ქალაქის მცხოვრებლები სიხარულით შეეგებნენ დავითს, რომლის წყალობით, როგორც სომეხი ისტორიკოსი წერს, „კირთებისაგან განთავისუფლდა სატახტო ქალაქი ანისი, რომელიც 60 წლის განმავლობაში მონობაში იმყოფებოდა“.

**[«სკვასხეაჲ ჰ ბაიაკიქსნქ ქაყათორაჲნაჲ კაღაჲნ ასნი, ირ კახეაჲ ჯრ ჰ ბაიაკიქსინ ღამაჲ ქაქსიონ»...]**<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებელი, ქემმარიტად აღმოჩნდა „სომეხი ხალხის შემწყალებელი და მოყვარული“, რადგანაც მან გაათავისუფლა ბაგრატიუნიანთა დიდების სიმბოლო ანისი.

ამრიგად, 400 წლის ტყვეობიდან თბილისის განმათავისუფლებელი ქართველთა მეფე დავითი სომეხთა უბედური და სავალალო დედაქალაქის ანისის მხსნელიც იყო. თითქოს ღრმა აზრია დაფარული ამ ისტორიულ დამთხვევაში, რომელშიც სიმბოლიური სახითაა გამოხატული ორი მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის საუკეთესო ტრადიციები, მათი ურთიერთ შემწეობა და სიყვარული ერთმანეთის მიმართ.

დავითმა საქართველოს გაერთიანების საქმის პარალელურად დიდი გულმოდგინეობით მიჰყო ხელი ქვეყნის, მისი ქა-

<sup>1</sup> მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი. ჟამთაღმწერლობა, გვ. 359 (სომხურ ენაზე).

ლაქების, განსაკუთრებით თბილისის დანგრეული მცურნობის  
აღდგენისა და კულტურის განვითარების საქმეს. მან წინაშე  
ში მოიყვანა გზები, მდინარეებზე ახალი ხიდები ააგო,  
გინა და განაახლა მოოხრებულ-დანგრეული ეკლესიები და  
მონასტრები, იწყო ახალთა შენება. მის დროს იქნა აგებული  
გელათის სახელგანთქმული მონასტერი, რომელიც ქართული  
კულტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად  
იქცა.

დავითი ხელს უწყობდა მეცნიერებისა და კულტურის  
განვითარების საქმეს, ქმნიდა მისთვის პირობებს; მის დროს  
ბიზანტიამი გაიგზავნა 40 ახალგაზრდა მთარგმნელობით ხე-  
ლოვნებაში გასაწრთენელად<sup>1</sup>.

დავით მეფემ მალე გაითქვა სახელი, როგორც მეცნიერე-  
ბისა და კულტურის მოღვაწეთა დიდმა მოამაგემ. არაბული  
და სპარსული წყაროები ვადმოგვცემენ, რომ დავითს ცალკე  
სახლი აეშენებინა მაჰმადიან მეცნიერთა და პოეტთათვის, ნივ-  
თიერი დახმარებაც აღმოეჩინა მათთვის და სხვ.

სომხური წერილობითი წყაროების ცალკეული მონაცე-  
მებიც კი გვაგვარაუდებინებენ, რომ ქართველთა მეფე ასეთი-  
ვე მტარველობასა და გულისხმიერებას იჩენდა მის თანამედ-  
როვე სომეხ მოაზროვნეთა მიმართაც. მხოლოდ ამით შეიძლე-  
ბა აიხსნას ის ურთიერთი პატივისცემა, რომელსაც იჩენდნენ  
ერთმანეთის მიმართ ქართველთა მეფე და სომეხ მოაზროვ-  
ნეთა წარმომადგენლები, რომლებიც, როგორც ჩანს, ხშირად  
ხვდებოდნენ ერთმანეთს საქართველოს დედაქალაქში. ამას  
მოწმობს XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კირაკოს გან-  
ძაყელის „ისტორიის“ ერთი ნაწყვეტი. ავტორი აქ ვადმოგვ-  
ცემს სომხური კულტურის ერთ-ერთი შესანიშნავი მოღვა-  
წის, სახელგანთქმული მეცნიერის, ფილოსოფოსისა და პოე-  
ტის, იოანე სარკავაგის, სიბრძნისმოყვარის დავით მეფესთან  
მეგობრობისა და მათი ურთიერთი პატივისცემის შესახებ.

„აგრეთვე მეცნიერებით მრავალზე უბრძნესმა, და  
ყველაფერში ჭკვიანმა, გონიერებით აღსავსე იოვანემ,

<sup>1</sup> ვ ა რ დ ა ნ ბ ა რ ძ რ ე დ ე ლ ი, მსოფლიო ისტორია, გვ. 157  
(სომხურ ენაზე).

რომელსაც უწოდებდნენ სარკავაგს, ახპატს დიდი შრო-  
მა გასწია წერილთა შესასწავლად, კეთილი სახსენებ-  
ლი დასტოვა... ფრიად ბრძენი კაცი იყო და ღვთის  
მადლით შემკული... ძლიერ უყვარდა იგი ქართველთა  
მეფეს დავითს, დემეტრეს მამას, დავითისა და გიორგის  
პაპას და ისე რომ, როგორც კი გაიგონებდა მეფის  
მოსვლას, ფეხზე წამოდგებოდა, მიეგებებოდა მას და  
ფსალმუნს ეტყობდა... ამის გამო მეფეს სომეხი ხალხიც  
უყვარდა“.

[«*Սույնպէս և մեծիմաստն դիտութեամբ քան զյուրիս և  
հանճարեղ յամենայնի՝ մտահարուստն Յովհաննէս, Սարկա-  
ւազն կոչեցեալ, ի Հաղբատս սա բազում ինչ աշխատասի-  
րեաց ի գիրս, յիշատակ բարի թողեալ... վասն զի յոյժ  
իմաստուն էր այրն և աստուածային շնորհք զարգարեալ...  
կարի յոյժ սիրէր զսա թագաւորն վրաց Դաւիթ, հայրն  
Դեմետրեայ, պապն Դաւիթ և Գեորգեայ այնքան, զի մինչ  
լսէր զգալուստ նորա, յոտն յահնէր ընդ առաջ նորա, և ասէր  
զսաղմոսս...: Եւ ի պատճառս սորա սիրէր թագաւորն զազգս  
հայոց»...]*<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებლის დროიდან თბილისი განსაკუთრებით  
დიდ როლს თამაშობს, როგორც საქართველოსა და ქართველი  
ხალხის, ასევე ამიერკავკასიის ცხოვრებაში, კელავ იზრდება  
მისი წონა ამიერკავკასიის ვაჭრობაში; ქალაქში აგებენ სას-  
ნეულოებს, ქარვასლებს, ვითარდება ხელოსნობაც. დავით აღ-  
მაშენებლის დროიდან მოყოლებული სომხები დიდ როლს  
თამაშობენ საქართველოს, განსაკუთრებით კი თბილისის  
ცხოვრებაში. სომხეთიდან გადმოხვეწილნი მეტწილად სახლ-  
დებიან საქართველოს ქალაქებში: თბილისში, გორში და  
სხვა ადგილებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სომხების როლი მოძმე სა-  
ქართველოსა და მისი დედაქალაქის საზოგადოებრივ-ეკონო-  
მიკრსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში თამარ დედოფლის ზე-  
ობის დროს. როგორც ცნობილია, თამარის დროს საქართვე-

კ ი რ ა კ ო ზ    გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი. სომხეთის ისტორია, გვ. 104 — 105.  
(სომხურ ენაზე).

ლოს ჯარის ამირ-სპასალარი (უმადლესი სარდალი) იყო ზაქარია მხარგრძელი, ფრონებით სომეხი; მისი მეთაურობით ქა-  
მატმა ჯარმა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა.  
ამ ჯარის რიგებში მოძმე ქართველი ხალხის მხარდამხარ  
საქართველოს განმტკიცებისა და სომხეთის განთავისუფლე-  
ბისათვის სომხებიც იბრძოდნენ.

ცნობილია აგრეთვე, რომ თამარ დედოფლის დროს სამე-  
ფო კარის ერთი ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი თანამდებობა,  
როგორც იყო ათაბაგობა, ზაქარიას ძმას — ივანე მხარგრძელს  
ჰქონდა. მინდობილი: მომდევნო საუკუნეებშიც სომხები აქ-  
ტიურად მონაწილეობდნენ მოძმე საქართველოსა და მისი  
დედაქალაქის თბილისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და  
ეკონომიურ ცხოვრებაში და აძლეოდნენ მას მთელ რიგ თვალ-  
საჩინო სახელმწიფო, დიპლომატიურ და სამხედრო მოღვა-  
წეებს.

როგორც ცნობილია, საქართველომ თავისი დიდების უმად-  
ლეს წერტილს თამარ დედოფლის (1184 — 1213 წწ.) დროს  
მიაღწია. ამ ისტორიულ პერიოდში თბილისი წარმოადგენდა  
წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს დედაქალაქს.

თამარის დროს საქართველოს დიდ მიღწევებთან ერთად  
შეეძლო ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანად ეცხოვრა.

ბუნებრივია, რომ მშვიდობიან პერიოდში გაერთიანებულ  
საქართველოსა და მის დედაქალაქს თბილისს ახალი განვი-  
თარება უნდა განეცადა. საქართველოს გაერთიანება ერთიან  
სახელმწიფოდ შესაძლებლობას იძლეოდა გაცხოველებული-  
ყო სავაჭრო ურთიერთობა ჯერ ქვეყნის შიგნით, საქართვე-  
ლოს საშინაო ბაზრებზე, ხოლო შემდეგ კი ქვეყნის გარეთ,  
საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის. შავი ზღვის  
სანაპირო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობას არსებითი  
მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონომიური განვითარე-  
ბისათვის. როგორც შინა, ასევე საგარეო ვაჭრობის განვითარე-  
ბა თავის მხრივ სტიმულს აძლევდა ხელოსნობისა და წარ-  
მოების განვითარებას, რაშიც მნიშვნელოვანი როლი თბილისს  
ეკუთვნოდა. ხელშემწყობი პირობები იყო შექმნილი აგრე-  
თვე მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის შემდგო-

მი აღმავლობისათვის. ამ საქმეშიც გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა თბილისს, რომელიც იმ დროს ცნობილი იყო „საოცარ პოეტთა ქალაქად“. აღნიშნულ პერიოდში მოღვაწეობდა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი გენიალური შოთა რუსთაველი. ამ დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწენი: იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, მოსე ხონელი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი. თამარის ეპოქაში აღმავლობას განიცდიდა აგრეთვე ქართული ისტორიოგრაფია, სწორედ ამ დროს შეადგინეს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი აღრინდელი რედაქცია, აღნიშნულ ისტორიულ ხანაში დაიწერა დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის საყოველთაოდ ცნობილი ისტორიები და სხვ.

XI — XII საუკუნეებში დიდ აღმავლობას მიაღწია აგრეთვე ქართულმა ხუროთმოძღვრებამ, რამაც მკაფიო გამოხატულება პოვა საუცხოო საეკლესიო ნაგებობებში, რომელთა რიცხვს განეკუთვნება თბილისის ლურჯი მონასტერი, მეტეხის ტაძარი და სხვ.

მაგრამ დიდებისა და ძლიერების მწვერვალს მიღწეულ საქართველოს და განვითარების გზაზე მდგარ მის აყვავებულ რედაქციაქს თამარ დედოფლის სიკვდილის შემდეგ აღარ ხვდათ წილად ხანგრძლივად ესარგებლათ მშვიდობიანი განვითარების, ეკონომიური და კულტურული აყვავების შესაძლებლობებით. შეიცვალა პოლიტიკური ვითარება აღმოსავლეთში. საბრძოლო ასპარეზზე გამოჩნდნენ აღმოსავლეთის ახალი დამპყრობნი — მონღოლები, რომელთა ლაშქრობების გეზი დასავლეთისაკენ იყო მიმართული. მონღოლებმა უწინარეს ყოვლისა დაიპყრეს ხვარაზმის სამეფო, ქვეყნის ფარგლებს გარეთ განდევნეს ხვარაზმის შაჰი ალ-ჰამედი და მისი შვილი ჯალალ-ედინი. მაშინ სიკვდილის შემდეგ ჯალალ-ედინმა დაიმკვიდრა მისი ტახტი (1220 — 1231), მოვიდა და გამაგრდა სპარსეთში, რომელიც იმ დროს ხვარაზმის ვრცელი სამეფოს ერთ ნაწილს წარმოადგენდა. ჯალალ-ედინი მონღოლთა წინააღმდეგ ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ მისი

მდგომარეობა მტკიცე არ იყო. მდგომარეობის გასამტკიცებლად აუცილებელი იყო, უწინარეს ყოვლისა, დაეჩოქებინათ საქართველო. და აი, ჯალალ-ედინმა მუქარის წერილით საქართველოს შესთავაზა ქვეშევრდომობა. მაგრამ ქართველ დიდებულთა მხარდაჭერით რუსუდან დედოფალმა (1222 — 1245) უარჰყო მისი წინადადება. გაცოფებული ჯალალ-ედინი სათავეში ჩაუდგა დიდძალ ჯარს და 1225 წელს ამიერკავკასიისაკენ დაიძრა. იგი შევიდა სომხეთში. ჯალალ-ედინის ჯარების წინააღმდეგ გამოვიდნენ სომეხ-ქართველთა გაერთიანებული ძალები ათაბაგ ივანე მხარგრძელის მეთაურობით. 1225 წლის შემოდგომაზე გარნიისის მახლობლად მოხდა საშინელი ბრძოლა, რომლის დროს ქართველ-სომეხთა გაერთიანებულმა ძალებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. აღნიშნულ ფაქტს, სამწუხაროდ, საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხებისათვის. გარნიისის დამარცხების შემდეგ ჯალალ-ედინი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, დაიპყრო განძა და გაგი ბარითურთ და საქართველოს გულის, თბილისისაკენ გაემართა. 1225 წლის დეკემბერში ჯალალ-ედინის ჯარებმა ალყა შემოარტყეს თბილისს. ქართველთა შუქმოსილი დედაქალაქის თავზე კვლავ შავად მოიღრუბლა. რუსუდან დედოფალმა ქალაქისა და ციხის დაცვა თბილისის ციხისთავს მიანდო, თვითონ კი ქუთაისისაკენ დაიხია. ჯალალ-ედინმა გადაძლიერა ქალაქის ალყა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაეპყრა იგი.

თბილისის თავს დამტყდარი ეს გამანადგურებელი თავდასხმა ასახულია როგორც ქართულ წყაროებში, ასევე სომხურ და უცხო ლიტერატურულ ძეგლებშიც, რომელთა ცნობები ავსებენ ერთმანეთს და იძლევიან შესაძლებლობას, რათა ერთი მთლიანი წარმოდგენა შეიქმნას ჯალალედინის ჯარების მიერ თბილისის აღების შესახებ. სომეხ ისტორიკოსთაგან ქართველთა დედაქალაქის ამ ახალი ტრაგედიის შესახებ მოგვითხრობენ ვარდან ისტორიკოსი, კირაკოს განძაკელი, ხოლო უცხოელთაგან — ცნობილი არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი, მიქაელ ასურის ქრონიკის გამგრძელებელი.

1226 წელს, დიდი მსხვერპლის ვაღების შემდეგ, ჯალალ-ედინმა ქალაქი საბოლოოდ დაიპყრა. მის არც თუ ისე სასწრაფო ლოვან გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა ჯალალ-ედინის მიერ ქალაქის მოსყიდული მუსლამანური მოსახლეობის დალატმა, რასაც მოწმობს ისტორიული წყაროები.

აი, მაგალითად, რას მოგვითხრობს მიქაელ ასურის ქრონიკის გამგრძელებელი:

„მაშინ მოვიდნენ ხვარაზმელები და ალყა შემოარტყეს ქართველთა დიდ ქალაქს ტფილისს. სპარსელებმა (მუსლიმანებმა — ვ. ნ.), რომლებიც ქალაქში იყვნენ, ქალაქი ხვარაზმელებს გადასცეს, ხვარაზმელებმა კი აღუთქვეს, რომ მშვიდობით დატოვებდნენ მათ თავიანთ ქონებითურთ“.

[«*შაკამ ძამანაკი ხკინ ჯირაღმჩენ და ყაჯარხენ ჟმხტ ჟაღაჟნ ჳრავ ეღჳიქისა. და ყარაიქღნ (მითიღმანხერე — ჳ. ნ.) ირ ჳაქინ ჳ ჟაღაჟნ, ხთინ ეჟაღაჟნ ჳ ჰხია ჯირაღმხაენ. და ჯირაღმჩენ ჯითთაენ ჟიღიღ ეღჳარაიქისა ჳაღაღიქხამე სითაეიღაბიჟ ჳრხანე*»]<sup>1</sup>.

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევის შესახებ საყურადღებო და დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი:

„მოუახლოვდა რა მას (ტფილისს), მან (ჯალალ-ედინმა) თავისთან მყოფი ჯარის უდიდესი ნაწილი რამდენიმე ადგილას ჩაასაფრა და თვითონ დაახლოებით 3 ათასი ცხენოსნის თანხლებით წინ, ქალაქისაკენ დაიძრა. ქალაქში მყოფმა ქართველებმა დაინახეს რა იგი, გული მოეცათ, რადგან მასთან მყოფ კაცთა რიცხვი დიდი არ იყო. არ იცოდნენ რა სხვა ჯარის არსებობის შესახებ, ისინი გამოვიდნენ ქალაქიდან და შეებრძოლნენ მას, ხოლო მან უკან დაიხია. ამან კიდევ უფრო განაწმენვა ისინი, რადგან იფიქრეს, რომ მირბისო და გამოუდგნენ მას. ხოლო როდესაც ისინი აღმოჩნდნენ

<sup>1</sup> მიქაელ ასური. ქრონიკა, იერუსალემი, 1871 წ., გვ. 523 (სომხურ ენაზე).

უკანდახეულ და ჩასაფრებულ ჯარებს შორის, ეს უკანასკნელნი გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ და მიჰყვეს მათ ქლექტას. ქართველთა ჯარის დიდი ნაწილი ამოწყდა, ხოლო გადარჩენილები გაიქცნენ და შევიდნენ ქალაქში. მათ კვალდაკვალ მისდევდნენ მუსლიმანები, მაგრამ, როგორც კი ისინი შევიდნენ ქალაქში, ქალაქის მცხოვრებთა მუსლიმანურმა ნაწილმა აახმაურა მინარეთები და გაისმა ჯალალ-ედინის სახელი, ქართველები კი სასოწარკვეთილებას მიეცენ და დანებდნენ; მათი ჯარების უდიდესი ნაწილი ამოწყდა წინა ბრძოლებში და ამიტომ მათი რიცხვი დამცრობილიყო, ისინი კი შიშსა და ძრწოლას მოეცვა. მუსლიმანებმა ქალაქი ძალით დაიპყრეს და „ამანის“ გარეშე, მათ ამოწყვეტეს ქალაქში მყოფი ყველა ქართველი, არ დაზოგეს არც ხანშიშესულნი და არც ბავშვები, მათ გარდა, რომლებმაც ისლამი მიიღეს და ყურანიდან რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. ისინი შეწყნარებულ იქნენ. ჯალალ-ედინმა ბრძანა, რათა ისინი წინადაეცვიათ და ხელი არ ეხლოთ მათთვის. მუსლიმანებმა დაიტაცეს მოსახლეობის ქონება, ტყვედ წაასხეს მოსახლეობის უმეტესობა და ბავშვები მონებად აქციეს. მცირეოდენ დაზარალდნენ ქალაქში მცხოვრები მუსლიმანებიც: ნაწილი ამოწყდა, ნაწილი კი გაძარცულ იქნა“<sup>1</sup>.

სომხური ლიტერატურის გარკვეულ ძეგლებში მეტად მოკლე ცნობები მოიპოვება ჯალალ-ედინის გამანადგურებელი ლაშქრობისა და მის მიერ თბილისის აღების შესახებ.

აი, მაგალითად, რას წერს ისტორიკოსი ვარდანი: „... (ჯალალ-ედინი) გაგის ბარის მხრით მოემართება თბილისისაკენ და დიდი ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ ხლათისაკენ გასწევს“.

<sup>1</sup> ნაწყვეტის სომხური თარგმანი ავიღეთ ჰ. მანანდიანის წიგნიდან, „სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა“, ტომი III, გვ. 189 — 190 (სომხურ ენაზე).

[«...*Գա (Ջալալիդդինը) ընդ կողմն դաշտավայրեացն  
Գադայ ի Տփխիս և բազում ռճիրս գործեալ՝ դահնայ*  
*վերայ իսլաթայ...*»]<sup>1</sup>.

მემატიანის მიერ ნახმარი გამოთქმა „დიდი ბოროტმოქ-  
მედება“ თავისთავად ბევრ რამეს გვაუწყებს ჯალალ-ედინის  
მიერ თბილისელთა მიმართ შეუბრალებელი და არაადამი-  
აური მოპყრობისა და იმ მძიმე და აუტანელი ანგარიშსწორე-  
ბის შესახებ, რომელიც სისხლ-მოწყურებულმა, ძარცვისა  
და აოხრების უინით შეპყრობილმა ხვარაზმელთა ურდოებმა  
ქალაქის გმირულად და თავგანწირულად დამცველ მოქალაქე-  
ებთან ერთად იხილეს. ძარცვა, ხოცვა-ჟლეტა, აოხრება, წარ-  
ტყვევნვა, იძულებით სარწმუნოებისაგან განდგომა — აი, ყვე-  
ლა ის საშუალებანი, რომელთაც ჯალალ-ედინი ქართველთა  
დედაქალაქის გმირი ხალხის წინააღმდეგ იყენებდა.

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევის შესახებ უფრო და-  
წვრილებით ცნობებს გვაწვდის XIII საუკუნის სომეხი ისტო-  
რიკოსი კირაკოს განძაკელი:

„...წავიდა (ჯალალ-ედინი — ვ. ნ.) ქალაქ ტფილისს.  
იქ მყოფმა სპარსელებმა (მუსლიმანებმა — ვ. ნ.) ხე-  
ლი შეუწყვეს მას. აილო ქალაქი, მცხოვრებთაგან მრავალი  
ამოწყვიტა და უფრო მეტი ნაწილი აიძულა უარ-  
ეყო ქრისტიანობა და სარკინოზთა ცრუ და მაცდური  
მოდღერება (მაჰმადიანობა) მიეღო. ამიერიდან მრავალ-  
ნი, სიკვდილის შიშით შეპყრობილნი, ჭეშმარიტებას  
სიცრუეზე სცვლიდნენ, სხვებმა კი ბეჩავ სიცოცხლეს  
მამაცურად სიკვდილი ამჯობინეს და დაიმკვიდრეს რა-  
მოწამის სახელი, კეთილად განვიდნენ ამ ქვეყნიდან.  
მერმე კი ბრძანა, რათა ყველა, რომელნიც დაემორ-  
ჩილებიან და რომელნიც არ დაემორჩილებიან, გა-  
მოდებიის გარეშე, ძალით წინადაეცვიათ. ამრიგად, ორ  
ვინმეს ძალდატანებით ჩაეჭიდა ხელი კაცთათვის  
მოედანზე, სხვას კი აეღო მახვილი და კვეთდა მამაკა-  
ცის ასოს კანს. საძაგელი სიბილწით ისინი დედაკაცებ-

<sup>1</sup> ვ ა რ დ ა ნ ბ ა რ ძ რ ბ ე რ დ ე ლ ი, მსოფლიო ისტორია, გვ. 188 (სომხურ ენაზე).

საც შეურაცყოფდნენ და ყველგან, სადაც კი <sup>წვარს,</sup> ან ეკლესიას ნახავდნენ, ამხობდნენ და ანგრევდნენ. მათ. ამას აკეთებდნენ ისინი არა მარტო ტფილისში, არამედ განძაში, ნახჭევანსა და სხვა ადგილებშიც“.

[«...ზნაყ ი ქაღაჲნ შაქსია, ლ ჰხინთოი ხღჲნ შარ-  
 აქღჲნ (მოიოიქმანხერე—ქ. ს.) იო ი ნამა, ლ აი ღჲაღაჲნ  
 ლ ღჲაღოიმა კითორხაყ, ლ ღღ'ა რაღოიმა რინაღათერ ჭი-  
 რიო ღჲერიათონქოიქინ, ლ ჴაღანქო ქარხეჲაქ ლ მოქარ ია-  
 მანნ შაღჲაყ (მაღამიღაქანოიქონერ): რაღოიჲ აქინოღხოს  
 ქერქიღჲ მაღოიანნ ღანღიტხაღ' ქოქანსაქქინ ღღ'ოიაროი-  
 ქინნ ღნღ ათოიქხანნ ლ აქღ ქანღან აიქინ ღმაღ რაღო-  
 ქხამერ ჲან ღღხანსა ქიღღჲ, ღღქკაქანს ანოინ ქოიანღხაღ  
 ხქინ კაღქაროღჲა რარქ ანოიამერ: ხღ ააყა ჴრამან ხო,  
 ირღ ჴაღანქინ ლ ირღ იღ, ი'ღ ჴარეჲაღნოიქინ აიხიღ, აქ  
 რინოიქხამერ ღამნხანსან ქოღათხიღ: ხღ აკაყღა რინაღარ  
 ხერქიოე იმანნე კაღხაღ ღღხიანქ მაიოღკან ი ჴრაყარაქი  
 ანღ, ლ მქინს აიხაღ აიოი, ჴათანქერ ღამაღკ აიხაყი ან-  
 იამოი, ლ ღნღ კანსაქანს ქოინსაქქინ ღაღოიაროიე აღოი-  
 ქხამერ. ლ ღნღ ამნსაქანს თხიქინ ი'ოი ლ ღოთანქინ ქაღ კამ  
 ხღხიღხი' კოიოანქინ ლ რაქქინ. ღაქა ი'ღ მქანს ი შაქსია,  
 აქ ლ ი რანჲასკ, ლ ი სანქღაღან, ლ კაქ თხიქინაღი»].

გარკვეული ისტორიული მონაცემებით აშკარა ხდება, რომ ჯალალ-ედინს ჯერ კიდევ არ ჰქონდა უფლება თავისი თავი საქართველოს დედაქალაქის მფლობელად და განმგებლად მიეჩნია. ეს იმ შეუპოვარი და გმირული ბრძოლის წყალობით იყო, რომელსაც ისინის ციხის<sup>2</sup> დამცველნი ხვარაზმელთა ჯარების წინააღმდეგ აწარმოებდნენ. ქალაქის დანარჩენი ნაწილი ჯალალ-ედინმა ცეცხლს მისცა, გაძარცვა, ააოხრა, მოსახლეობა ამოწყვიტა, მაგრამ ისინის ციხე არ ნებდებოდა მას. რუსუდან დედოფალმა უშედეგოდ ჩათვალა შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა და, მიუხედავად ციხის მცველი ჯარის ნებისყოფისა და სიმტკიცისა, ბრძანა ციხის ჩაბარება. ჯალალ-

<sup>1</sup> კირაკოზ განძაკელი. სომხეთის ისტორია, გვ. 213 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> შემდეგში შეტეხი.

ედინს მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო ედღესასწაულა თავისი სრული გამარჯვება.

თბილისის  
საქართველოს  
საქართველოს

თბილისის დაცემა მძიმე მარცხი იყო, როგორც თველოსათვის, ასევე მთელი ამიერკავკასიისათვის. ამ დამარცხებით „ძლიერად შეირყა ქართული იარაღის უძლველობის დიდება“. მიღწეული წარმატებით თავბრუდახვეულმა ამაყმა ჯალალ-ედინმა თბილისის დაპყრობის შემდეგ კვლავ განაგრძო დარბევა. მოკლე დროის განმავლობაში ჯალალ-ედინის ურდოებმა დააცარიელეს საქართველოს აყვავებული და მოსახლეიანი რაიონები. ხვარაზმის შაჰის შემდგომ მოქმედებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ თვით ქართველ ფეოდალთა შორისაც არ არსებობდა ერთობა და შეთანხმებული საქმიანობა.

თითოეული მათგანი მხოლოდ თავისი კუთხის დაცვისათვის ზრუნავდა და საკუთარი ციხე-სიმაგრისა და მიუვალი მთებისაკენ მიემართებოდა. თანდათანობით გაქრა ის საერთო ნაციონალური ინტერესი, შეგნება და სახელმწიფოებრივი აზროვნება, რომელიც უსოდენ მაღალი იყო XI—XII საუკუნეებში, განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს. იგრძნობოდა დანაკლისი ძლიერი ხელისა, რომელიც შეძლებდა ფეოდალთა დაშლილი და დაქსაქსული ძალების გაერთიანებას, მათი ერთი მიზნისაკენ წარმართვისა და უტყბოელი დამპყრობლებისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

თბილისის შემდეგ ჯალალ-ედინმა კარსსა და ანისზე ილაშქრა, მაგრამ უშედეგოდ. ამ ქალაქების მცხოვრებთა შეუპოვარი, გამირული და მტკიცე წინააღმდეგობის შედეგად ჯალალ-ედინის ურდოთა ძალები ნამსხვრევებად იქცნენ. ასევე ვერ შეძლო ხვარაზმ შაჰმა ხლათის აღება.

ჯალალ-ედინის ერთი წლის ბატონობამ მძიმე დაღი დაასვა თბილისის მცხოვრებლებს. მოთმინებიდან გამოვიდა ქალაქის მუსლიმანური მოსახლეობაც, რომელმაც თავისი მოღალატეობის მწარე ნაყოფი იგემა. ჯალალ-ედინი მათ მიმართაც ისეთივე დესპოტი იყო. ქართველებმა მთელ თავის ძალებს მოუყარეს თავი, რათა თბილისი კვლავ გაეთავისუფლე-

ბინათ. 1226 წლის დასასრულს მათ მშობლიური დედაქალაქი უკან დაიბრუნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლეს სი დიდხანს შენარჩუნება და იძულებული იყვნენ ჯალალ-ედინისთვის დაეთმოთ. ჯალალ-ედინისთვის საქართველოს დედაქალაქი, აღნიშნავს აკად. ჰ. მანანდიანი, სტრატეგიული თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა ისევე, როგორც დვინი და განძა.

„ჯალალ-ედინის ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ამიერკავკასიაში ტფილისი, განძა და დვინი იყო, — წერს აკად. ჰ. მანანდიანი — აქედან თურქთა ჯარები თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ და აოხრებდნენ საქართველოსა და სომხეთს. ამიტომ სომეხ-ქართველთა გადარჩენილ სამხედრო ნაწილებს, რომლებიც თავს აფარებდნენ თავიანთი ქვეყნების გამაგრებულ ქალაქებსა და სხვა ადგილებს, მტერი უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ დასაყრდენ პუნქტებში უნდა გაენადგურებინათ, რათა დაეცვათ საკუთარი ხალხი და ეხსნათ ისინი ამოწყვეტისა და უბედურებისაგან“.<sup>1</sup>

ძნელი იყო თბილისის დაცვა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარების თავდასხმებისაგან. ქართველები იძულებული იყვნენ ქალაქი კვლავ მტრისათვის ჩაებარებინათ, მაგრამ ამჯერად ცეცხლი წაუკიდეს ქალაქს, რათა მტერი იძულებული გამხდარიყო მალე დაეტოვებინა იგი. მაგრამ აღმოსავლეთის ამ სისხლისმსმელ დესპოტს წილად არ ხვდა დამტკბარიყო გამარჯვებულის დიდებით. მალე 1230 წელს მონღოლთა მრავალრიცხოვანი ჯარები დასავლეთისაკენ დაიძრნენ.

როგორც კი შეიტყო მონღოლთა შემოსევის ამბავი, ჯალალ-ედინი სასწრაფოდ გაიქცა ამიერკავკასიიდან. ამრიგად, საქართველო და, კერძოდ თბილისი განთავისუფლდა იმ უდიდესი უბედურებისა და ტრაგედიისაგან, რომელიც ხვარაზმელებმა თავს დაატეხეს მას. მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. დიდხანს არ დააგვიანდათ ხვარაზმელთა შემცვლელ ახალ დამპყრობლებს, მონღოლებს, რომლებიც უფ-

<sup>1</sup> ჰ. მანანდიანი. სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა, ტომი III, გვ. 190 — 191 (სომხურ ენაზე).

რო დიდი ძალით წამოვიდნენ და თავიანთი ვერაგობით ხვარაზმელებს გადააჭარბეს.

1235 წელს მონღოლთა მრავალრიცხოვანი ჯარებმა (აზერბაიჯანში) შეიჭრნენ, დაიპყრეს ბარდავი, ალყა შემოარტყეს განძას, რომლის მცხოვრებლებმა გმირობის ბრწყინვალე მაგალითი აჩვენეს. უცხოთა ბატონობისაგან შევიწროებული განძელები გამსჭვალული იყვნენ მტერზე გამარჯვების იმედით და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მას. მაგრამ ძალთა უთანაბრობაში, მტრის რიცხობრივმა სიჭარბემ ალყაშემორტყმული ქალაქის დამცველნი აიძულა დანებებულიყვნენ. განსაკუთრებით საყურადღებოა განძელების გმირული ბრძოლა მშობლიური ქალაქის დაცვისათვის, რითაც მათ დიდებით შემოსეს თავიანთი სახელი.

აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი:

„ხოლო ქალაქის მცხოვრებლებმა, როდესაც დაინახეს, რომ ქალაქი მტრის ხელთ არის, ერთი ნაწილი შეეფარა საკუთარ სახლებს და თითოეული მათგანი დაიწვა ნაგებობებთან ერთად, რათა მტერს ხელში არ ჩაეარდნოდა. სხვებმა კი ცეცხლს მისცეს ყოველივე, რისი დაწვაც კი შეიძლებოდა, ხოლო თვით ხელცარიელნი დარჩნენ. მტერმა იხილა ყოველივე ეს, უფრო მეტი მრისხანებით აღივსო და მახვილს მისცა ყველანი: კაცნი, ქალნი და ბავშვები. მათგან ვერაჟინ იხსნა თავი. მაგრამ ჯარის მცირედმა ნაწილმა, რომელიც შეიარაღებული იყო საჭურველითა და აბჯრით, დაარღვია ღამის მყუდროება და გაიქცა. მცირერიცხოვანი ნაძირალები დააკავეს და აწამეს, რათა მათ ეჩვენებინათ ადგილი, სადაც განძი ინახებოდა. ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილი კი ტყვედ წაასხეს, თვით კი გადათხარეს გადამწვარი სახლები და გამოიტანეს იქიდან, რაც კი იპოვეს. ასე მოქმედებდნენ მრავალი დღე, შემდეგ კი წავიდნენ“.

[«...ისე განსაკუთრებით ხერხი თხიხინ' მტე ათხალ და-  
კაჟან ზ მქნამხავენ, მთხალ ხორაჟანჯიორ ირ ზ თიონ ზორ'  
7. ვ. ს. ნაღბანდიანი

აქრხაგ ზ ქერაქ ჯერ ვეზინოაბნ. ვქ მქ' ანსევი ზ ბნია ქუნა  
მხაგნ, ლ აქქე აქრხეჲს ვამხნაჲს ირ ჰნე ბაქსიერ ზ  
წიოქ. ლ ჰნეხანე მქაჲს მნაგჲს. ლ ვაჲს თხახალ ქუნა  
მხაგნ' აიოახლ ლა ჰ ვააიომნ გარქიოქხან გრეხეგან, ლ  
აიორ ჰ გორბ არქხალ' ვამხნხახან ნარაქ სოქ ხაიონ,  
გარა ლ ვქან:აჲსან ლ ვამანქთი. ლ იე იე ვერბალ ჰ ნო-  
განქ, გაჲე აახალ ვიონე მქ ვიოი ქაიხალე ვჲნიო ლ ა-  
მხნაჲს აყათრასთიქხანამე, აყათაიხეჲს ვლივამნ მქ ვქეზ-  
ერი, ლ ვნაგჲს აჲაქსათახან ლ აქე აახალ ჰნე აქნეორე,  
გორა აყანეჲს' ლ ჰიოჲთანეხეჲს' ვიოგანხლ ვფანბან  
ი'ერ აყანაქ ჰეგნ. ააყა ვიამანა აყანჲს, ლ ვქქან ვერი  
ქარხეჲს. ლ ჰნეხანე ვრხეჲს ვაქრხაქ თიონან, ლ ვანჲს  
ვორა ვთჲს ქვაგიოხალ. ლ ვაჲს არარხალ ჰ გავიომ აიო-  
რეა, ვნაგჲს ჰ გაეჲ»<sup>1</sup>.

მონღოლთა ამოხრებელი ლაშქრობანი უდიდესი იყო  
ყველა იმ ბოროტებათაგან, რომელთა მოწმეც ოდესმე ყოფი-  
ლა კაცობრიობის ისტორია. „დიდ კრებაზე (ყურულტაიზე)  
მონღოლებმა გადაწყვიტეს შესეოდნენ არა მარტო რუსეთსა  
და ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებს, არამედ აგრე-  
თვე კავკასიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებსაც, უმთავრესად  
კი სომხეთსა და საქართველოს. მართლაც, საყურადღებოა,  
რომ 1236 წელს, როდესაც ჩინგიზ ხანის უფროსი ვაჟის,  
ჯუჩის შვილმა, ბათუმ, რუსეთის დაპყრობა იწყო, ჩარმა-  
ლანმა სომხეთისა და საქართველოსაკენ გაილაშქრა“.<sup>2</sup>

მიუხედავად ხალხის სასტიკი წინააღმდეგობისა, მონღო-  
ლებმა შეძლეს აზერბაიჯანის დაპყრობა, რის შემდეგაც მათი  
ჯარები საქართველოსაკენ დაიძრნენ. საქართველო ამ დროს  
უკვე მოკლებული იყო წინანდელ ძლიერებას. იგი აღარ ითვ-  
ლებოდა წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ, რომლის  
იარაღის წინაშე, არც თუ ისე შორეულ წარსულში, მტრები  
ძრწოდნენ. საქართველო უფრო მეტად იყო დაუძლიერებუ-  
ლი მონღოლთა თავდასხმების წინ, ვიდრე ჯალალ-ედინის  
ლაშქრობის დროს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ

<sup>1</sup> კ ი რ ა კ ო ზ გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი. სომხეთის ისტორია, გვ. 222 — 223  
(სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> ჰ. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი. სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილ-  
ვა, ტომი III, გვ. 198 — 199 (სომხურ ენაზე).

ხვარაზმელთა წინააღმდეგ საქართველოს მიერ წარმოებულ-  
მა ბრძოლებმა, რომლებიც დაახლოებით 7 წელი გაგრძელ-  
და, ძალიან დაასუსტეს ერთ დროს ძლიერი სახელმწიფო. გა-  
რდა ამისა, საქართველოს დაუძლეველ მნიშვნელოვნად შე-  
უწყეს ხელი ფეოდალურმა ბრძოლებმა და გარემსრბოლ  
ძალთა გაძლიერებამ. მონღოლთა თავდასხმის წინა ხანებში  
საქართველოს მსხვილ ფეოდალებსა, ქვეყნის მმართველ  
მთავართა და ჯარის მეთაურთა შორის არ არსებობდა ერთო-  
ბა და ერთიანი სურვილი მტრისათვის გადამწყვეტი წინააღ-  
მდეგობის გაწევისა. თითოეული მათგანი პირველ რიგში სა-  
კუთარი თავისა და ქონების გადარჩენაზე ფიქრობდა.

ამის შესახებ საყურადღებო ცნობებია შემონახული კი-  
რაკოზ განძაკელის „ისტორია“-ში.

„ყველა საკუთარ თავს უფრთხილდებოდა, იმალე-  
ბოდნენ ციხე-სიმაგრეებში, სადაც კი შეიძლებოდა,  
ხოლო ისინი (მონღოლები — ვ. ნ.) კალიასავით მო-  
ეფინენ მინდვრებს, მთებს, ხეობებს და წალეკვით  
ემუქრებოდნენ ქვეყანას“.

[«სსპნაყაჯ ხეხს ამხნხეხას, გაღქხაქრ კამრიყს,  
ი'რ ს კარაფქს. ს ზიყა აფიხხაქრ აი ზაყარაქ რიქ ს-  
რხას გაჯთაფ, ქრანუ ს ბირიფ, ქერს ფარაქა რაღმხრამ,  
კამ ქერს ფანბრს კირფიქხამ რ სიღხაქ ქ ქხრაქ ხერქიქ»]

ცხადია, რომ ამ პირობებში საგრძნობლად უნდა შესუს-  
ტებულიყო ქვეყნის თავდაცვა, განსაკუთრებით ისეთი ძალის  
წინაშე, როგორსაც წარმოადგენდა მონღოლთა მრავალათა-  
სიანი ურდოები, რომლებიც ნიაღვარივით ეშვებოდნენ და  
თავიანთ გზაზე ყოველივეს ანადგურებდნენ. ამასთან დაკავ-  
შირებით, სავსებით სამართლიანად შენიშნავს აკად. ჰ. მანან-  
დიანი, რომ „მონღოლთა ამ დიდი ლაშქრობის დროს არც  
სომხეთსა და არც საქართველოში მათთვის ორგანიზებული,  
სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. თავზარდაცემუ-  
ლი და დაუცველი ხალხი ყველგან საკუთარი ძალების მოიმიე-

<sup>1</sup> კირაკოზ განძაკელი, სომხეთის ისტორია, გვ. 225,  
(სომხურ ენაზე).

დე დარჩა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მონღოლები უმოკლეს დროში ქვეყნის ბატონ-პატრონად იქცნენ<sup>1</sup>

მძიმე იყო ზვედრი. მტრის თავდასხმით შეშინებულ სულან დედოფალმა ქვეყნის დედაქალაქის დაცვა ციხის მცველი ჯარის უფროსს, მუხასძეს მიანდო, თვითონ კი ქუთაისს გაეშურა, თან კი უბრძანა, რომ რა წამს მტერი დმანისთან გამოჩნდებოდა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ დედაქალაქი და ჯარი გაეყვანათ.

მონღოლთა ლაშქრობა საქართველოზე წინასწარ კარგად შემუშავებული გეგმით ხორციელდებოდა. ამ ლაშქრობას ჩაღათა ნოინი მეთაურობდა. მონღოლები ერთბაშად არ დასახმიან თავს საქართველოს და მის დედაქალაქს თბილისს, არამედ თავდაპირველად ალყა შემოარტყეს და დაიპყრეს დმანისი, სამშვილდე. ამით მონღოლების წინაშე თბილისისაკენ მიმავალი გზები განთავისუფლდა, რის შემდეგაც მონღოლთა ურდოებმა ყოველგვარი სიძნელის გარეშე დაიპყრეს თბილისი. კირაკოზ განძაკელი მოგვითხრობს მონღოლთა მიერ ცნობილი ციხე-ქალაქის, ლორის დაპყრობის შესახებ და მოიხსენიებს, რომ ჩაღათა ნოინის ურდოებმა საშინელი უბედურება მოუტანეს დაპყრობილ ქალაქს, გაძარცვეს იგი, ცეცხლს მისცეს, შეუწყნარებლივ ამოწყვიტეს მოსახლეობა. მოხუცებულები და ბავშვებიც კი არ შეიბრალეს. შემდეგ ისტორიკოსი დასძენს, რომ ასეთი ბედი ეწიათ საქართველოს სხვა ქალაქებსაც, მათ რიცხვში თბილისსაც.

„ასევე მოექცა იგი სხვა ქალაქებსაც, დმანისს, სამშვილდეს და დედაქალაქ თბილისს. ხელთ იგდო დიდი ნადავლი და ამოწყვიტა ყოველივე. (ჩაღათა ნოინმა — ვ. ნ.). ქვეყნის ყოველ მხარეს გაუშვა დამარბევი რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ, იტაცებდნენ და ჟლეტდნენ მოწინააღმდეგეს. არავინ იყო, რომ წინააღმდეგობა დასწრებოდა, ან შებრძოლებოდა მათ“.

**[*Այսպէս արարեալ և ընդ այլ քաղաքսն, ընդ Դիւանսիս և ընդ Շամշուլտէ և ընդ մայրաքաղաքն Տփլիսիս, առեալ զա-***

<sup>1</sup> 3. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი. სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა, ტომი III, გვ. 200 (სომხურ ენაზე).

მხნაჲს ადარს და კითხრას, დასაყათასჲს ქორს აქიძსაჲს და  
ამხნაჲს კიღმანსი კანქანასჲს არბასქამარს და კაქიჯათასჲს  
ქხამარს და კითხრამარს, ვი იჯ იჯ ჯრ, ირ დაჯღჳმ კაკრს და  
კამ აყათხრადჳქრ დაჯ ნიას»<sup>1</sup>.

მართლაც, სწორად ამბობს კირაკოზ განძაკელი, რომ არავინ იყო, რომ მტერს წინააღმდეგობა და ხალხთა ბრძოლისათვის ეხელმძღვანელა. ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ მანდატურთუხუცესმა შანშე (სომხურ წყაროებში შაჰანშაჰ) მხარგრძელმა ბედის ანაბარად დატოვა მისი განმგებლობის ქვეშ მყოფი ლორის, დმანისისა და მათი გარეშემო ადგილების დაცვის საქმე და თვითონ დასავლეთ საქართველოში, აჭარაში<sup>2</sup> გაიქცა. ავად ამირსპასალარმაც (მთავარსარდალმა) ასევე თავი ანება ქვეყნის დაცვის საქმეს და კენის ციხეში (სომხეთში) ჩაიკეტა, ხოლო ცნობილმა ფეოდალმა ვარამ გაგელმა, რომლის განმგებლობაში იმყოფებოდნენ სასაზღვრო რაიონები (შამქორი თავისი მიდამოებით), ყველაფერი დატოვა და ქუთაისისაკენ დაიხია.

ამგვარად, საქართველოს მთავრებმა მტერს ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა. მაგრამ, მიუხედავად ქვეყნის მთავართა ასეთი ქცევისა, ხალხი მაინც გამირულ წინააღმდეგობას უწევდა მონღოლთა ჯარებს.

მონღოლთა თავდასხმების შემდეგ ქართველ მთავართაგან ზოგიერთნი ძალიან მალე შეეგუენ უცხოელთა ბატონობას. და აი, მალე, კენის ციხეში შეხიზნულმა ავად მხარგრძელმა მორჩილება განუცხადა მონღოლებს, ხოლო მათ თავის მხრივ ავადგისათვის უნდა დაეტოვებინათ ქართველი მეფისაგან მიღებული მიწა-წყალი. მონღოლებმა შეიწყნარეს ეს თხოვნა. ასეთივე პირობებით მონღოლებს დამორჩილდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთავრებიც, იგივე შანშე, ვარამ გაგელი და სხვანი.

<sup>1</sup> კირაკოზ განძაკელი, სომხეთის ისტორია, გვ. 240 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგოვი. ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ. ტ. II გვ. 54 (სომხურ ენაზე).

ამრიგად, აღმოსავლეთი საქართველო მონღოლთა უღელ-  
ქვეშ მოექცა. ასე დაიწყო მონღოლთა ასწლოვანი ბატონობა.  
1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა, რის შემდეგაც მთელ  
ცილობა სამეფო ტახტის გარშემო. საკითხი იდგა: ვინ უნდა  
გამეფებულიყო მის შემდეგ — ლაშა-გიორგის ძე დავითი, თუ  
რუსუდანის ძე, რომელიც ასევე დავითად იწოდებოდა. მემ-  
კვიდრეობის ეს საკითხი, ბუნებრივად, შფოთის, სასახლის  
ინტრიგებისა და განხეთქილებათა წყაროდ უნდა გადაქცე-  
ულიყო და უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა ქართული  
სახელმწიფოს ერთიანობაზე. სამეფო ტახტის გარშემო ატე-  
ხილ ბრძოლას ბოლო მოუღო მონღოლთა დიდმა ხანმა, გუი-  
უყმა. მისი სურვილისამებრ პირველად უნდა გამეფებულიყო  
ლაშა-გიორგის ძე დავითი, ხოლო რუსუდანის ძე დავითი უნ-  
და გაბატონებულიყო სვანეთში და მეფე დავითის სიკვდილის  
შემდეგ, მემკვიდრეობით მიეღო სამეფო ტახტი. ლაშა-გიორ-  
გის ძე დავითი დამტკიცდა მამის ტახტზე თბილისში.

ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქი თბილისი, როგორც  
ისტორიკოსები გადმოგვცემენ, წინანდებურად ინარჩუნებდა  
თავის გაბატონებულ მდგომარეობას. სომეხი მემკვიდრეები  
მას კვლავ ასე უწოდებენ: „დიდი ქალაქი ტფილისი“<sup>1</sup>.

დავით მეფემ ტახტზე ასვლისთანავე შეძლო ქართველ და  
სომეხ მთავრებთან საერთო ენის გამოხახვა და მათი ძალების  
გაერთიანება. მეფის მიერ წარმოებული წინდახედული პოლი-  
ტიკის წყალობით ბოლო მოეღო სახელმწიფოს დამანგრეველ  
განუწყვეტელ შინაფეოდალურ ბრძოლებსა და უთანხმო-  
ებებს. მაგრამ ქვეყნის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ იყო სა-  
ნუგეშო. ამის შესახებ სრულიად სამართლიანად შენიშნავს  
პ. მანანდიანი: „მართალია, ქვეყანა მცირე ხნით დამშვიდდა,  
სომხეთსა და საქართველოს აღარ ემუქრებოდა გარედან სა-  
ფრთხე და დარბევები, მაგრამ ისინი ახალ ბატონთა გაუმაძ-  
ღრობით, სიხარბითა და აღვირახსნილი ექსპლოატაციით  
ძლიერ შევიწროვებული იყვნენ. მონღოლი ხელისუფალნი და  
მოხელენი არ კმაყოფილდებოდნენ დაწესებული გადასახადე-

<sup>1</sup> შალაქია ბერის მოსართა ხალხის ისტორია, გამოსცა ქ. პ.  
პეტერბურგში, 1870 წ. გვ. 18 (სომხურ ენაზე).

ბით, განუწყვეტლივ ადიდებდნენ მას და მოითხოვდნენ ცხენებს, ტანსაცმელს, აბრეშუმს, ტილოს, ოქროსა და სხვა ძვირფას ნივთებს“<sup>1</sup>.

ასეთივე ვითარება იყო შექმნილი აგრეთვე ქართველთა დედაქალაქ თბილისში. დავით მეფე, ქართველი და სომეხი მთავრები მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდნენ. 1249 წელს თბილისში მოწყობილ თათბირზე გადაწყდა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულებიყვნენ, მაგრამ ლალატის გამო საქმე გამომჟღავნდა და აჯანყება ჩაიშალა. ბრძოლის სურვილი მაინც არ გამქრალა, ლაშა-გიორგის ძე დავით მეფე 1259 წელს თავის ვასალ მთავრებთან ერთად, მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყებულებმა დატოვეს დედაქალაქი თბილისი, თავიანთი ციხეები და აფხაზეთს მიაშურეს.

„ხოლო ქართველთა მეფე დავითი, ლაშას ძე, რომელიც თათრებს ემორჩილებოდა, შეწუხებული და თავმობეზრებული იყო ახალ-ახალი ხარკის მოთხოვნისაგან, რომელიც წარმოუდგენელი სიმძიმით ავიწროებდა თვით მეფეს, ყველა მთავარს და, საერთოდ, მთელ ქვეყანას. ამისი მოსბობა კი მათ არ შეეძლოთ. მან დატოვა თავისი ქალაქი ტფილისი, სამეფო ტახტი, ყოველივე, რაც კი გააჩნდა და აფხაზეთში გაიქცა, სვანეთის სიმაგრეებს მიაშურა. მასთან ერთად გაიქცნენ, აგრეთვე, სხვადასხვა კუთხეთა დიდ-დიდი მთავრები, რომლებიც ასევე შევიწროებული და გაჭირვებული იყვნენ. მათ გაყიდეს, დააგირავეს ქალაქები და სოფლები, მაგრამ ვერ შეძლეს წურბლის მსგავსად დაეოკებინათ გაუმადლარნი“.

*[«ისაკ მთავარი იყრე რაქიშ ირქი შალაქინ (ახთჳ ჳ ილღხლ ჳაჯაქინ— პ. ს.), ირ ჳაქრ ჳ რნაღანღოქსან მთმარქინ, ნხღაღაღ ჳანბრღაღა ჳ რაღიღ რარქაღაღან-ღოქსანან ირ ნხღქქინ ჳნა ჳ ჳამნნაქნ ჳღქსანანს ჳ ჳამნნაქნ აღქსარღა ანრნარქინ ბანრიოქსანამღიორ იღ ჳარქქინ*

<sup>1</sup> ვ. შ. შ. ან დ. ა. ნ. ი, სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა, ტ. II, გვ. 222 (სომეხურ ენაზე).

բառնալ: Եթող նա զքաղաք իւր զՏիփլիս, և զաթու, և զա-  
 մենայն ինչ՝ զոր ունէր, և փախեալ ի խորին Տիփլիսի  
 յամուրսն Սուանիքոյ. ընդ նմա և այլ մեծամեծ իշխանսք  
 գաւառաց, նեղեալք և տառապեալք, ծախեալք և դրաւ նդեալք  
 զքաղաքս և զգաւուս, և ոչ կարացեալք յագեցուցանել  
 զանյագսն ըստ նմանութեան չար տգրկաց» 1.

մագրամ խալիֆն ար շահն էր. կըլազ շիքն զմիրալ Մու-  
 նաալմուքն զմերս և զմոնղոլ զամբարոնեան ի զաւր  
 մշտնադար զիւր զնա, և փախեալ ի խորին Տիփլիսի  
 յամուրսն Սուանիքոյ. ընդ նմա և այլ մեծամեծ իշխանսք  
 գաւառաց, նեղեալք և տառապեալք, ծախեալք և դրաւ նդեալք  
 զքաղաքս և զգաւուս, և ոչ կարացեալք յագեցուցանել  
 զանյագսն ըստ նմանութեան չար տգրկաց» 1.

„Յոլո զմագրամ շահն ար շահն զմիրալ Մունաալմուքն  
 զմերս և զմոնղոլ զամբարոնեան ի զաւր մշտնադար  
 զիւր զնա, և փախեալ ի խորին Տիփլիսի յամուրսն  
 Սուանիքոյ. ընդ նմա և այլ մեծամեծ իշխանսք գաւառաց,  
 նեղեալք և տառապեալք, ծախեալք և դրաւ նդեալք զքաղա-  
 քս և զգաւուս, և ոչ կարացեալք յագեցուցանել զանյագսն  
 ըստ նմանութեան չար տգրկաց» 1.

[Իսկ մեծ ոստիկանն Արդունն զոր բազում գումարեալ,  
 գնաց զհետ փախուցեալ թագաւորին Դաւիթ, զի ըմբռնեսցէ

1 Կ ի ռ ա յ ո շ Գ ա յ մ ա յ Ե լ ի . Տ ո մ ի ք ե տ ի ի Տ ի թ ռ ի յ ա . Գ Յ . 373 (Տ ո մ ի ք շ ռ Ե Ն Յ Ե ) .

ენა. და ჩერს იუ კორაჲ ძამანსხენამ, ვერადიმ ვარაი  
ქრაჲ კითორსაჲ და ვერსაჲ ანსანაჲყარ. აჲ და ვერსაჲ  
მანათონსა შადორაჲს ქრაჲ ვერსაჲ, სასთქარაჲს  
კითორსაჲ და ვანდსაჲ. და ვლქილქილსარანს ვლქილქი  
ნოქსაჲს კითორსაჲ ანოჲორამარ: ჩაჲჲ კანსარბასქი ხ-  
კინ ვინოჲ მს ვანსილქი ქ ქრაჲ და ვილქინ მსო ვანოქსინა,  
ეჲ ვერადიმს კითორსაჲს ქ ვიორაჲ სრქინსინ ქერს ვიორ  
ენოჲ ხელქს ვანსაჲს, და ხანსანს ვანსაჲს იოჲსანოჲს. და ღქინ  
არქ ქერს ვიორ ვარქი: ხს ხრქილქსაჲ სრქინსინ, იუ ხქქს  
ანსაჲს ვამარბასქ მათანსქ ხოლქს ვქსარანსა<sup>1</sup>.

საქართველოსა და სომხეთში განსაკუთრებით მძიმე იყო მონღოლური გადასახადები. ამ გადასახადებისაგან ყველაზე მეტად მშრომელი ხალხი იტანჯებოდა. ქალაქის მოსახლეობის ხვედრიც ამ თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდებოდა გლეხთა ხვედრისაგან. ქალაქების განვითარება, რომელმაც ესოდენ ფართო გაქანებას მიაღწია საქართველოს ერთიანობის ხანაში, განსაკუთრებით კი თამარ მეფის ზეობის დროს, საგრძნობლად შეფერხდა მონღოლთა ბატონობის პერიოდში. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ ქალაქის მკვიდრთ, კერძოდ ხელოსნებსა და ვაჭრებს მეტად დიდ გადასახადებს ახდევინებდნენ.

ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის კირაკოზ განძაკელი. ეს ცნობები ეხება არა მარტო სომხეთს, არამედ, აგრეთვე მონღოლთა ბატონობაში მყოფ სხვა ქვეყნებსაც, პირველ რიგში კი მეზობელ საქართველოს.

„ამით არ დაკმაყოფილდნენ, არამედ ქალაქებსა თუ სოფლებში მცხოვრებ ყველა ხელოსანს გადასახადი დაადევს, ასევე სათევზაო ზღვებსა და ტბებს, რკინის საბადოებს, მჭედლებსა და მღებრებს. რა საჭიროა დაწვრილებით ჩამოთვლა? სარგებლობის კარი დახშეს კაცთათვის, ხოლო თვით მოგებას იღებდნენ. დაეპატრონენ მარილის საბადოებს კოლბსა და სხვა მხარეებში. ვაჭართაგანაც მრავალი სარგებელი ნახეს, დააგროვეს ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი თვლების

<sup>1</sup> კირაკოზ განძაკელი. სომხეთის ისტორია, გვ. 374 (სომხურ ენაზე).

დიდძალი განძი. ამრიგად, ყველა შეავიწროვეს, გლდუ  
ბითა და ტირილით აღავსეს ქვეყანა, დატოვეს ბერო  
ტი ოსტიკანები, რათა ხარკი ყოველ წელს ისევე მოე  
თხოვათ, იმავე რიცხვითა და წიგნით“.

[«...სკიი იჯ რასაკანაგან, აქი ს დამხნაჲს არიხი-  
თაგჲთა, ხჷქჷ ჯი დაჲაჲა ს ხჷქჷ ჯი ფიღა, დამხნაჲს ჯი ზარ-  
კი ჯაგეიჯი: სკი ს დჷიქასა ს დჷიქა ბჷნიოჲსაჲ, ს დერ-  
ქაქანანა, დერქიქა ს დჷაჲარაჲა, ს დჷი აქითიქჷ მან-  
რამანარაჲა ასხი, დამხნაჲს დიონ ჯაჯიჲ ჯათიჲ ჯი  
მარქლანჷ, ს ჯინჷხანჲ მქასა ჯაჯიქი ს დამხნაჲს ადჲა-  
ჯანან აიქი, ირ ჯი ჯიღჲ, ს ირ ქაქი ჯიღმანა: სჲ ს ჯი ქა-  
ჯაოქანაჲჲ რადილჷ ჯინჷა ჯაჯიქა, ჯიოთხიქინ დანბჲ ასა-  
თიქი ისიქი ს არბაქიქი ს აქანჲ აქათოქანაჲჲ, ს  
აქაქაჲა დამხნაჲსი ს დჷაგეიჯიქა, ს ქაქი ს აქქაროქ  
ქჷხაქი დჷაქარაჲა, ქიღიქი ჯარ იოთიქანაჲ ჯი ქიბრაქი აქქარ-  
აგჲა დნიქი აქანანჷხი ქამხნაჲს ამქი, სიქინ ჯამაროქ  
ს დროქა»]

მონღოლთა ბატონობის დროს მშრომელი ხალხის ბედშავი  
მდგომარეობის სურათი უფრო სრული იქნება, თუ მხედვე-  
ლობაში მივიღებთ, რომ მშრომელთა ძარცვაში მონღოლებს  
არაფრით არ ჩამორჩებოდა ქვეყნის ბევრი ადგილობრივი  
მთავარი, რომლებიც შეთანხმებული იყვნენ მონღოლ ხელი-  
სუფლებთან.

საყურადღებოა კირაკოზ განძაკელის შემდეგი ცნობა:

„აგრეთვე მთავრები, მათივე ქვეყნის პატრონე-  
ბი, საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის  
ხალხის შევიწროებაში მონღოლების მომხრედ  
იქცნენ“.

[«სკი ს ქქასანჷს თხარჲ დასაოაგჷს სიგიონ (მინიღიქი-  
ქიქი) დორბაქიქი ქხაქი ჯი სხიქიქი ს ჯი აქანანჷხი ქასა  
ქიქანაჲ ჯაჯიქი...»]<sup>2</sup>.

<sup>1</sup> კირაკოზ განძაკელი. სომხეთის ისტორია, გვ. 349 (სომ-  
ხურ ენაზე).

<sup>2</sup> იქვე.

მონღოლთა მიძიმე ბატონობის შესახებ სისხლის ცრემლით მოგვითხრობენ სომეხი და ქართველი მემკვიდრეები. ასევე მწარე გოდებით გამოსახავენ მონღოლთა აუტანელ ბატონობას მხატვრული სიტყვის ოსტატნიც. შუა საუკუნეების სახელგანთქმული სომეხი პოეტი ფრიკი, რომელმაც თვით განიცადა მონღოლთა უღლის სიმძიმე, ამგვარად ასახავს ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის ამ კოშმარულ მონაკვეთს:

„ღმერთო, თავს გვაყრია ცეცხლი და ღაღარი,  
რაც მეფედ დაგვიჯდა ურჯულო თათარი.  
მან ჩვენ — ქრისტიანებს — დაგვადგა ხუნდები.  
თავზე სადიდებლად დაგვასვა ქურდები.  
და შერყვნეს თათრებმა ნათელი დღეები,  
უფასოდ წარეკეს მრავალი ტყვეები.  
ჩვენში ეკლესია ხანძრითა გიზგიზებს,  
თათრები მათ ნაცვლად აგებენ მიზგივებს.  
მოსთელი, ქრისტიანი დაობლდა რამდენი?  
სისხლი მთას წალეკავს ქართველთა ნადენი,  
რაოდენ ჩადიან მტრები სისაძაგლეს,  
რამდენი ქართველი ტანჯვით ჩააძაღლეს.  
ცოცხლებს ტყავს გვაძრობენ, სურთ მარად გვაწვალონ  
და შენც მათ პატივს სდებ, ოდნავაც არ გეწყალობ.  
არ გესმის ქართველთა ურვა და გოდება,  
ნუთუ ქრისტიანი აღარ გეცოდება!“<sup>1</sup>

პოეტი შემდეგ წყრომით მიმართავს ღმერთს:

„უფალო, შენ ცხადად უარყოფ შურს,  
არ გვიშერ მოწყალებ, არც გვიგდებ ყურს.  
ხომ იცი, ჩვენცა ვართ ხორციელთაგანი  
და არა სპილენძის უგრძნობი საგანი?“

მაგრამ საყურადღებოა, რომ მიძიმე და აუტანელ დროშიც კი ხალხში არ შენელებულა მეცნიერების, ლიტერატურისა და კულტურის მიმართ სიყვარული. ამ მკაცრ ხანაში ქართველი და სომეხი ხალხი კვლავ თავისი სულიერი კულტურის განვითარებისათვის ზრუნავდა. როგორც პოლიტიკურს, საზოგადოებრივსა და ეკონომიურ ცხოვრებაში, ასევე სულიერი კულ-

<sup>1</sup> წიგნში მოთავსებული ყველა ლექსი თარგმნილია ბ. აბულაძის მიერ.

ტურის განვითარებაში ორი მოძმე ხალხი განაგრძობდა ერთ-ერთ-დახმარებასა და ერთმანეთისათვის მხარდაჭერას. რემონტის რემონტს, უეჭველია, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ დამ წარმოადგენდა ქართველ და სომეხ ხალხთა სულიერი კულტურის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. წერილობითი წყაროები საინტერესო და საყურადღებო ფაქტებს გადმოგვცემენ მოძმე ხალხების კულტურული თანამშრომლობისა და ურთიერთი ზეგავლენის შესახებ. აი, ერთი მათგანი:

1284 წელს სომხური კულტურის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ, ცნობილმა ასტროლოგმა, ფილოსოფოსმა და პოეტმა — ჰოვანეს ერზინკაელმა, თბილისის საკრებულო ტაძარში (სომეხი ვაჭრის უმეკის მიერ იყო აგებული) კოსმიურ-ასტროლოგიური საკითხების შესახებ საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა. საყურადღებოა, რომ სომეხ მეცნიერს მიზნად ჰქონდა დასახული გადმოეცა არა მარტო წვრილმანი დოგმატური საკითხები, არამედ შეხებოდა მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს. ქადაგებამ დიდი გამომხატურება პოვა მსმენელთა შორის. შემდგომ იგი თვითონვე ჩაწერა ჰოვანეს ერზინკაელმა. ერზინკაელი თავისი ქადაგების წინასიტყვაობაში შემდეგს წერს:

„...მე, მდაბალი ჰოვანეს ერზინკაელი, მოწაფე სულიერი მამისა და წმიდისა მოძღვრისა ვარდანისი, მსახური წმიდა წერილთა სიტყვისა. 1284 წელს მომეცა შემთხვევა მოვსულიყავ ქართველთა ღვთივ დაცულ სამეფოში, სახელგანთქმულსა და დიდ ღედაქალაქ ტფილისში, რომელიც მემატიანეთაგან ფაიტაკარანად იწოდება, და მომიხდა წარმომეთქვა ქადაგება დიდად პატივცემულის, ბრძნისა და სომეხთა დიდი მთავრის პატრონ ქარიმადინისათვის ეკლესიის კარს, რომელიც აეშენებინა მის ღვთისმოყვარესა და კეთილ სულიერ მამას — პატრონ უმეკს. წარმომქმული იყო სიტყვა ზეციური მოძრაობისათვის“.

[«...ხა, ნილასთ შიჯანნქა ხრეჩკაქეჩი აჯაკხრო ღი-  
ფხიქე ზორნ ხ სიორე ქარეყაყხთინ ქარეყანაყ საყასათორ

სიორე ვრთე რანხი: ზე შქან' ვიჟი ყათარხანე ვაქ ზე კილიანსა  
 ასათილბათაჲ ქაფატირილქხანსა აქსარჩიას ქრავე, ზე ვრთე  
 ვაკლიორ ზე ზე მხბ ზე მავრაფაქაქან ზე შიქჩიას, ფაქათანა  
 რანს კილხეხაქ ზე ვჩრას ყათამიოღავ: ხე ზანჩიყხევა ზე ხიხი  
 მხვ რანს ვაროვილქხანს ზე დიონს ხიხილხეციქან' მხბაყათილ  
 ზე ზიჩხამაქილ ზე მხბ ზე ქხანს ზაქივ ყათონ ჭარქამათჩინს,  
 ვორ ვჩინხაქ ზე ასათილბათაქ ზე რარქი ზიფქი ზაქი ზიორა  
 თარონს იამქან: ხე ზე ზიხიხეხაქ რანს' კაღაღა ხიქინაქინ  
 ვარქამანსა) )

უნდა ვივარაუდოთ, რომ როგორც მანამდე, ასევე მონ-  
 დოლთა ბატონობის პერიოდშიც, კულტურის განვითარების  
 მნიშვნელოვან ცენტრს კვლავ წარმოადგენდა თბილისი, სადაც  
 ქართველი და სომეხი მეცნიერები სიტყვებსა და ქადაგებებს  
 წარმოსთქვამდნენ, სადაც იწერებოდა, იხატებოდა და მრავლ-  
 დებოდა ხელნაწერები, ითხზებოდა გმირული ისტორიები,  
 სიმღერები და სხვანი და სხვანი.

\*  
\* \*

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საქარ-  
 ველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, კერძოდ ვენეციას-  
 თან და გენუასთან არსებული სავაჭრო ურთიერთობა, რომე-  
 ლიც მეტწილად შავი ზღვით წარმოებდა, რამდენადმე გაცხო-  
 ველდა. ამ სავაჭრო ურთიერთობაში მონდოლთა ბატონობის  
 ქვეშ მყოფი აღმოსავლეთი საქართველო და თბილისიც ჩაება.  
 „...მონდოლთა დიდ ხანებსა და მათ ზღლისუფლებს სათავე-  
 ში მდგომთ, — შენიშნავს აკად. პ. მანანდიანი, — ძალიან  
 კარგად ესმოდათ, რომ ვაჭრობის განვითარება სასარგებლო  
 იყო მათთვის და შეეძლო მოეცა დიდი შემოსავალი“<sup>2</sup>.

ცხოვრებამ თანდათანობით იწყო გამოცოცხლება საქარ-  
 თველოს ქალაქებში და პირველ რიგში ქვეყნის დედაქალაქში,

<sup>1</sup> იო ა ნ ე რ ზ ი ნ კ ა ე ლ ი, თბრობა ზეციერ სხეულთა მოძრა-  
 ობისათვის, მთიებთათვის, რომლებიც მასზეა და ქვეყნის დამყარების  
 შესახებ. ახალი ნახიქვეანი, 1792 წ., გვ. 9 — 10 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> პ. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი. სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმო-  
 ხილვა, ტომი III, გვ. 260 (სომხურ ენაზე).

რომელიც ამ პერიოდშიც ამიერკავკასიის ვაჭრობისა და წარმოების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ვენეციელი მოგზაურის მარკო პოლოს აღწერა. მართალია, საქართველოში ის არ ყოფილა, მაგრამ ესტუმრა სპარსეთს XIII საუკუნის ბოლო მეოთხედში და ჩანს, იქ შეკრიბა საქართველოსა და თბილისის შესახებ ცნობები, რომლებიც მან თავისი მოგზაურობის აღწერაში შეიტანა.

მარკო პოლო დიდად აფასებს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს და შემდეგ გადმოგვცემს თბილისის შესახებ:

„ამ ქვეყანაში ერთი მშვენიერი ქალაქი არის, სახელად თბილისი, რომელიც გარშემორტყმულია გარეუბნებითა და ურიცხვი სიმაგრეებით. მცხოვრებნი ქრისტიანები არიან: სომხები და ქართველები, არიან აგრეთვე ცოტადენი სარკინოზნი და ურიები. აქ ამზადებენ აბრეშუმსა და სხვა ქსოვილებს. ხალხი მისდევს ხელოსნობას, ემორჩილება თათართა ხანს“<sup>1</sup>.

ლიტერატურული ძეგლების გარკვეული მონაცემებით მტკიცდება, რომ XII — XIII საუკუნეებში საქართველოსა და კერძოდ მისი დედაქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოში გადმოსული სომეხი ვაჭრები და ხელოსნები, რომლებსაც ქართველთა მეფე მფარველობდა.

მონღოლთა მიერ ქალაქ კარის (ყარსის) აოხრებისას გადარჩენილი და შემდეგ თბილისში გადასული ერთი ასეთი ქდიდარი ვაჭრის უმეკის შესახებ (მისი სახელი ზევითაა მოხსენებული) კირაკოს განძაკელი შემდეგს მოგვითხრობს:

„მათგან (მონღოლთაგან) ფრიად განდიდდა ერთი მდიდარი ვაჭარი, სახელად უმეკი... მან იმ დროს საცხოვრებლად ქალაქი ტფილისი აირჩია. ქართველთა მეფის დავითის მამად იწოდებოდა, განდიდებული იყო ყაენისაგან და ყველა დიდებულთაგან“.

*[...შხბარხეაჲ ზ ნიფანჯ აყრ აქი მხბათიან ქანაოი-  
კან, იამხკ ანიონ... ხ ჯრ კაქნტამ ზ შიქიქა რაღაქრ*

<sup>1</sup> Путешествие Марко Поло, перевод на русский язык И. Минаева, СПб, 1873, стр. 20.

ცხადია, ვაქარს, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო როლი რომ არ შეესრულებინა, მისი თანამედროვენი „მეფის მამად“ არ მოიხსენიებდნენ. უმეკის მსგავსად მდიდარი სომეხი ვაჭრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოსა და მისი დედაქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში.



XIV საუკუნის 20-30-იან წლებში მონღოლთა გავლენა საკმაოდ შესუსტდა საქართველოში. ამით ისარგებლა ქართველთა მეფემ გიორგი V (1314 — 1346). მან გაათავისუფლა ქვეყანა მონღოლთა უღლისაგან და ხელი მიჰყო ქართული სამეფოს ერთიანობის აღდგენის საქმეს. გიორგიმ შეძლო საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა სამცხე და იმერეთი, რითაც თითქმის მთლიანად აღადგინა თამარ მეფის დროინდელი საქართველო. მაგრამ წარმატება ხანგრძლივი არ ყოფილა.

XIV საუკუნის ბოლო მეოთხედში, მთელ ამიერკავკასიას და მათ რიცხვში, საქართველოს უფრო დიდი უბედურება ემუქრებოდა — სისხლისმსმელი თემურ-ლენგის ამოხრებაელი ლაშქრობანი; მონღოლთა მძიმე ბატონობის შემდეგ ამ ლაშქრობებს ახლად სულმოთქმული ამიერკავკასიის ხალხებისა და ქვეყნებისათვის გამანადგურებელი შედეგი ჰქონდათ. „ის დიდი უბედურება, — წერს აკად. პ. მანანდიანი, — რომელიც თავს დაატყდა დასავლეთ აზიას თურქ-სელჯუკთა და თურქ-მონღოლთა ლაშქრობის ეპოს (XI — XIII საუკუნეებში), და რომელმაც მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა არა მარტო სომხეთის, არამედ აგრეთვე მეზობელი ქვეყნების კულტურულ განვითარებას, კვლავ დიდი სიძლიერით განახლდა

<sup>1</sup> კირაკოს განძაკელი, სომხეთის ისტორია, გვ. 349 — 350 (სომხურ ენაზე).

XIV საუკუნის ბოლო მეოთხედში, ამჯერადაც თურქ-მონღოლურ ურდოთა, ჩაღათაელთა მხრივ, რომელთა წინამძღვრული თემურ-ლენგი იყო<sup>1</sup>.

სისხლისმსმელ ჩინგიზ-ხანს ბევრი მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ არც ერთ მათგანს ისეთი ღრმა და საძულველი კვალი არ დაუტოვებია ამიერკავკასიის ხალხთა მახსოვრობაში, როგორც თემურ-ლენგმა დატოვა.

თავრიზის დაპყრობის შემდეგ, 1386 წლის გაზაფხულზე, თემურ-ლენგის მრავალათასიანმა ჯარმა არაქსი გადალახა და სივნიეთში შეიჭრა. შემდგომ მან დაარბია აირარატის ოლქის აღმოსავლეთი რაიონები, დაიპყრო კოლბი, გარნისი, ბიჯნისი და სხვა ქალაქები და დასახლებული პუნქტები, მილეწ-მოლეწა ციხეები, მახვილს მისცა და ტყვედ წაასხა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ბიჯნისის დაპყრობის შემდეგ თემურ-ლენგის ველურმა ურდოებმა თბილისზე ილაშქრეს, აიღეს იგი 1386 წლის 21 ნოემბერს, დაატყვევეს ბაგრატ მეფე და საქართველოს დედოფალი.

თემურ-ლენგის ჯარების მიერ ქართველთა დედაქალაქის აღების ამბავი ფართო ასახვას პოულობს როგორც იმდროინდელ, ასევე მომდევნო ეპოქის მწერალთა ნაშრომებში. იგი ბერძნულ ლიტერატურაშიც კი არის ასახული, კერძოდ, ბერძენი მემკვიდრე მიქაელ პანარეტი გადმოგვცემს შემდეგს:

„გამოვიდა (თემურ-ლენგი) ჩინეთის მთებიდან, და როგორც მცოდნენი ამბობენ, თან ჰყავდა 800.000-ზე მეტი კაცი, მოვიდა და დაიპყრა მთელი სპარსეთი. შემდეგ შეიჭრა იბერიის მთებში, გააჩაღა ბრძოლა და ხელთ იგდო გასაოცარი ქალაქი ტფილისი. მან ტყვედ წაიყვანა მხნე მებრძოლი ბაგრატ მეფე, მისი ცოლი, ჩვენი მეფის ასული, მშვენიერი კირ-ანა და მისი ვაჟი დავითი, ხოლო მცხოვრებნი ამოწყვიტა და მოსრა. როგორ მოაოხრა მან ყოველივე, რამდენი ხატი გაძარცვა და დაწვა, რაოდენი ძვირფასი თვლები, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო თან, ამის აღწერა

<sup>1</sup> 3. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა, ტომი III, გვ. 343 (სომხურ ენაზე).

არავის შეუძლია. და მოხდა ყოველივე ეს ნოემბრის  
21-ს, 895 (1386) წელს“<sup>1</sup>.

საქართველოს  
ისტორიის

როგორც ჩანს, ქალაქის მცხოვრებნი მტრისადმი მორჩი-  
ლების არავითარ ნიშანწყალს არ ამჟღავნებდნენ, არამედ,  
პირიქით, მთელი ძალების დაძაბვით შეუპოვარ წინააღმდეგო-  
ბას უწევდნენ მას. მაგრამ თემურ-ლენგი უფრო მეტად  
აფიწროებდა ქალაქის დამცველებს, იყენებდა ზღუდეთა სანგ-  
რევე მანქანებს. საბოლოოდ, დიდი მსხვერპლის გაღების შე-  
დეგად მან შეძლო თბილისის დაპყრობა. თემურ-ლენგი სას-  
ტიკად გაუსწორდა შეუპოვარ და კადნიერ მოქალაქეებს, შე-  
უბრალებლად ამოწყვიტა ისინი.

იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი ეხე-  
ბა თემურ-ლენგის ურდოებისაგან თბილისის აღებისა და აოხ-  
რების ისტორიას და შემდეგ მოკლე ცნობას გვაწვდის:

„...და დიდძალი ჯარით გაეშურა ფაიტაკარან-ტფი-  
ლის ქალაქისაკენ, დაიპყრო იგი და ურიცხვი და უამ-  
რავი ტყვე წაასხა. საფიქრებელია, რომ მოკლული უფ-  
რო მეტი იყო, ვიდრე ცოცხლად დარჩენილი“.

*[ა...ხე რნწახეხაქ բազიւմ դիրօք ի Փայտակարան Տիգրիս  
բաղաք՝ էաւ զնա և գերեաց անթիւ և անհամար: Եւ կար-  
ծիք է թէ սպանեալն յոլով էր քան թէ ապրեալն]“<sup>2</sup>.*

თომა მეწოფელის ხატოვანი გამოთქმა, რომ „მოკლული  
უფრო მეტი იყო, ვიდრე ცოცხალი“, გვიჩვენებს, თუ რაო-  
დენ დიდი მსხვერპლი გაიღეს ქართველთა დედაქალაქის  
მცხოვრებლებმა მშობლიური თბილისის დაცვის დროს.

თემურ-ლენგის ურდოებისაგან თბილისის აღების ფაქტი  
სხვა მატრიანეებშიც არის ასახული. მაგალითად, სამუელ ანელის  
ქრონიკის გამგრძელებელი შემდეგნაირად აღბეჭდავს მას:

„იმავე 1386 წელს თემურ-ლენგი მოვიდა თავრიზს  
და ნახჭევანს, აქედან ერთი დღის განმავლობაში დაიბ-

<sup>1</sup> ნაწყვეტის სომხური თარგმანი ავიღეთ პ. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი ს წიგ-  
ნიდან „სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა“, ტომი III,  
გვ. 347 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, თემურ-ლენგის ისტორია, პარიზი, 1860.  
გვ. 19 (სომხურ ენაზე).

ყრო ტერიტორია კარბამდე და ბიჯნისამდე, გარნი-  
სამდე, სურმარამდე და კოლბამდე, ხოლო აქედან გაე-  
მართა საქართველოსაკენ. აიკლო და ააოხრა ქალაქი  
ტფილისი, შეიპყრო ბაგრატი მეფე და გაამაჰმადიანა  
იგი“.

[«*ჩ სიქს ამქ ოღხ (1386) შიქს ლანქჰამიურს ხსნ ჩ მად-  
რღე და ჩ სხაჯიანს' და ანთი ჩ ძიოქ ათიერ კაღაქ მქსუქს ჩ  
ყარქჩ და ჩ ჩენქ, ჩ ჴანქს' შიქამარქ, ჩ ლიქ. და ანთი გნაფ  
ჩ ლრანთიონს' და არარ ეღაქაქ გსაქსქსა ჟაღაჟ, და კაქსაქ  
ღქსაღათონს რაღრათ თანქსაფიქსა*»]<sup>1</sup>.

ერთ სხვა მატრიანეში კი ვკითხულობთ:

„1386 წელს თემურ-ლენგმა აიღო ტფილისი და  
ააოხრა იგი. პატრონი ბაგრატი გაამაჰმადიანა და თან  
წაიყვანა“.

[«*შამქ თხანს ოშღღ ჴამიოღ ლანღს ჯაი გსაქსქსა და  
ანრხაფ და ღქსაღრათ ყარინს თანქსაფიქსა და თარა  
ღნღ ჩიქსა*»]<sup>2</sup>.

საქართველოს დედაქალაქის ტრაგედიამ, რომელიც იმავე  
დროს პოეზიის ქმნილებათა თემად გადაიქცა, შუასაუკუნეე-  
ბის სომეხი პოეტებიც ააღელვა. ამ უბედურების შესახებ  
მოგვითხრობს, მაგალითად, თემურ-ლენგის ლაშქრობათა თანა-  
მედროვე და თვითმხილველი გრიგოლ ხლათელი თავის  
ვრცელ ლექსში „უბედურების ხსენება“:

„...როს აირარატის დაეცა ქვეყანა,  
შესძლეს ალენეთში ჯარების შეყვანა.  
აოხრეს მეფეთა საჯდომი ალაგი,  
რასაც ეწოდება ტფილისი ქალაქი.  
ბაგრატს თავს დაატყდა სიავე მწველი, —  
სჯულზე ააღებინეს საბრალოს ხელი“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> სამუელ მღვდლის ანგლის საისტორიო ნაწერების  
კრებული. ვალარშაბატი, 1893 წ., გვ. 171 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> წერილი ქრონიკები, შეადგინა ვ. პაკობიანმა, ტ. II,  
ერევანი, 1956 წ., გვ. 514 (სომხურ ენაზე).

<sup>3</sup> გრიგოლ ხლათელი, უბედურების ხსენება, ვალარშაბატი,  
1897 წ., გვ. 4—5 (სომხურ ენაზე).

თბილისის ალების დროს თემურ-ლენგის მიერ ჩადენილი საოცარი შეუბრალებლობისა და უმაგალითო მძვინვარების შესახებ მოგვითხრობს ძველთაგან მომდინარე ერთი ხალხური გადმოცემა, რომელიც პლატონ იოსელიანს თავის ნაშრომში აქვს ჩართული:

„მოგვითხრობენ, რომ თბილისში, იმ ადგილას, სადაც არც ისე შორეულ წარსულში იდგა კალოუზნის დანგრეული ეკლესია და მის ირგვლივ მდებარე კალოს ადგილებში, თემურმა ბრძანა თავი მოეყარათ ბავშვებისათვის და გადათელა ისინი თავისი ველური ცხენოსანი ჯარით... ეს ამბავი ჩვენ მოგვაგონებს ყრმათა ამოწყვეტის ისტორიას ეფრატის სანაპიროზე მდებარე მცირე აზიის ერთ ქალაქში, სადაც მცხოვრებლებმა თემურის შესახებდრად გაგზავნეს ქალაქის ყველა ბავშვი ყურანით ხელში. მიდიოდნენ ბავშვები საღმრთო წიგნებით, რათა ეთხოვნათ დაცვა და სიცოცხლის შენარჩუნება, თან იმეორებდნენ ტაეპებს სამოციქულო წიგნიდან. რა ბლავილია? — იკითხა თემურმა, და როდესაც მას განუმარტეს, რომ ეს მის დიდსულოვნებას მინდობილთა გოდება და ვედრებაა, უბრძანა მან თავის ცხენოსან ჯარს გადაეთელათ ბავშვთა ეს ბრბო. ისინი სრულიად ამოწყდნენ თათართა ცხენების ჩლიქების ქვეშ“<sup>1</sup>.

როგორც ისტორიული მონაცემები გვიჩვენებს, თბილისის დაპყრობის შემდეგ თემურ-ლენგი დიდხანს არ დარჩენილა აქ, არამედ გაემართა ბარის ყარაბაღისაკენ და თან წაიყვანა ტყვე ბაგრატი მეფე. თემურ-ლენგმა გამაჰმადიანება შესთავაზა მას. ბაგრატი იძულებული შეიქნა დათანხმებულყო და გარეგნულად მიეღო მაჰმადიანობა. ამით მან თავისუფლება მოიპოვა. თემური ბაგრატით დიდად კმაყოფილი დარჩა. უხვად დაასაჩუქრა იგი და 1387 წელს სამშობლოში გამოგზავნა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, стр. 81—82.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1948 წ., გვ. 279.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მოგვყავს აღნიშნული შე-  
თხვევის თანამედროვის, სომეხი ისტორიკოსის თომას მეფის  
ფელის შემდეგი საინტერესო ჩვენება:

„მოვიდა იგი (ბაგრატ მეფე — ვ. ნ.) დიდი ძღვე-  
ნით და დაემორჩილა ბილწ მეფეს, ხოლო იგი აივსო  
ეშმაკის ბოროტებით, უარაყოფინა მას სჯული, აიყვანა  
და გაემართა ყარაბაღს — ჩვენ პირველ მეფეთა სა-  
ზამთრო სადგომს. ხოლო სული წმიდის სიბრძნით  
აღსავესე ქართველთა მეფემ მოატყუა იგი და უთხრა:  
„მომეცი დიდძალი ჯარი, რათა წავიდე საქართველო-  
ში, დავიპყრა მთელი ქვეყანა და თქვენს რჯულზე მო-  
ვაქციო, რამეთუ მ ენოვანია ჩვენი ხალხი, ყველას  
დაგიმორჩილებ და შენ რჯულზე გადმოვიყვან. ესენი  
არიან: დვალი, ოსი, იმერელი, მეგრელი, აფხაზი, სვანი,  
ქართლელი, მესხი. მან ფრიად განიხარა, დიდი პატივი  
მიაგო მას და მისცა დიდი ჯარი. იგი ურიცხვი ჯარით  
საქართველოში მოვიდა, ხოლო ბაგრატმა საიდუმლოდ  
აცნობა თავის შვილებს — გიორგის, კონსტანტინესა  
და დავითს, ფარულად წამოსულიყვნენ მის შესახვედ-  
რად, დახმარებოდნენ თავიანთ მშობელს, რომ მას  
შეძლებოდა მათგან გაქცევა, ხოლო თვით აიყვანა ჩა-  
ლათას ჯარები და მოიყვანა ისინი ვიწროსა და გაუვალ  
ადგილებში, ხოლო მეფის წულებმა დაიკავეს გასასვ-  
ლელი გზა და მახვილით ამოწყვიტეს მრავალი მათგა-  
ნი, როგორც ამბობენ 12000-ზე მეტი კაცი. მათ თან  
წაიყვანეს მამა და გასწიეს თავიანთი სამკვიდროსაყენ“.

[«სქნ აა (ჩაყრათ შაყათორე — վ. ն.) բազում ընծա-  
լիւք ի հնազանդութիւն պիղծ թագաւորին. և նա լցեալ շա-  
րութեամբ սատանայի ուրացոյց զնա, և առեալ զնաց ի  
Հարարաղ՝ ի ձմեռոցն առաջին թագաւորաց մեռոց: Իսկ թա-  
գաւորն վրաց, լցեալ իմաստութեամբ Հոգւոյն սրբոյ՝ խա-  
բեաց զնա և ասէ, «տուր ինձ զօրս բազումս, զի երթայց ի  
տուն վրաց, առից զաշխարհն ամենայն և դարձուցից ի  
կրօնս ձեր, զի ութն լեզու է ազգն. զամենեւեան ի հնա-  
զանդութիւն և յօրէնս քո բերից»: Որ են այսօրիկ. Դրալ,  
Օսէր, Իմերէլ, Մէկրէլ, Սփիսագ, Սօնք, վրացի, Մեխա: և

ნა იორასაგნაქ საქაშხაგ ეზა რადიამ აყათილი ხე ხო  
ქ ნა დორა რადიამა: ხე ნა კარიცხაქ ანქი დორი<sup>1</sup> ხქს  
ქ თონს ქრავ: ჩსქ ჩაყარათნ აქს ქეხაგ ვაღთარაქ  
ორქისნ ქორ ზორქი, კითათანთინ ს ზაქიქ ვაქ, ბაბილქ რნქ  
ათაჯ ნორა იგნსქ ბნიქინ ექ კარასეჭ ქაქაქიქ ქ ბნიავ  
ნორა: ხე ქორ აიხაქ დდორა ჶაღაქაქინ რხრხაქ ქ ნიღა-  
ფიქს ს ქ კაბანს თხქია. ს იორქიქ შაფათორქინ აიხაქ ეზა-  
ნაყარქ რნქაგქიქს<sup>1</sup> სიორ ჳანხაქ კითორხექინ ვერადიამა ქ  
ნიფანსქ აიხქი ქანს ე12.000, იორაქსა აახს. ს აიხაქ ვრაქინ  
ქორხანსე ენაგქინ ქ რნსკიქიქინა ქორხანსე»<sup>1</sup>

პირველი ლაშქრობის შემდეგ თემურ-ლენგმა საქართველო  
და თბილისი 6 წლით მოასვენა, მაგრამ თემურ-ლენგმა, რო-  
მელმაც ასე მშვიდობით, საჩუქრებითა და პატივით გამოის-  
ტუმბრა ქართველთა მეფე თავის ქვეყანაში, დაარღვია პირობა  
და 1393 წელს კვლავ გაილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ.  
ამჯამად სამეფო ტახტს უკვე ბაგრატის ძე გიორგი VII გა-  
ნაგებდა. მეორე ლაშქრობისას თემურ-ლენგის ჯარებს საქარ-  
თველოში ყველგან გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწყევდნენ,  
მაგრამ ქართველები იძულებული იყვნენ დაეთმოთ მტრისა-  
თვის მისი რიცხოვრივი უპირატესობის გამო. გაათრებულმა  
მტერმა ქვა ქვაზე არ დატოვა სამცხეში, მოაოხრა ქვეყანა  
და დაანგრია მისი ციხეები, შემდეგ შევიდა თბილისში, მაგ-  
რამ დიღხანს არ დარჩენილა იქ.

თემურ-ლენგმა საქართველოზე კიდევ რამდენიმეჯერ გაი-  
ლაშქრა (1400, 1401, 1403 წ.წ.). თემურ-ლენგის ლაშქრობები  
საქართველოსა და მის დედაქალაქს დიდ ფასად დაუჯდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, აღმოსავლეთის სისხლისმსმელ  
დესპოტს ამიერკავკასია ვიწრო სამოქმედო ასპარეზად მიაჩნ-  
და. და აი, 1398 წელს, გამარჯვებებით თავბრუდახვეულმა  
თემურ-ლენგმა ინდოეთზე გაილაშქრა. ქართველებმა ისარ-  
გებლეს ამ ხელსაყრელი შემთხვევით, გადაწყვიტეს განთავი-  
სუფლებულიყვნენ საბჭულველი დესპოტის ბატონობისაგან და  
კვლავ აღედგინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ მიზნით ისი-  
ნი თავს დაესხნენ ადერბაიჯანში დარჩენილ მის ჯარებს და

<sup>1</sup> თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი, თემურ-ლენგის ისტორია, გვ. 20 (სომ-  
ხურ ენაზე).

სასტიკად დაამარცხეს. ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, გააფთრებულმა თემურ-ლენგმა გადაწყვიტა კაისტიკად დაესაჯა თავხედი ქართველები. მისი ურდოები აღმოსავლეთიდან შეიჭრნენ საქართველოში, ააოხრეს ირგვლივ ყოველივე, გააპარტახეს ქვეყნის ქალაქები და სოფლები, გაანადგურეს ბალები და ბოსტნები, დაანგრიეს ეკლესიები და მონასტრები. მაგრამ ამ სასტიკი საშუალებებითაც კი ვერ შეძლო თემურმა თავისუფლების მოყვარე ხალხის დათრგუნვა. მიუხედავად მძიმე პირობებისა, თემურ-ლენგს ყველგან გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ. საქართველოში უჩვეულოდ მკაცრი ზამთარიც იდგა.

თემურმა ამჯერადაც ვერ შეძლო საქართველოს საბოლოოდ დაჩოქება.

1400 წელს თემურ-ლენგმა მეხუთედ ილაშქრა საქართველოზე; უბრძანა თავის ჯარებს შეუბრალებლად მოესპოთ ხალხი, მცენარეულობა, ბალები, ტყეები და ნათესები. თემურის ურდოები, გახლებამდე მისული ფნატიზმით ასრულებდნენ მის ბრძანებას. დამახასიათებელია, რომ თემურ-ლენგის განუწყვეტელ ლაშქრობათა ამ მძიმე პირობებშიც კი გრძელდებოდა და უფრო მეტად მტკიცდებოდა ქართველ-სომეხთა შეგობრობა და სამხედრო კავშირი.

ჩვენი ხალხების ისტორიის ამ ტრაგიკულ მომენტებში მოძმე ქართველი ხალხი, მიუხედავად თავისი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, შემწეობის ხელს უწვდიდა უფრო მძიმე პირობებში მყოფ სომეხ ხალხს, რომელიც მოკლებული იყო სახელმწიფოებრიობას. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა იმავე თომა მეწოფელის გადმოცემა: როდესაც ქართველთა მეფემ გიორგიმ შეიტყო თემურ-ლენგის ჯარების ახალი თავდასხმის შესახებ, ქართველ ხალხთან ერთად სომეხებსაც მიუჩინა თავშესაფარი მიუდგომელ ციხეებში და თვით ითავა მოსეული ურდოებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ვუსმინოთ ისტორიკოსს:

„... როგორც კი შეიტყვეს მისი უკეთურება, ქართველთა მეფემ გიორგიმ და მისმა ძმებმა — კონსტანტინემ და დავითმა — უმაღლვე შეკრიბეს ჯარი, ქარ-

თველთა და სომეხთა ყველა ტომი ციხე-სიმაგრეებში  
დაიცვეს, ხოლო თვითონ ვიწრო და გაუვალი ადგილებში  
ბი დაიკავეს“.

[«*ასე მათგანთა ქრავ ზირფი და ხრცი ხერარე ყითათან-  
აქინ და ზაქიშ ქმანხაღ გჯაროქინ ნირა ქადქადას  
დორაძიდილ ხეხნ, და გამანხაქინ ადგან ქრავ და ზაკიე კამ-  
რიეა არქხაღ აყანქინ. და ხნგხანგ გნხი და გქაბან თხ-  
ღისან იანქინ*»]<sup>1</sup>.

მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, თემურის ურდო-  
ებმა მაინც შეძლეს რიგ ადგილებში გამარჯვების მოპოვება.  
ამ ლაშქრობისას მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყვედ წაასხეს.

„დიდებულებს კლავდნენ, მდაბიონი კი ტყვედ  
მიჰყავდათ, 60.000 სულზე მეტი“.

[«... *განხამხბან საყანანაქინ და გქიქონანს გხრქ ათხაღ  
თანქინ ახიქ ჟან გ60.000 იქი*»]<sup>2</sup>.

თემურ-ლენგმა ტყვეები საქართველოდან სომხეთით გაი-  
ყვანა, მძიმე იყო მათი ხვედრი. აღნიშნული ამბების თვით-  
მხილველი სომეხი ისტორიკოსი მწუხარებით აღნიშნავს, რომ  
ტყვეთათვის დახმარება არ შეიძლებოდა და ტყვედქმნილი  
ხალხის სავალალო და გაჭირვებულ მდგომარეობას ასე წარ-  
მოგვიდგენს:

„ხოლო მათ ცეცხლითა და მახვილით დაამხვეს  
ქართველთა მთელი ქვეყანა, დაქციეს ეკლესიები, წა-  
ასხეს ტყვეები და მოიყვანეს ჩვენს ქვეყანაში ტიტველ-  
ნი და ფეხშიშველნი, მშიერ-მწყურვალნი. ყოველ 5 ჩა-  
ლათაელს 20 ტყვე ჰყავდა. მათი უმეტესი ნაწილი გზა-  
ში იხოცებოდა, ხოლო ჩალათაელები იღებდნენ ქვას  
და უჩიჩქავდნენ თავებს, რომ ცოცხალი არ დარჩენი-  
ლიყვნენ. მათ სტოვებდნენ, თვით კი თავიანთი გზით  
მიდიოდნენ. ყოველივე ვიხილეთ ჩვენივე თვალით და  
ვისმინეთ. ვაი და ვუი მოედვა ქრისტიანთა ამ ტომს.“

<sup>1</sup> თ ო მ ა მ ე წ ო დ ე ლ ი. თემურ-ლენგის ისტორია, გვ. 66 (სომ-  
ხურ ენაზე).

<sup>2</sup> ი ქ ვ ე.

გზედავდით ტყვედქმნიდით. შველა კი არ შეგვეძლო და სულშეხუთულები ტირილითა და გოდებით მოვე-  
რიდეთ და გავეცალეთ მათ“.

[«ხე ნიჟა სრიქ ს ზრიქ ვამანსაჲს აუქსარს ჟრავ კორ-  
ბანხეჩს, ხეხეხეჩსნ ფახეხეჩს, ვეხეჩსნ ათხალ ზაითიეჩს  
კაუქსარსა მხრ მხრქ ს რიჩქ, ვაეყვაბ ს ბარადაბ,  
ამქს ზინე ვაღაქსაჲ 20 ვხრქ იონხიქ: ხე ვაღიამ აჲს ჯე,  
ორ ქ ნანსაყარჩს მხიანქჩს. ს ნიჟა ვარ ათხალ ვახადა-  
ქქჩს ვლიქსა ნიჟა ვქ მქ' კხნოანქ მნსაყხნ. ს ქნფხანე  
მიოხალ ვსაეჩს ქ ნანსაყარჩს ქრხანე: ვორ თხსაე ალეე  
მხრიქ ს ლიქ. ს ქსაჲ ს ხეიქსნ ვარბრავსა ქ ქხრავ  
ვეჩსთინქჩე ადექს. თხსანქაე ვეხეჩსნ ხე იფხელ იე კა-  
რქაე. აქ ზხედამედიქ ქსალ' იდედი ხე ქლიქ ქოქს თიქსალ  
ქასქქაე ქ ნიჟანქ»]<sup>1</sup>.

1400 წელს საქართველოზე თემურ-ლენგის ლაშქრობის შესახებ მწარე მოგონება დაგვიტოვა გრიგოლ მწერალმაც.

იმავე წელს მისგან გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერის ან-დერძში ვკითხულობთ:

„და მოვიდა (თემურ-ლენგი — ვ. ნ.) ქართველთა ქვეყანაში და იმყოფებოდა იქ შემოდგომიდან ვიდრე ზაფხულამდე, 7 თვე, მეტი და არა ნაკლები. დაიპყრა მრავალი ციხე-სიმაგრე; ბევრი მათგანი (ქართველთაგან — ვ. ნ.) ამოწყვიტა, თითქმის ყველა მამაკაცი ამო-  
ჟლიტა, ხოლო მათი ცოლები და ვაჟები ურიცხვი და უთვალავი რაოდენობით ტყვედ წაასხა... არც ქალებს იბრალებდნენ და არც ყრმებს ინდობდნენ. არც სნე-  
ულთ ეპყრობოდნენ გულმოწყალებდ, არც გაჭირვებას უყურებდნენ, არც ქალარას სცემდნენ პატივს. ჩვილ ბავშვებსაც კი არ იბრალებდნენ, არამედ უწყალოდ ქვეითად მიერეკებოდნენ შიშველ-ტიტვლებს, ფეხში-  
შვლებსა და თავშიშვლებს. ხოლო რომელთაც არ შე-  
ეძლოთ სვლა, ქვებით წყვეტდნენ, თვით კი მიდიოდ-  
ნენ. ამ გულსაკლავი ამბის მომსწრენი მთებს ეუბნე-

<sup>1</sup> თ ო მ ა მ ე წ ო ფ ე ლ ი. თემურ-ლენგის ისტორია, გვ. 67 (სომ-  
ხურ ენაზე).

[«ხე ხსენს ხსენს იქ ძველად აქსარდის ძველად ქაჯანანაკის  
ქველანაკის მხინჯ ქაქანაკის, ამქაჲს (7) ახლქი და იქ  
აკაკას: ხე აიხაქ, რადღამ ამრთვს, და აკაკან დეადღამა იქ  
ნივანს მხინჯ, ვერძელს დამხნაკის არა კითხობს, ვითრე  
დესანაკს და ვითრე ვერძი ხარადვიც, ანქი და ანდამა-  
რდა... იქ კანანს ხარადაკის, და იქ თრადვიც იღორმქის, იქ  
იქ დიანდის ვქაკის, იქ იქ კარქის ნაკქის, იქ იქ კაკანს  
დარქის, და იქ იქ მათად მანდიონის ხარადაკის, აქ ან-  
დორმარარ დხითით თანქის მხრქ, ვითრე და დიქა იქ  
რავს: ხე იქ იქ კარქის დსაქ, ვარამდე აკაკანსქის და  
ანდსაქ დსაკის: ხე იქ დაკანაკის კსქის თხანსქის, ა-  
სქის ქრანს, მქ ანსქიქ იქ ძველად მხრ, და დრთვს, მქ  
ძამსქსქს დამსქ»<sup>1</sup>.

ერთი სხვა მწერალიც, სახელად ჰოვანესი, ქართველი ხალ-  
ხის თავს გადამხდარ იმავე უბედურებას ლექსით ასე წარ-  
მოგვიდგენს:

„მოადგა თემური, — ბოროტი, მძლავრი, —  
ქვეყანას თავისი ურიცხვი ჯარით.  
ქართლს თავს დაატება ვარამი, ვეება,  
მრავალი ქართველი წაასხა ტყვეებად.  
შვირყა ქვეყანა და ვახდა მწირი,  
ცახცახებს, ვით ტოტზე. საწყალი სირი“<sup>2</sup>.


თემურ-ლენგის განუწყვეტელმა, ამოხრებელმა და და-  
მაქცეველმა შემოსევებმა, რომლებმაც 1403 წლამდე გასტა-  
ნეს, საბოლოო განადგურებამდე მიიყვანეს ქვეყანა. ამ ლაშ-  
ქრობათა შედეგების სიმძიმე დიდხანს, ძალიან დიდხანს იგ-  
რძნობოდა. ქვეყნის ამოხრებელი ამგვარი შემოსევების შემ-  
დეგ მაინც ფეხზე დარჩნ ქართველი ხალხი თავისი სულიერი,  
ფიზიკური და სამხედრო სიძლიერისა და უცხო დამპყრობთა  
წინააღმდეგ დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლის სიმ-

<sup>1</sup> XIV საუკუნის სომხური ხელნაწერების ანდერ-  
ძები. შეადგინა ლ. ხაჩიკიანმა, ერევანი, 1950 წ., გვ. 628 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 630.

ტკიცის წყალობით, აგრეთვე სამშობლო ქვეყნის თავგანწირუ-  
ლი და არაჩვეულებრივი სიყვარულის გამო. აინგრ-დაინგრ-  
ქვეყანა, აოხრდა მისი ქალაქები, სოფლები და ციხე-სიმაგრე-  
ები, განადგურდა ბალები, ნათესები და ხალხის საზრდო,  
ბრძოლებში დაეცა და ტყვედ ჩაცვივდა მოსახლეობის საგ-  
რძნობი ნაწილი.

ყოველივე ამის შემდეგ გაიძვერა მტერმა მაინც ვერ შეძლო  
ჩაეკლა ქართველ ხალხში თავისუფლებისადმი სიყვარული და  
მრისხანე სული.



თემურ-ლენგის შემოსევებით მეტად დაზარალდა თბილი-  
სი, რომლის აღდგენისა და ხელახალი აშენებისათვის დიდი  
მუშაობა ჩაატარა მეფე ალექსანდრე I (1412—1442). პ. იო-  
სელიანი შენიშნავს, რომ ალექსანდრეს მეფობისას „თბილისი  
ფერთლისაგან იშვა. ნანგრევებზე ახალი შენობები აღიმართა,  
კვლავ აღდგენილ იქნა ციხის ზღუდეები და ქალაქი დასახლ-  
და“<sup>1</sup>.

როგორც ისტორიული ცნობებიდან ჩანს, აღნიშნულ პე-  
რიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა სომხების გახიზვნა სა-  
ქართველოსაკენ, განსაკუთრებით კი თბილისისაკენ. მაჰმადი-  
ანური ბატონობის პირობებში სომხების მდგომარეობა დღი-  
თი-დღე უარესდებოდა. მათ განუწყვეტლივ ემუქრებოდა ფი-  
ზიკური განადგურების, უკვალო გაქრობის, თუ იძულებითი  
ემიგრაციის საშინელი საფრთხე. ამ პირობებში სომხებისათვის  
საიმედო თავშესაფარს, ბუნებრივია, წარმოადგენდა საქარ-  
თველო, სადაც მოძმე ქართველი ხალხის სტუმართმოყვარე  
კედლებში, მის ქერ-ქვეშ შეიძლებოდა უზრუნველი ცხოვრე-  
ბა ეპოვა კაცს.

მაგრამ ალექსანდრეს დროს საქართველო და მისი დედა-  
ქალაქი მაინც არ იყო დაზღვეული უცხოელთა თავდასხმები-  
საგან.

<sup>1</sup> П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса,  
стр. 20.

თომა მეწოფელი მოგვითხრობს 1440 წელს საქართველოზე ჯაჰან-შაჰის თავდასხმის შესახებ, როცა სხვა ქალაქებთან ერთად თბილისიც ერთხელ კიდევ დაზარალდა.

„წამოემართნენ, წამოვიდნენ ტფილის-ფაიტაკარან ქალაქზე. პირველ მეფეთა მიერ აგებული ყველა ძველი და ახალი ეკლესიები ძირფესვიანად დააქციეს, ნიში უფლისა დაამხვეს; იშიშვლეს თავიანთი მახვილები, ისე დიდი ყვირილითა და სასტიკი ქუხილით მიესივნენ ეკლესიებს, რომ მათი შიშისა და მუქარისაგან ძრწოდა და ცახცახებდა მთა და ბარი. გულადნი და მხდალნი მეჯოგენი მახვილით ხელში ტყეებსა, ნაპრალებსა და კლდეთა ხვრელებში შეცვივდნენ, ხოლო მათი ცოლ-შვილი გამოჰყავდათ იქიდან და ტყვედ მიჰყავდათ“.

[*ასე ანთი ჯიხალ განაყინ ჰ ქხრავ შაჰქია ფაკათა-კარან ჟაღუღქინ, ხე დამნნაჟნ ხეხეგეჟან ზინ ხე ნორ, ჟინხალ ჰ კაიოაჟინ შაფათორაგენ, ჰ ზიმანგ თაჟაქეგინ, გნჯან შხაინ ჰ ქაჟო არქანტქინ, ხე ზანხალ გუიორს ჰორ-ხანგ ჰ ქხრავ ხეხეგეგხანგ თორაბანტქინ აზაგინ გოღამაჟ* *ხე სასათიქ ირითამაჟ: შინგ გჰ კაზღ ხე ქხრქიღღ ზიგა სარ-აქო ხე გიოჟაჟო ამნნაჟნ ლინსაქანჟ ხე ჟაჟთაქანჟ. ხე სიორ ჰ ბხიჩინ არქჟ ხე ანარქჟ ხე ჟიქაყანჟ მათანტქინ ჰ მაჟიქისნ ხე ჰ ბხრაჟ ხე ჰ ბაქა ქიმანგ: ხე გქინ ხე გიორქია ზიგა ზანხალ ანთი<sup>1</sup> გხრქ ქარტქინ...ა]*

თბილისის 1440 წლის აოხრებასთან დაკავშირებული ამბები არც სხვა სომეხ მემატრიანეებსა და მწერლებს დარჩენიათ უყურადღებოდ. ერთი თანამედროვე მწერალი, სახელად ოვანესი, 1458 წელს გადაწერილ თავის „სვინაქსარში“ განსაკუთრებულ მარტვილობის წიგნს ათავსებს, რომელშიც სხვა შემთხვევებთან ერთად 1440 წელს ჯაჰან-შაჰის ჯარების მიერ თბილისის აღების შესახებაც მოგვითხრობს:

„...შეკრიბა 20.000-ზე მეტი კაცი და გაემართა ქართველთა ქვეყნისაკენ... მიაშურეს ქალაქ ტფილისს, დაანგრიეს, ააოხრეს და ცეცხლს მისცეს ქალაქი, ეკლე-

<sup>1</sup> თომა მეწოფელი. თემურ-ლენგის ისტორია, გვ. 122 (სომხურ ენაზე).

სიები ძირფესვიანად დააქციეს, მერე კი უკან გაბრუნდნენ“.

საქართველოს  
საქართველოს

[«...ძიიიქიჲაჲ ახელი ქან ექი (20000) იქიან **თონაქ** განაჲ ქ თონს **ქრავ...** ხე სიეა ხრქხაქ ქ ფაღაჲს **სრქიქი** განღხეჲს, ახრხეჲს და ფაღაჲს **ჩიიქ** ნარაქ თიქს, და **ღა-მანაქს** ხსხეჲსიან ქ **ჩქმანე** თაყაქხეჲს, და **ანთი ქხთი** რარბანს]¹.

თბილისის აოხრების შესახებ სომხურ წერილობით წყაროებში შემონახული ეს მცირე ცნობები გვიჩვენებს, რომ ალექსანდრე მეფის დროსაც, რომელიც ცოტად თუ ბევრად მშვიდობიან პერიოდად ითვლებოდა, არ ჰქონია მოსვენება თბილისს, არც მაშინ იყო იგი თავისუფალი უცხოელთა თავდასხმებისაგან.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ალექსანდრე I მეფობის ბოლო პერიოდში კვლავ იჩინა თავი უთანხმოებამ საქართველოს გავლენიან მთავრებს შორის, გაძლიერდა ცენტრალიზებული მონარქიული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მსხვილ ფეოდალთა გარემსრბოლი მისწრაფებანი, რომლებიც უფრო მეტად ალექსანდრეს მომდევნოთა დროს გამომქლავდნენ.

საქართველოსა და მისი დედაქალაქის ისტორიის ამ პერიოდის საკითხების განხილვისას შეუძლებელია ყურადღების გარეშე დავტოვოთ XV საუკუნეში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ის პოლიტიკური ვითარება, რომელმაც თანდათანობით საკმაოდ არახელსაყრელი მსვლელობა მიიღო საქართველოსათვის. ერთ დროს ძლიერი ბიზანტიის იმპერია დაუძლურდა და თავისი პოზიციები თურქეთს დაუთმო, რომელსაც ახლად წამოეყო თავი. 1453 წელს თურქებმა იმპერიის დედაქალაქი — კონსტანტინოპოლი დაიპყრეს. თურქეთის გაძლიერებას, უეჭველად, ძლიერ უარყოფითი გავლენა უნდა ჰქონოდა ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა ბედზე და, პირველ რიგში, ქართველებისა და სომხების პოლიტიკურ მდგომარეობაზე; მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური

¹ XIV საუკუნის სომხური ხელნაწერების ანდერძები, ნაწილი I, გვ. 507 (სომხურ ენაზე).

ვითარების გართულების ერთი სხვა მიზეზიც წარმოიშვა: თურქეთთან ერთად თითქმის იმავე დროს იწყო ირანმაც, რომელიც თურქეთის სერიოზულ მოწინააღმდეგედ იქცა. როგორც ცნობილია, მათი ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას საველალლო შედეგები ჰქონდა ქართველებისა და სომხებისათვის.

XV საუკუნის შუა რიცხვებში საქართველოს შინაური მდგომარეობაც გამწვავდა. ალექსანდრეს დროს დაწყებული შინაგანი წინააღმდეგობა უფრო მეტად გაღრმავდა მის მომდევნოთა დროს. მეფე გიორგი მერვის წინააღმდეგ აღდგა აჯანყების მძლავრი ტალღა, მეფე დამარცხდა. ამ აჯანყებით სწრაფად ისარგებლა რუსუდანის ძის დავით ნარინის ერთ-ერთმა შთამომავალმა, ქუთაისის ერისთავმა ბაგრატმა. 1466 წელს მან თავისი თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა და თბილისში გადმოვიდა.

და აი, XV საუკუნის მეორე ნახევარშივე სამეფო ტახტისათვის დაუსრულებელი ბრძოლებისა და მსხვილ ქართველ ფეოდალთა გარემსრბოლი პოლიტიკის გაძლიერების პირობებში ერთ დროს ქართველთა ძლიერი სახელმწიფო დაეცა და წვრილ სამეფოებად დანაწილდა.

ბაგრატ VI დროს ქვეყნის დედაქალაქის დიდება კვლავ მიეკუთვნებოდა თბილისს, რომელიც ინარჩუნებდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ როლს და თავისი სიმაგრეებით საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა უცხო მტერთა წინააღმდეგ. წინა პერიოდში, განსაკუთრებით თემურ-ლენგის შემოსევების დროს, განადგურებული და ნანგრევებად ქცეული ქალაქები, მიუხედავად ალექსანდრე მეფის ენერგიული სააღმშენებლო საქმიანობისა, ჯერ კიდევ არ იყვნენ მთლიანად აღდგენილნი. ამ თვალსაზრისით ქვეყნის სხვა ქალაქთაგან დიდად არც დედაქალაქი თბილისი განსხვავდებოდა. ამას ადასტურებს ვენეციელი ელჩი და მოგზაური ამბროსიო კონტარინი, რომელიც წერს: „...ამ ქალაქს ხანგრძლივი არსებობის ისტორია აქვს, მაგრამ მისი დიდი ნაწილი დანგრეულია“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ჰოვანეს ჰაკობიანი, მოგზაურობანი. ტომი I, XIV — XVI საუკუნე, ერევანი, 1932 წ., გვ. 244 (სომხურ ენაზე).

XV საუკუნიდან მოყოლებული ირანისა და თურქეთის ბრძოლების გამო საქართველო და მისი დედაქალაქი რაჭა დანიშნულნი იქნა. ნიმიეჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში და ყოველთვის ინგრეოდა და იძარცვებოდა. ბაგრატ VI დროს, 1478 წელს, თბილისი სპარსელმა უზუნ ჰასანმა დაიპყრა.

ეს შემთხვევაც პოულობს თავის გამოძახილს სომხურ ისტორიოგრაფიაში.

„1478 წელს ჰასან ბეგი შეიჭრა გურჯისტანში და ააოხრა ტფილისი... — წერს მემატიაზე ანანია სებასტიელი. — ტყვეები წაასხა, ჯარები ტფილისში ჩააყენა. მრავალი ეკლესია დაანგრია, და მათგან მოწყლული მოკვდა. კორიზის მელიქები მოვიდნენ, შემუსრეს თურქები და ტფილისი აიღეს“.

[«*Ի թվին Զիւն մտանէ Հասան պակն ի Կուռճիստան և աւերէ զՏփլիս... Եւ գերեաց և եղ զգօրսն ի Տփլիս և եկեղեցիս բազում քակեաց և ի նոցանէ խոցեալ մեռաւ Եւ Կորիզու մելիքնին եկին չարգեցին և առին զՏփլիսն ի տանկնուն»<sup>1</sup>].*

თბილისის შემდეგ უზუნ-ჰასანმა უბრძოლველად დაიპყრა გორი. ბაგრატ მეფე იძულებული იყო ზავი ეთხოვა და დათანხმდა უზუნ-ჰასანისათვის დაეთმო თბილისი თავისი მიდამოებითურთ. ამრიგად, ქართველთა დედაქალაქი კვლავ უცხო დამპყრობთა ხელში ჩაეპარდა.

XV საუკუნის ბოლოს, შინაგანი წინააღმდეგობის გამწვავების გამო, საქართველო დანაწილდა და საბოლოოდ დაიყო სამ, ერთმანეთსაგან დამოუკიდებელ — ქართლის, კახეთისა და იმერეთის — სამეფოებად, შემდეგ აგრეთვე, სამცხის საათაბაგოდ, სამეგრელოს (ეგრის-ოდიშის), აფხაზეთისა და გურიის სამთავროებად.

მას დამატა აგრეთვე სეფიანთა ირანისა და ოსმალთა თურქეთის ურთიერთობათა შემდგომი გამწვავება. მათ შორის დაიწყო გააფთრებული ბრძოლა, რომელმაც 50 წელზე მეტ ხანს გასტანა. ამ ბრძოლების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი

<sup>1</sup> წვრილი ქრონიკები. ტომი I. შეადგინა ვ. ჰაკობიანმა, გვ. 169 (სომხურ ენაზე).

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარმოებდა ამ ქვეყნებზე გაბატონების მიზნით.

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

სპარსეთის შაჰი ისმაილი თურქებთან ბრძოლებში დახმარებას ცხდა და ირანის სიღრმისაკენ უკუიქცა. ქართველებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ამ შემთხვევით და უარი უთხრეს მას ხარკის გადახდაზე. მათ აგრეთვე იწყეს შაჰის მიერ მოყვანილი თურქმანების შევიწროება და მათი განდევნა აღმოსავლეთ საქართველოდან. დავით მეფეს ამ საქმეში კახელები და მესხები ეხმარებოდნენ. შაჰ-ისმაილმა გადაწყვიტა ქართველების დასჯა, დიდძალ ჯარს ჩაუდგა სათავეში და საქართველოზე გამოილაშქრა. თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე თელეთის მახლობლად მოხდა ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები წარმოუდგენელი გმირობით იბრძოდნენ, მაინც შაჰ-ისმაილის ჯარების რიცხოზობის უპირატესობამ აიძულა ისინი უკან დაეხიათ. დავით მეფემ ქართლისაკენ დაიხია. შაჰ-ისმაილის ჯარებმა თბილისი დაიპყრეს, გაძარცვეს და ქვა ქვაზე არ დატოვეს. შაჰ-ისმაილმა ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა თბილისში, თვითონ კი დიდი ნადავლით ირანისაკენ გაემართა.

ამ დროიდან მოყოლებული თბილისში კვლავ სპარსელები მკვიდრდებიან. მაგრამ ქართველები დიდხანს ვერ ურიგდებიან ქვეყნის უძველესი დედაქალაქის დაკარგვას; ქართველი მეფენი განუწყვეტლივ იბრძვიან თბილისისათვის სპარსელების წინააღმდეგ.

ქალაქი ხშირად გადადის ხელიდან ხელში. მაღე, 1524 წელს, შაჰ-ისმაილი გარდაიცვალა, რითაც ქართველთა მეფემ დავითმა მსწრაფლ ისარგებლა. მან გაანადგურა ქალაქის მცველი სპარსული გარნიზონი და თბილისი კვლავ გაათავისუფლა სპარსთაგან. შემატთანე ზაქარია სარკავაგი სპარსელების დამარცხებას და ქართველთა გამარჯვებას შემდეგნაირად აღწერს:

„1541 წელს ქართველები გააფთრდნენ და სპარსთა ჯარი, რომელიც ტფილისს მიდიოდა, გაძარცვეს და კეტებით სცემეს“.

[«ი შიძინ ქირე ჯარყანს ლ ვირ ქნჯ ყარაქიქე მნაქს  
ქ სიქსია, ნიქა კიდიყათქინ ლ ვრახბებ აინქჩინ»]<sup>1</sup>.

თარგმანი  
2024010333

ამრიგად, საქართველოს დედაქალაქი კვლავ განთავისუფლდა. სამწუხაროდ, ეს მოპოვებული თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1544 წელს შაჰ-ისმაილის შვილი — შაჰ-თამაზი დიდი ჯარით თბილისში შევიდა, გაძარცვა ქალაქი, დააშინა მოსახლეობა და ქალაქში ყიზილბაშთა მცველი რაზმი ჩააყენა, ჯარის ერთი ნაწილი კი მცხეთას გაგზავნა დავითის ძის, ქართველთა მხნე მეფის ლუარსაბის (1534—1558 წწ.) შესაპყრობად; მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. მეფემ მედგარი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ უკან დაიხია.

მალე, 1555 წელს, ორი ძლიერი მოწინააღმდეგე — ირანი და თურქეთი — შეთანხმდნენ საქართველოს დანაწილების საკითხში. ამასიაში დადებული ხელშეკრულების თანახმად, ქართლი, კახეთი და სამცხე ირანის გამგებლობაში გადავიდა, ხოლო გურია და ოდიში (სამეგრელო) — თურქეთისა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსათვის დამღუპველი არა მარტო ირანისა და თურქეთის ბრძოლები იყო, არამედ ქვეყნის დამაქცეველი ამ ორი სახელმწიფოს მორიგებაც.

თავისუფლებისადმი მოტრფიალე ქართველი ხალხი ჩაება გადამწყვეტსა და შეუპოვარ ბრძოლაში საქართველოს დამხობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ირანის შაჰები ახორციელებდნენ. ქართველი ხალხი იბრძოდა დამოუკიდებელი არსებობისა, საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაცვისა და თავისუფლების წმინდა უფლებისათვის. ლუარსაბ მეფემ არ სცნო ირან-თურქეთის ხელშეკრულება და განაგრძო ბრძოლა. სპარსეთის შაჰმა, თამაზმა, თურქეთთან დაზავების შემდეგ უფრო თავისუფლად ივრძნო თავი, გაძარცვა ქართლი და 30. 000 კაცი ტყვედ წაასხა.

ამჯერად სპარსელებმა საკმაოდ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი თბილისში. ლუარსაბმა ვერ შეძლო მშობლიური ქვეყნის მრავალტანჯული დედაქალაქის სპარსელთაგან განთავისუფლე-

<sup>1</sup> შაქარია სარკავაგა, ისტორია. ვლადიშაპატი, 1870, გვ. 10 (ნომურ ენაზე).

ბა. ლუარსაბის შეუპოვარი ბრძოლა სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ მისმა ვაჟმა, სიმონმა (1558—1600) მაგრამ სიმონმაც მარცხი განიცადა და ერთ-ერთ ბრძოლაში სპარსელებს ტყვედ ჩაუვარდა. შაჰ-თამაზმა მას დამორჩილება და ისლამის მიღება შესთავაზა, მაგრამ სიმონმა ეს წინადადება არ მიიღო, რისთვისაც შაჰმა იგი ციხეში ჩააგდო.

1578 წელს დაიწყო თურქეთ-სპარსეთის მეორე ომი ამიერკავკასიაზე გაბატონებისათვის. თურქების უზარმაზარმა ლაშქარმა, მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით, ჩილდირის ტბასთან სპარსელთა ჯარი დაამარცხა და საქართველოში შეიჭრა. მანამდე კი, როგორც ამას ისტორიული წყაროები ამტკიცებენ, მუსტაფა ლალა-ფაშამ სომხეთი ააოხრა და 60.000 კაცი დაატყვევა. საქართველოს ხელისუფალთ შორის ერთობა არ სუფევდა, რაც მტრისათვის ხელსაყრელი იყო. თურქები ყოველგვარი საშუალებით აღვივებდნენ ქვეყნის დამაუძღურებელ შინა ფეოდალურ ბრძოლებს, უკავშირდებოდნენ რა ცალკე სამეფოებსა და სამთავროებს.

თურქების შემოსევის დროს კახეთის მეფემ მორჩილება განაცხადა. თურქთაგან მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმიძივე ქართლსა და სამცხეს დააწვა.

1578 წელს სპარსეთის შაჰმა ქართლის მეფე სიმონი ციხიდან გაათავისუფლა და თავის ქვეყანაში გამოისტუმრა, რათა ირანის მოქიშპე თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა გაეჩაღებინა. სიმონი ქართლში მოვიდა და სათავეში ჩაუდგა თურქების წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ლალა-ფაშამ შეძლო ქართლის სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობის ნქონე ორი პუნქტის — თბილისისა და გორის დაპყრობა. ამ ქალაქების ხელში ჩაგდების შემდეგ ოსმალთა ფაშამ მათი გამაგრება გადაწყვიტა, რათა წინააღმდეგობის გასაწევად საიმედო დასაყრდენი ჰქონოდა.

სომხურ წერილობით წყაროებში შემონახულია ზოგიერთი ცნობები თურქების თავდასხმისა და ლალა-ფაშას მიერ თბილისის დაპყრობის შესახებ, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ.

სომეხი მემატიანის ჰოვანესიკ წარელის ქრონიკაში შესახებ ვკითხულობთ:

„მეორე წელს ლალა-ფაშა კვლავ დაიძრა, გაემართა საქართველოსაკენ და მიაღწია ქალაქ ფაიტაკარანს, რომელიც არის ტფილისი. ააგო ციხეები და მრავალი მეზრძოლი კაცი გაამაგრა იქ“.

[*ახ. ზ. ძეგლიანი* *ქართული ისტორიის წიგნები*, ტომი II, გვ. 241 (სომხურ ენაზე).

შემდეგ იგივე მემატიანე განაგრძობს:

„აწ ლალამ გააქცია სიმონი, მის ქვეყანაში კი ააშენა მრავალი ციხე, რომლებიც არ ვიცო, როგორ აღვწერო, რადგან ჩვენ ეს აღვნიშნავთ არ გვინახავს. გავვიგონია კი, რომ ტფილისში, დმანისში, გორში, ლორესა და სხვა ადგილებში ციხე-სიმაგრეები ააგო და იქ ჯარები ჩააყენა, თვით კი ალანეთს, რკინის კარებს მიაშურა“.

[*ახ. აკიმ ლალაშვილი* *ქართული ისტორიის წიგნები*, ტომი III, გვ. 242 (სომხურ ენაზე).

მძიმე პირობების მიუხედავად სიმონი იმედს არ კარგავდა და კვლავ განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. სიმონ მეფემ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქი გაეთავისუფლებინა. იგი ხანგრძლივად და დაყინებით ემზადებოდა თბილისის განთავისუფლებისათვის. ადვილი არ იყო თურქების თბილისიდან გამოდევნა, რადგან ქალაქი მტრის

<sup>1</sup> წვრილი ქრონიკები, XIII — XVIII სს. ტომი II, გვ. 241 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> წვრილი ქრონიკები, XIII — XVIII სს. ტომი III, გვ. 242 (სომხურ ენაზე).

მეორე გამაგრებული იყო და მისი დაცვა ძლიერ გარნიზონს  
ჰქონდა მინდობილი. სიმონმა მხოლოდ ორი წლის შეუტოვებელი  
ბრძოლების შემდეგ შეძლო ქალაქის უკან დაბრუნება.

„ქართველთა მეფემ — სიმონმა... შეკრიბა ჯარი, მო-  
ვიდა და ალყა შემოარტყა ტფილისს, არა თუ ერთი  
თვით, არამედ დაახლოებით ორი წლით, — გვაუწყებს  
სომხური წყარო, — ქალაქი სასტიკმა შიმშილმა მოიცვა,  
ისე რომ ერთ ვირს ყიდულობდნენ 50 ოქროდ,  
ძალს — 20 ოქროდ, ხოლო ქერის ერთ საწყაოს  
60 ოქროდ, თუმცაღა მას ვერც შოულობდნენ. როდესა-  
ც სხვები მოვიდნენ ქალაქის დასახმარებლად, სიმონი  
გამოვიდა მათ წინააღმდეგ, მუსრი გაავლო მათ და  
შემდეგ ქალაქი აიღო“...

[«...*Թագաւորն վրաց Սիմոն՝... ժողովեալ զօրս՝ եկն և  
պաշարեաց զՏիփլիս՝ ոչ ամսօրեայ ժամանակաւ, այլ ամս  
իբր երկու, որով և անկաւ սով սաստիկ ի քաղաքին. մինչև  
գնել զէջ մի յիսուն ոսկոյ, և զլին մի քսան ոսկոյ, և  
զլափ մի զարօյ վաթսուն ոսկոյ. թէպէտ և զայն ոչ գտա-  
նէին: Եւ ի դիմել այլոց յագնւթին քաղաքին՝ ել Սիմոն  
ընդդէմ նոցա, և հար զամեն ի սուր սուսերի, և ապա  
էսո զքաղաքն...»]<sup>1</sup>.*

ამრიგად, 1583 წელს ქართველთა მეფემ დიდი მსხვერპლის  
გაღებით შეძლო თბილისის ოსმალთაგან განთავისუფლება,  
მაგრამ ამჯერადაც მოკლე ხნით.

XVII საუკუნის პირველი მეოთხედი საქართველოს ის-  
ტორიაში ყველაზე ბოზოქარსა და მღელვარე პერიოდს წარ-  
მოადგენდა. ქვეყანა მოკლებული იყო მთლიანობას, დაყოფი-  
ლი იყო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ხშირად, აგრეთვე,  
ერთმანეთსაღმი მტრულად განწყობილ სამეფო-სამთავროე-  
ბად. მერყევი იყო საქართველოს პოლიტიკური ვითარება,  
ქართველი ხალხის მდგომარეობა კი — აუტანელი. აღნიშნუ-  
ლი ხანა გამანადგურებელი ბრძოლების, დარბევების, იძულე-  
ბითი ემიგრაციების, თავდასხმებისა და სხვა განუწყვეტელ

<sup>1</sup> მ. ჩამჩიანი, სომხეთის ისტორია, ტომი III, 1786 წ., გვ. 531 —  
532. (სომხურ ენაზე).

უბედურებათა ეპოქას წარმოადგენდა. ასეთ გარემოებაში ერთ დროს „უმშვენიერეს“ თბილისს აღარ შეეძლო, ჰქონოდა თავისი წინანდელი სიდიადე და ბრწყინვალება. იგი ქცეული იყო ციხედ, სამხედრო ბანაკად, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, ამასთან ერთად კი განუწყვეტლივ ინგრეოდა, იძარცვებოდა და ცეცხლში ინთქმებოდა.

XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასმა დაარღვია თურქეთთან დადებული ზავი და გადაწყვიტა 1555 წლის ხელშეკრულებით დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნება. შაჰ-აბასის ურიცხვი ჯარები 1605 წ. სომხეთის აოხრების, ხალხის იძულებითი გადასახლების, ყარაბაღისა და განძის დაპყრობის შემდეგ, ქართლში შეიჭრნენ, ქალაქებიდან და ციხეებიდან განდევნეს თურქთა გარნიზონები. იმავე წელს შაჰ-აბასმა თურქებს წაართვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე შენადეგი პუნქტები: ლორე, დმანისი, თბილისი. ქართველთა დედაქალაქი კვლავ უცხოელთა ხელში გადავიდა.

სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი თბილისზე ლაშქრობის ფაქტს მოკლედ ასე აღწერს:

„ხოლო შაჰ-აბას მეფე განძის ციხის დაპყრობისა და მთელ ქვეყანაზე გაბატონების შემდეგ გამოვიდა და ქართველთა მხარეს, ქალაქ ტფილისს გაემართა“.

[*არაქელ თავრიზელი, სომხეთის ისტორია, ვადარშაპატი, 1896 წ., გვ. 95 (სომხურ ენაზე).*]

XVII საუკუნეში სპარსელთა ბატონობის უღელი უკიდურესად მძიმე იყო ამიერკავკასიის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სომხებისა და ქართველებისათვის. შაჰ-აბასმა საქართველოსა და სომხეთში სოციალურ-პოლიტიკური, რელიგიური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყველა უზადრუკი და უხეში სახეები გამოიყენა. თავიანთი ბატონობის პერიოდში თურქებიც ასევე მოქმედებდნენ. თითოეული ამ დიდ სახელმწიფოთაგანი თავის მხრივ ცდილობდა მოესპო ქართველთა სახელმწიფოებრიობა,

1 არაქელ თავრიზელი, სომხეთის ისტორია, ვადარშაპატი, 1896 წ., გვ. 95 (სომხურ ენაზე).

აღმოეფხვრა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და შინაგანი თვითმართველობის უკანასკნელი ნაშთები და მოელო როგორც ქართველების, ასევე სომეხი ხალხის არსებობისათვის. ამის მჭევრმეტყველი საბუთი იყო სომხეთიდან და საქართველოდან შაჰ-აბასის მიერ მოსახლეობის იძულებითი გადასახლება, რომელიც ამ ხალხებისათვის გაუფიქრებელი ნაციონალურ უბედურებას წარმოადგენდა. სომხურ მწერლობაში საყურადღებო ცნობებია დაცული ამ იძულებითი ემიგრაციების შესახებ:

ზაქარია სარკავაგი ჩამოთვლის იმ ადგილებს, საიდანაც შაჰ-აბასის ბრძანებით ხალხს ასახლებდნენ და შემდეგ მიუთითებს:

„...და მათზე აღრე, კახეთისა და ქართლის ქვეყანაც ისევე წარეკა და წაასხა... ფაჰრაბატს, აშრაფსა და ქუშანში. ამრიგად დაასახლა ისინი რაყის (ირაყის) ქვეყანაში და ხალხმრავალ ყო სპარსეთი“.

[*«...ხედავთ გან დიუხაჲ ხრეკირს ყახხეჩიუ და ჭარქლაც და კუხალ თარაღ ხი ზარაყათ და კსკურაჲ, ხი ჭიუჯან; ხედავთ აქა რნახევიც დიუხაჲ კაქსარან რაღაჲ (ირაღაჲ). და მარღათ არარ დამხნაჲს თონ შარაჲც»*].<sup>1</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნული სომეხ და ქართველ ხალხთა გულისწყრომას აძლიერებდა. სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ საქართველოში დაიწყო ამბოხება, რომელიც მთელ ამიერკავკასიაში საყოველთაო აჯანყების გავრცელების საფრთხეს წარმოადგენდა. მაგრამ შაჰ-აბასმა გადამწყვეტ ზომებს მიმართა. 1616 წელს მისი ურიცხვი ჯარი კავკასიაშიაქენ, საქართველოსაკენ დაიძრა და ააოხრა ქართლისა და კახეთის სამეფოები. შაჰ-აბასის ამ მეორე ლაშქრობისას თბილისი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, დიმიტრი ბაქრაძე ამის შესახებ წერს შემდეგს:

„სპარსელები თავის მხრივ, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში აოხრებდნენ ქართლსა და კახეთს. ასე, მაგალითად, ცნობილია შაჰ-აბასის ლაშქრობა ქართლსა

<sup>1</sup> ზაქარია სარკავაგის ისტორია, გვ. 20 (სომხურ ენაზე).

და კახეთზე 1616 წელს, კახეთის მეფის თეიმურაზის მეფობის დროს. შაჰ-აბასი გამოემართა საქართველში იმ განზრახვით, რომ გაენადგურებინა ქართლისა და კახეთის სამეფოები, გაეწვრცელებინა იქ მამამადიანობა და დაერღვია მათი კავშირი რუსთა მეფეებთან, რომლებიც საქართველოს საქმეებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ... შაჰ-აბასის ლაშქრობამ დიდი ზიანი მიიყენა საქართველოს... შაჰ-აბასმა დასახმარებლად ლეკები მოიხმო, თვით დიდი ჯარით შეიჭრა კახეთში, ძალით დაიპყრა ქვეყანა და სისხლით მორწყო იგი. შაჰ-აბასის ჯარებმა ააოხრეს კახეთის მიწა-წყალი, დააქციეს ეკლესია-მონასტრები. სპარსელი ისტორიკოსის ისკანდერ-მუნშის სიტყვით, საქართველოს არასდროს არ განუცდია ისეთი უბედურება, როგორც მან შაჰ-აბასის დროს იწვნია. ბრძოლაში დაცემულთ იგი 60 — 70 ათასამდე მოითვლის, ხოლო გადასახლებულთ — 100 ათასამდე<sup>1</sup>.

XVII საუკუნის პირველი მეოთხედი, მღელვარე და აბო-ბოქრებული ამბებით მდიდარი ეს ისტორიული ეპოქა, ამავე დროს უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი გმირული ბრძოლისა და აჯანყებათა ერთ ბრწყინვალე პერიოდს წარმოადგენდა. განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფურცელი თბილისის მოურავის — გიორგი სააკაძის თაოსნობით მოწყობილი აჯანყება იყო.

XVII საუკუნის 30-იან წლებიდან მოყოლებული ქართლისა და ირანის ურთიერთობაში ახალი ხანა დაიწყო. 1632 წელს ქართლის სამეფო ტახტზე განმტკიცდა როსტომი (1632—1658), რომელიც პირველი გამამამადიანებული ქართველი მეფე იყო. საქმე იმაშია, რომ როსტომის დროიდან მოყოლებული ვიდრე 1744 წლამდე საქართველოს სამეფო ტახტს განაგებდნენ და ქვეყანას მართავდნენ სარწმუნოებისაგან განდგომილი

<sup>1</sup> Дмитрий Бакрадзе и Николай Берзенов, Тифлис в историческом и этнографическом отношении. Санкт-Петербург. 1870 г., стр. 55.

მონარქები. ასე სურდა ირანს. ირანის შაჰები ძლიერ ცბიერ პოლიტიკას აწარმოებდნენ; ქაბუჯობის წლებში მეფის ქართულ გარემოს აშორებდნენ, მიჰყავდათ ირანში, იქ მათ ზრდიდნენ და წვრთნიდნენ სპარსული სულისკვთებით, ამაჰ-მადიანებდნენ, ზოგჯერ სასახლეში მაღალ თანამდებობის ღირსადაც კი ხდიდნენ, ზოლო ამის შემდეგ ქართულ სამეფო ტახტზე აჰყავდათ. ქართველი მეფეები ვალის (შაჰის მოადგილის) ტიტულს ატარებდნენ, ხარკს უხდიდნენ ირანის შაჰს და ყოველთვის დიდ ძღვენს უგზავნიდნენ მას, მათ რიცხვში ლამაზ ვაჟებსა და ქალებს.

ქართველ მეფეთა რეზიდენციად უწინდებურად თბილისი რჩებოდა. მეფეებს თბილისში იცავდა ძლიერი სპარსული გარნიზონი, რომელსაც ხშირად გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა ქვეყნის საშინაო მმართველობაზე. გარნიზონის უფროსები ზოგჯერ თავიანთ სურვილს მეფეს უქარნახებდნენ, ხშირად კი სასახლის ნაირ-ნაირი ინტრიგების მოთავედ გამოდიოდნენ.

ქართლში თანდათანობით განმტკიცდა როსტომის სამეფო ტახტი. კახეთის მეფე თეიმურაზი ირანის წინააღმდეგ აჯანყდა. შაჰის ბრძანებითა და დახმარებით 1648 წელს როსტომი დიდი ჯარით კახეთში შევიდა. თეიმურაზი თავის სამეფოს გამოორდა. შაჰმა კახეთის ხელისუფლება როსტომს გადასცა. ამრიგად, შეიქმნა შესაძლებლობა საქართველოს თუნდაც ერთი ნაწილის გაერთიანებისათვის.

მართალია, თვით როსტომი გამაჰმადიანებული იყო, მაგრამ მან ეს გარემოება ოსტატურად გამოიყენა ქართველთა ნაციონალური სახელმწიფოს საქმეების მოსაწესრიგებლად.

„როსტომმა სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეუთრიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში ამჟამა დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ შიხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა. სამაგიეროდ ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობიანობას ეღირსა. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში. თავადების

ურთიერთ მიხტომ-მოხტომაც თანდათან შენეულდა. თავის სამფლობელოში როსტომმა წესიერება დაამყარა. გახიზნული ხალხი უკან დაბრუნდა და სოფლებმა მოშენება იწყო. აქა-იქ ქალაქებიც აღდგა, ვაჭრობა-ხელოსანობა გამოცოცხლდა. ქვეყანაში დოვლათი დატრიალდა.

ასეთ პირობებში ქართლის ფეოდალების უმრავლესობა თანდათან შეუბრუნდა როსტომს. ამიერიდან ქართველობისათვის ბრძოლა განსხვავებულ პირობებსა და ფორმებში მიმდინარეობდა<sup>1</sup>.

როსტომის მეფობის დროს თბილისმა მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა მოიპოვა. როსტომი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა დედაქალაქის კეთილმოწყობასა და აღდგენას. მის დროს მთელი რიგი შენობები აიგო. მოკლე დროის განმავლობაში თბილისმა იწყო აღორძინება და გაზარდა. მის ნაგებობათაგან ყველაზე მეტად საყურადღებოა სამეფო სასახლე, დამხმარე ნაგებობებით, მიზგიითთა და ეკლესიით (დედოფლისათვის), რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ანჩისხატისა და სიონის ეკლესიებს შორის იყო. თვითმხილველთაგან დატოვებული აღწერილობიანი გვიჩვენებენ, რომ როსტომის სასახლე მართლაც შესანიშნავი შენობა იყო. როსტომის სასახლის მოკლე აღწერას გვაძლევს ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც 1673 წელს ესტუმრა თბილისს. სხვადასხვა წყაროებისა, აგრეთვე თვითმხილველთა მონათხრობთა საფუძველზე, პლატონ იოსელიანი შემდეგნაირად აღწერს ამ საყურადღებო ნაგებობას:

„...სასახლის სიგრძე 65 საეწინი იყო. მისი საძირკველი ამოყვანილი იყო მტკვრის კლდოვან ნაპირზე აგურის სქელი კედლებით. პირველი ბნელი სართული, კლდეზე დაფუძნებული, დაფარული იყო აგურის კამარით და სასახლის საარდაფისა და მაცივრის დანიშნულებას ასრულებდა. მეორე სართული ასევე კამარით, მაღალი ფანჯრებით აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართუ-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. 1946 წ., გვ. 348.

ლი. მისი კედლები ხეივანებით, ქვებით, სარკვეებითა და ლამაზი ხის შტოებით იყო მორთული. ამ სართულს ოთახებში მოთავსებული იყო სასახლის მთელი სიბიძრე, ნოხები და სხვა. მას სალარო ეწოდებოდა. მესამე სართული მეფის, დედოფლისა და მათი შვილების სამყოფელს წარმოადგენდა.

იგი შეიცავდა 32 დიდსა და პატარა დარბაზებსა და ოთახებს. ერთი ამ დარბაზთაგანი თბებოდა ღუმელით, რომელიც ერეკლე II დროს ერთი რუსი ოსტატის მიერ იყო გაკეთებული და ამიტომ რუსულ სახელწოდებას ატარებდა (ფეჩის ოთახი). მტკვრისაკენ მიმართულ დარბაზებს ჰქონდათ მაღალი ფანჯრები, რომელთა აწევა და ჩამოშვება სითბო-სიცივის შესაბამისად ხდებოდა. ისინიც რუსულ სახელს ატარებდნენ. ალბათ იმიტომ, რომ რუს ოსტატთა იხელით იყვნენ დამზადებული. ამ სადგომის ორივე მხარეს ორი ფლიგელი იყო მოთავსებული, თითოეული მათგანი 20 ოთახით. აქ მეფისა და დედოფლის მსახურნი იმყოფებოდნენ. სასახლის წინ, მოედნის ცენტრში, მარმარილოს ფილებისაგან აგებული იყო შადრევანი. წყალი წავკისის მთებიდან იყო გაზოყვანილი. ორი მარმარილოს ლომის პირიდან მოედინებოდა წყლის ნაკადი, რომლითაც სასახლის ბაღებს რწყავდნენ. ბაღში, ერთ შენობაში, ვოგირდის წყლის აბანო იყო მოთავსებული... აბანოს იატაკი მარმარილოს ფილებით იყო დაფარული<sup>1</sup>.

როსტომის დროს გაიზარდა თბილისის მოსახლეობა, გაცხოველდა აღებ-მიცემობა. ასეთ ვითარებაში ქალაქი გაფართოვდა. როსტომმა განაახლა ქალაქის ზღუდეები. აღმშენებელმა მეფემ სერიოზული ყურადღება მიაქცია აგრეთვე აღებ-მიცემობის განვითარებას, აავო სასტუმრო-ქარვასლები, ხელსაყრელი და მოხერხებული პირობები შექმნა უცხოელი ვაჭრებისათვის. როსტომი მფარველობდა ვაჭართა კლასს, რადგან კარგად ესმოდა აღებ-მიცემობის როლი ქვეყნის

<sup>1</sup> П. Иоселиани. Описание древностей Тифлиса, стр. 246—247.

დანგრეული მეურნეობის აღდგენის საქმეში. ასეთ ხელშეწყობ პირობებში კიდევ უფრო გაფართოვდა ირანისა და თურქეთის შორის საქართველოს საშუალებით წარმოებულ სატრანზიტო ვაჭრობა, რომლის მთავარ გზაზე თბილისი მდებარეობდა. აღნიშნულ გარემოება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ქართლის დედაქალაქს გამოცოცხლებულიყო მისი მეურნეობა. თვითონ თბილისიც თავისი სამრეწველო პროდუქციით მონაწილეობას იღებდა საგარეო ვაჭრობაში.

ამ პერიოდში, 1634 წელს, თბილისს ეწვია იერუსალიმის მიმავალი რუსი მოგზაური და ვაჭარი ვასილ გაგარა, რომელსაც ქალაქი ასე აქვს დასურათებული:

„მიედიოდი იერუსალიმს. მივალწიე საქართველოს, ქალაქ თბილისს. თბილისში 4 ქალაქია (გულისხმობს 4 გამაგრებულ ადგილს, ციხეს — პოლიევკტოვი, გ. ნათაძე). ისინი მდინარის ორივე ნაპირას არიან განლაგებულნი ორ-ორად. მდინარე ზამთრობით არ იყინება. იგი კლდოვანი მთების გავლით მიედინება. მდინარის იმ ნაპირზე მდებარე ქალაქთაგან ერთი მაღალ კლდეზეა... ამ ქალაქის გარშემო ბუნებრივი ორმოა... ორმოს სიღრმე 7 საყენია და მასში გროვდება ცხელ წყაროთაგან მომდინარე წყალი. ღვთის წყალობით ასეთი წყაროები ნა-ზე მეტია. ამ წყაროებზე ლამაზი სახლებია აშენებული და იქ, როგორც აბანოში, ბანაობენ ქრისტიანები და მუსლიმანები... მდინარე მტკვრის ზემო მიმართულებით, თბილისიდან 12 ვერსის დაშორებით, არის ერთი მონასტერი, სადაც მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსი იმყოფება, ხოლო ტაძარი აგებულია სხვადასხვაფერის მარმარილოთი... ამ მონასტრის პირდაპირ, მტკვრის მეორე ნაპირას, არის ერთი მთა, რომელზეც ძველთა მეფეთა ტაძარი მდებარეობს...“<sup>1</sup>

1658 წელს როსტომ მეფე გარდაიცვალა. იგი შეცვალა ვახტანგ V, რომელიც შაჰ-ნავაზის (1658—1675 წწ.) სახელითაცაა ცნობილი. მის დროს, 1673 წელს, თბილისში სტუმრად

<sup>1</sup> В акрадзе, Полиевктов, Старый Тифлис, стр. 11—12.

მყოფი შარდენი ღირსშესანიშნავ ცნობებს გვაწვდის, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ XVII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ცხოვრებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების ახსნა-განმარტებისათვის. მოგზაურობის აღწერილობის გარდა შარდენმა დაგვიტოვა აგრეთვე თბილისის სურათი (გრაფიურა), რომელიც საკმაოდ კარგ წარმოდგენას იძლევა XVII საუკუნის 70-იანი წლების თბილისის გეგმის შესახებ. შარდენი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქალაქის არქიტექტურულ ნაგებობათა, კერძოდ, ეკლესიების შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა შარდენის მიერ მოწოდებული ზოგიერთი ცნობა, რომელიც იძლევა საფუძველს იმის დასამტკიცებლად, რომ თუმცა საქართველო ირანის უზენაესი ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა და მისი მეფეები გამაჰმადიანებულები იყვნენ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში თბილისში, როგორც ქვეყნის სხვა ნაწილებშიც, სპარსელები ერიდებოდნენ რელიგიურ დევნას და ძალმომრეობას მოსახლეობის მიმართ. როგორც ჩანს, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქართველი ხალხი ადვილად არ დაადგებოდა გამაჰმადიანების გზას. ამის შესახებ შარდენი წერს:

„თბილისში სრულიად არ არის მიზგიეთები, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაჰმადიანურ სახელმწიფოს ეკუთვნის და მას მთელი თავისი მიდამოებით მაჰმადიანი მმართველი განაგებს. სპარსელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა აეშენებინათ მიზგიეთები, მაგრამ მშენებლობის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლეს, რადგან ხალხი მაშინვე იარაღს ჰკიდებდა ხელს, ანჯერვდებოდა და წყევლებს სპეშაოს და მკაცრად უსწორდებოდა მუშებს. ქართველ ხელისუფალთ გულში ძალიან უხაროდათ ხალხის ეს მღელვარება და აღშფოთება, თუმცა გარეგნულად საწინააღმდეგოს აჩვენებდნენ. ისინი მხოლოდ გარეგნულად უარყოფდნენ ქრისტიანობას და თანაც მეფის ნაცვლის ადგილის მოსაპოვებლად, ისე კი გულის ტკივილით უჭერდნენ მხარს მაჰმადიანობის განმტკიცებას თავიანთ ქვეყანაში... სპარსელებმა ვერ გაბედეს მიემართათ მკაცრი ზომებისათვის და მისცეს

ქართველებს თავისუფლება, როგორც თბილისში, ასევე მთლიანად მთელ მათ ქვეყანაში. სპარსელებმა ნება დართეს ქართველებს შეესრულებინათ ყველა თავისი რელიგიური წეს-ჩვეულებანი“<sup>1</sup>.

შარდენის გადმოცემიდან ნათელი ხდება, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსა და თბილისის მმართველი წრეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ალებ-მიცემობის განვითარებას. კვლავ აღღვა თბილისის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში და იგი გადაიქცა ალებ-მიცემობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად აღმოსავლეთში.

„თბილისში არის შესანიშნავი საზოგადოებრივი შენობები, — განაგრძობს შარდენი, — კარგად შენახული ქვისაგან ნაგები ფართო ბაზრები. იგივე შეიძლება ითქვას სასტუმრო-ქარვასლების შესახებ, სადაც უცხოელები ჩერდებიან... საზოგადოებრივი მაღაზიებიც კარგად არის ნაგები და მშვენივრადაა შენახული“<sup>2</sup>.

საყურადღებოა აგრეთვე შარდენის ის ცნობებიც, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას, მის შედგენილობას შეეხება:

„ქალაქი თბილისი მჭიდროდაა დასახლებული. აქ იხილავთ უცხოელთა ისეთ სიმრავლეს, რომელსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით“<sup>3</sup>.

სხვათა შორის, შარდენი აღწერს, თუ როგორ მიიღო იგი ქართველთა მეფემ შაჰ-ნავაზ-ხანმა სასახლეში და მიიპატიჟა იქ თავისი ნათესავი ქალის ქორწილში. ეს აღწერა საინტერესოა მაშინდელი თბილისის მმართველი კლასის ყოფაცხოვრებისა და ადათ-ჩვევების გასაცნობად.

ვახტანგის მეფობის დროს, 1668 წლის იანვარში, მოხდა მიწისძვრა, რომელმაც ამიერკავკასიას დიდი ზიანი მიაყენა. მისგან ძლიერ დაზარალდა მთელი რიგი ქალაქები, მათ რიცხვში თბილისიც. სომეხ მემატიანებს არც ამ უბედურების შესახებ დავიწყებათ დაეტოვებინათ ანდერძ-მოსახსენებელი.

ჰაკობ კარინელი შემდეგს გვამცნობს ამ მიწისძვრის შესახებ:

<sup>1</sup> Бакрадзе, Полиевктов, Старый Тифлис, стр. 17—18.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 18 — 19.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 20.

„კვლავ 1668 წელს, ჩვენი უფლის ნათლისღების  
წინა დღეს, განთიადისას, როდესაც წარმოსთქვამდნენ  
„დიდება მალალთა შინას“, დიდი ჰეჟა-ქუხილითა და  
გუგუნით შეიძრა შამახის, განძის, თბილისისა და ერევ-  
ნის ქვეყანა“.

*[«ზარბხაღ იძჭი: (1668) კაიორ ნასაკათხაყ შაკანო-  
ქხან თხანის მსრიქ ქიოსანაღ აოიაოთქნ, ირ კასხღ  
ფაიღ ქ რარბიონს, აზაფქნ ირიოამამღ ზაკქან დოღაყ  
სრქქრნ შამაქიო, ჳანზაკიო ზ რქიქიოთი ზ სრქანა.»]*<sup>1</sup>.

ერთი სხვა თვითმხილველი მემბტიანე თბილისის თავს გა-  
დამხდარი ამ ახალი უბედურების შესახებ შემდეგს წერს:

„ქალაქ თბილისში ბევრი ეკლესიები, კოშკები და  
ზღუდეები დაინგრა, მრავალი ციხე-სიმაგრეები და  
სასახლეები დაზიანდა...“

*[«...ქ შიქიქი .ღაღაქქი რაღიომ ხსხეხექი ზ რიორღ ზ  
ყოთიორღ ქ ქსაქი ლირბანხეანს ზ... ქნას ამრიგაყ ზ  
საყარანსიყ კიოქ ხიღა...»]*<sup>2</sup>.

მიწისძვრის ეს ფაქტი და თბილისისათვის მისგან მიყენე-  
ბული ზიანი სხვა მენატრიანეებსა და მწერლებსაც აქვთ დადას-  
ტურებული<sup>3</sup>.


როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები გვიმტკიცებენ,  
XVII საუკუნის მეორე მეოთხედში საქართველო გარკვეულ  
ეკონომიურ აღმავლობას განიცდიდა, ხოლო ქართველმა ხალხ-  
მა გამოიწია წინააღმდეგობის გაწევის ახალი ხერხები და  
შეუპოვრად იბრძოდა გასპარსელების საფრთხის წინააღმდეგ  
და ამით ინარჩუნებდა თავის ეროვნულ თავისთავადობას.

ისტორიული ქარტეხილებით აღსავსე ხანას წარმოადგენდა  
საქართველოსათვის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი,  
ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მეფობის პერიოდი, იგი  
ქართლს 1703—1724 წლებში განაგებდა, თავდაპირველად

<sup>1</sup> წვრილი ქრონიკები. XIII — XVIII სს. ტომი II, გვ. 243  
(სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 279.

<sup>3</sup> მატენადარანის ხელნაწერი № 1773 და სხვ.



როგორც სპარსეთს გაწვეული ვიორგი XI-ის მოადგილე/  
 ხოლო შემდეგ როგორც მეფე. ამ ენერგიულსა და შორსმჭვრე-  
 ტელ მეფეს წილად ხვდა მძიმე მემკვიდრეობა. მისი წინამორ-  
 ბედის, ერეკლე I-ის არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის გამო  
 ქვეყნის უძლიერესი თავადები მეფეს განუდგნენ. წინდახედუ-  
 ლი პოლიტიკით ვახტანგმა შეძლო მათი კვლავ შემჭიდროება  
 და სამეფო ზეღისუფლებისადმი დაქვემდებარება. ამით საგრ-  
 ძნობლად გაადვილდა ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგება,  
 რომელიც მოითხოვდა დიდ გულმოდგინებასა და წინდახე-  
 დულობას. შემდეგ მეფემ იბრუნა, რათა ერთიანი სამართლის  
 წიგნი შეემუშავებინათ, რომელსაც, უეჭველად არსებითი  
 როლი უნდა ეთამაშა ქვეყნის შიგნით მტკიცე წესრიგისა და  
 კანონის განმტკიცების საქმეში. აღსანიშნავია, რომ ქართლი-  
 სათვის შექმნილი ეს სამართლის წიგნი საქართველოს სხვა  
 სამთავროებშიც პოულობდა გავრცელებასა და გამოყენებას<sup>1</sup>.

ვახტანგმა მთელ რიგ რადიკალურ საშუალებებს მიმართა  
 ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისა და განვითარებისათვის. მან  
 დაასახლა დაცარიელებული საცხოვრებელი ადგილები, წეს-  
 რიგში მოიყვანა გზები, ხიდეები და ქარვასლები, გააფართოვა  
 უზრუნველი აღებამიყვამობის შესაძლებლობანი, აღადგინა  
 უყურადღებოდ მიგდებული სარწყავი სისტემები. ამ დროს  
 განვითარდა მეზამბეობა, მეაბრეშუმეობა და მეღვინეობა.  
 ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობას, ბუნებრივია, დაღებითი  
 ზემოქმედება უნდა ჰქონოდა თბილისზეც, რომელიც „მნიშ-  
 ვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა. ამ დროს  
 ქალაქში 20 ათასზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. ვაჭარ-  
 ხელოსნები მრავალ „რივად“ იყოფოდნენ. თითოეული „რივი“  
 ერთ რაიმე საქმიანობას ეწეოდა. აქ აკეთებდნენ სამხედრო  
 იარაღს, თოფის წამალს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს,  
 მუსიკალურ საკრავებს, ქურჭლეულს. ამზადებდნენ ბამბის  
 ქსოვილებს, სამოსელს, ცხენ-აქლემის მოკაზმულობას. ვაჭ-  
 რობდნენ პურს, ბამბას, აბრეშუმს, ბეწვეულს, ფარჩა-მაულს,  
 ღვინოს, მატყლს, ყოველგვარ წვრილმანსა და სანოვაგეს.

<sup>1</sup> აღნიშნული წიგნის შედგენისას, სხვა სამართლის წიგნებს შორის,  
 ვახტანგმა მხითარ გოშის „სამართლის წიგნიც“ გამოიყენა.

კახური და ქართლური ღვინო თბილისიდან უცხოეთში ბლომად გაჰქონდათ. ირანსა და ოსმალეთს მიდიოდა თბილისიდან აგრეთვე ბევრეული. ქართლ-კახეთიდან ოსმალეთისაკენ გაჰქონდათ აბრეშუმი და ენდრო დიდი რაოდენობით. ენდრო ქართლიდან ამ დროს ინდოეთშიაც მიჰქონდათ.

შემოჰქონდათ თბილისში უმთავრესად მზა საქონელი ირანიდან, ოსმალეთიდან. ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოდის ევროპული საქონელიც, რომელსაც მაშინ ფრანგული ეწოდებოდა. თბილისში ამ დროს გარედან სანოვავეც შემოდის: თევზი და ხიზილალა — შარვანის სახანოდან, თევზი და მარილი — ერევნის სახანოდან, ზეთუნის ზეთი — ოსმალეთიდან და სხვ.<sup>1</sup>

ვახტანგის დროს განსაკუთრებით აყვავდა კულტურა. თვით ვახტანგი ფრიად განათლებული და მაღალი კულტურის მქონე პიროვნება იყო, ფლობდა მთელ რიგ ენებს და პირადად, სხვა სწავლულთა მხარდაჭერით, დიდ როლს თამაშობდა ქართული კულტურის განვითარების საქმეში. ვახტანგის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსახურება ის იყო, რომ მან 1709 წელს თბილისში პირველი სტამბა დააარსა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა კულტურული ცხოვრების აღმავლობის საქმეში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ვახტანგის ამ სტამბაში საეკლესიო წიგნებთან ერთად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის მეცნიერული რედაქტორობით, მთელი რიგი სახელმძღვანელოები, სამეცნიერო შრომები და სხვა.

ვახტანგის დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი მეცნიერნი, როგორიც იყვნენ ივანე ბენაშვილი, ლექსიკოგრაფი და ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი — ვახტანგის ძე ვახუშტი ბატონიშვილი და სხვანი. თბილისი გადაიქცა კულტურის განვითარების მნიშვნე-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1946 წ., გვ. 363.

ლოვან კერავ, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი იყო ვახტანგის  
როლი, როგორც ორგანიზატორისა და სწავლულისა. საქართველო  
ბიბლიოთეკა

საერთოდ XVIII საუკუნეში და გამსაკუთრებით კი ვახტანგის მეფობის პერიოდში, სომხურ-ქართულმა ლიტერატურულმა ურთიერთობამ და ურთიერთ-თანამშრომლობამ ახალი სახე მიიღო. საპეციალისტები აღნიშნავენ, რომ თვით ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ I კათალიკოსი, ვახუშტი და სხვანი „ახლოს იცნობდნენ სომხურ კულტურას, კერძოდ, ლიტერატურის დარგში და ხშირად გადმოჰქონდათ, ან ზოგჯერ, საბას სიტყვებით რომ ვთქვათ: „მათი ბაძით ქმნიდნენ საკუთარს“<sup>1</sup>. ცნობილია, რომ ზურაბ შანშოგანმა ვახტანგისა და მისი შვილის ვახუშტის დავალებით სომხურიდან ქართულად თარგმნა რამდენიმე ფილოსოფიური და გრამატიკული ნაწარმოები<sup>2</sup>. შემდგომში ანტონ I-მა მღვდელ ფილიპე ყაითმაზიანის (ყაითმაზაშვილის) დახმარებით „ქართულად თარგმნა ნორ-ჟულასა და ვენეციის სომხურ სკოლებში დანიშნავენებული, ე. წ. სააზატო მეცნიერებათა სახელმძღვანელოები, როგორიც არის: სიმეონ ჯულაელის ლოგიკა, გრამატიკა და სხვა. ქართლ-კახეთში იმ დროს გახსნილი სემინარიებისათვის აუცილებელ სახელმძღვანელოთა ერთი ნაწილი, რუსეთის ცენტრებთან უშუალო კავშირის დამყარებამდე, ამ სკოლის გამგეებმა სომხურიდან გადმოიღეს, ან შექმნეს კიდევ სომხური ნიმუშების მიხედვით“<sup>3</sup>, და სავსებით ბუნებრივია, რომ „თავის მხრივ სომეხი მოღვაწეინიც, თუ კი ქართული ლიტერატურის რომელიმე ძეგლი მათ ყურადღებას მიიპყრობდა, გადაიღებდნენ, ან თარგმნიდნენ მას და ამრიგად მისაწვდომს ხდიდნენ ამ ძეგლს სომეხ მკითხველთა წრეებისათვის“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ილია აბულაძე. ახალი ძეგლები ქართველ-სომეხთა ლიტერატურული ურთიერთობიდან წარსულში. „მატენადარანის მოამბე“ 3, ერევანი, 1956 წ., გვ. 102 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 102 — 103.

ქართველთა მეფის სასახლე თბილისში კულტურის განვითარების ცენტრად გადაიქცა არა მარტო საქართველოს მეფის მედ აგრეთვე ამიერკავკასიის მეცნიერთა, პოეტთა და ტვართათვის. ვახტანგი თავის სასახლეში იწვევდა და შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობას უქმნიდა მეცნიერებსა და ხელოვნების მოღვაწეებს. ცნობილია, მაგალითად, რომ სახელგანთქმული სომეხი პოეტი და მხატვარი ნაყამ ჰოვნათანი (სიენიეთის წლუქკის მხარის დაბა შოროთიდან) ვახტანგ მეფემ თბილისში, თავისთან მიიწვია და იგი სასახლის მომღერლადა და მხატვრად დანიშნა. შესაძლებელია, ამას მოწმობდნენ პოეტის შემდეგი სიტყვები:

„შენ სახელზე ვწერდი წერილს,  
ვერ ვუშხელდი ტრფობას ვერვის,  
ეს შემატყო ვახტანგ ხანმა  
და მისგან შორს გამავზაენა“.

თვით ნაყამში, როგორც ჩანს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქ თბილისის გარემოსთან, სიცოცხლის მოყვარულ ქართველ ხალხთან, რის საუკეთესო საბუთს ჰოვნათან ნაყამის ერთი საყოველთაოდ ცნობილი და შესანიშნავი ლექსი წარმოადგენს, რომელსაც იგი უძღვნის საქართველოს ქალებს. პოეტი დიდი აღფრთოვანებით წერს:

„ვაქებ გულით მხიარულით  
თბილისს, ქალაქს პატიოსანს...“

ქართლის მოწინავე მოაზროვნეებს მიაჩნდათ, რომ დადგა მარჯვე დრო ქართულ სამთავროთა ერთ მთლიან სამეფოდ გაერთიანებისათვის და რომ ამ საქმის მოთავე ქართლი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ვახტანგის ავტორიტეტის ამაღლება ქვეყნის შიგნით და ქართლის გაძლიერება არ შეიძლებოდა შეუშინებელი დარჩენილიყო და არ შეიძლებოდა აგრეთვე მოსწონებოდათ არც ქართველ თვითნება თავადებს და არც ირანის შაჰს.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში განწვევდა დამოკიდებულება თურქეთს, ირანსა და რუსეთს შორის. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობის

გამწვავებას ტრაგიკული შედეგები მოჰქონდა ამიერკავკასიის  
ხალხებისათვის.

ირანში ყოფნისას ვახტანგი დარწმუნდა, რომ საქართველოს  
შიმართ სპარსელებს მეგობრული გრძნობები არ ამოძრავებ-  
დათ და რომ მათ მიზანს ქართველების საბოლოოდ დამონება  
და გასპარსელება წარმოადგენდა. იმავე დროს ვახტანგმა იქ  
ნახა, რომ ვრთ დროს ძლიერი ეს აღმოსავლეთის სახელმწიფო  
დაცემისაკენ მიემართებოდა და, მაშასადამე, ირანის პროტექ-  
ტორატის ქვეშ დარჩენასაც შესაძლებელია დამღუპველი შე-  
დეგები ჰქონოდა მის ბატონობას დაქვემდებარებული ქვეყნე-  
ბისათვის და მათ რიცხვში საქართველოსთვისაც. ვახტანგი  
ამაშიც იყო დარწმუნებული, რომ საქართველოსათვის ასევე  
გამანადგურებელი იქნებოდა თურქეთის ბატონობაც. ამ  
ბირობებში, როდესაც სამხედრო შეტაკება გარღვეული იყო,  
რუსეთის ცარიზმი მოკავშირეებს ეძებდა აღმოსავლეთის  
ხალხებში.

1720 წელს პეტრე I მოუწოდა ვახტანგს მომზადებულიყო  
რუსეთთან ერთად სპარსეთზე გასალაშქრებლად. სანაცვლოდ  
კი მაჰმადიანთა ბატონობისაგან მისი ქვეყნის განთავისუფლე-  
ბას დაჰპირდა.

ვახტანგმა თანხმობა განაცხადა პეტრეს წინადადებაზე,  
თადგან იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის ძლიერი ქრისტიანული  
სახელმწიფოს დახმარებით ირანის მბრძანებლობისაგან იხსნიდა  
საქართველოს და, უფრო მეტიც, ოსმალთა მიერ მინატაცებ  
ქართულ ტერიტორიებს უკან დაიბრუნებდა<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ პეტრე I ლაშქრობას დიდი იმედებით  
წყურებდნენ აგრეთვე სომხებიც. სომეხ-ქართველთა ინტე-  
რესების ერთობის საფუძველზე მტკიცე კავშირის აუცილებ-  
ლობა კვლავ იგრძნობოდა. ცნობილი სომეხი ისტორიკოსი  
ლუო სამართლიანად შენიშნავს, რომ სომხებისათვის განსა-  
კუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ VI მოღვაწეობას,  
„რომლის ძირითად მიზანს სპარსთა უღლისაგან საქართველოს  
განთავისუფლება და რუსეთის დახმარებით მისთვის დამოუ-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია,  
„საქართველოს ისტორია“, გვ. 396.

კიდეზობის დაბრუნება წარმოადგენდა. ყველა გარემოებანი იმაზე მიუთითებდნენ, რომ ასეთი გადაწყვეტილების განხორციელებისათვის შესაფერისი დრო დადგა. როცა აწონ-დაწონა ეს ხელსაყრელი პირობები, ვახტანგს, რასაკვირველია, არ შეეძლო არ შეემჩნია ანალოგიური პოლიტიკური მოძრაობა სომხებს შორის. როგორც შორსმკვრეტელი და გონიერი პოლიტიკოსი, იგი დაუახლოვდა სომხებს და ამავე დროს დაიხლოვა ისინი<sup>1</sup>. სწორედ ამ საფუძველზე განმტკიცდა ქართველ-სომეხთა ერთობა და კავშირი სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი არსებობისათვის წარმოებულ ბრძოლაში. თვით ვახტანგი და შემდეგ მისი შვილები დიდ დახმარებას უწევდნენ სომხების განმათავისუფლებელ ბრძოლას — დავით ბეკის მოძრაობას. ქართველებთან ერთად სომხებიც განთავისუფლებისა და ხსნიასათვის მოუთმენლად ელოდნენ რუსთა მეფის დახმარებას; ვახტანგი წინასწარ ემზადებოდა მომავალი შემთხვევებისათვის და სომხებსაც ეხმარებოდა. ამ საქმეში ვახტანგს მხარი დაუჭირეს სომეხთა კათალიკოსმა ესაიამ და ყარაბაღის მელიქებმა.

1722 წლის ზაფხულში პეტრე პირველმა დაიწყო ლაშქრობა სპარსეთში. რუსთა ჯარი თერგიდან დარუბანდისაკენ დაიძრა, ხოლო ვახტანგი, შეთანხმების თანახმად, განძისაკენ გაემგზავრა, აქედან შირვანში წასასვლელად, სადაც რუსთა ჯარს უნდა შეერთებოდა. განძაში ვახტანგს შეუერთდნენ, აგრეთვე, ყარაბაღის სომეხ მელიქთა რაზმები. ვახტანგმა აქ დიდხანს იცადა, სამი თვე. შემდეგ კი პეტრემ შეატყობინა მას, რომ ლაშქრობა გადაიდო. ვახტანგსა და სომეხთა ჯარს მხოლოდ ერთი რამ დარჩენოდათ, — დაბრუნებულიყვნენ თავთავიანთ ადგილებზე. თბილისში დაბრუნებისას, ვახტანგი მიიმე მდგომარეობაში ჩაეარდა. კეშმარიტად, „ქართლის მეფის საქმე მეტად გართულდა: ირანის შაჰი ვახტანგ მეფეს ორგულობასა და ღალატს აბრალებდა, არც ოსმალეთი იყო ვახტანგის მადლიერი, — ხონთქარი ვახტანგს რუსთა მომხრეობას უსაყვედურებდა, თავის მხარეზე მოუწოდებდა, წინააღმდეგ

<sup>1</sup> ლეო, სომხეთის ისტორია. ტ. III. ერევანი, 1946 წ., გვ. 599 — 600 (სომხურ ენაზე).

შემთხვევაში დაპყრობით ემუქრებოდა. ვახტანგი, რუსეთის მეფის აღთქმას მიხედობილი, საქართველოს განთავისუფლების იმედს არ კარგავდა. იგი მტრებთან მოლაპარაკებით ჩვენარი მორჩილებით დროს მოგებას ცდილობდა და მომავალი გაზაფხულისათვის შარვანში პეტრეს გამოსვლას ელოდა<sup>1</sup>.

ამრიგად, გამოუვალი იყო ვახტანგის მდგომარეობა. ამ დროს საქართველოში კიდევ უფრო გაფართოვდა შინაფეოდალური ბრძოლები, რომლებსაც მძიმე შედეგები მოჰყვა ქვეყნისა და მისი დედაქალაქისათვის. აი, რა რიგად წარიმართნენ შემდგომი გარემოებანი.

ვახტანგის მოქმედებით უკმაყოფილო შაჰმა ჩამოართვა მას სამეფო ტახტი და ქართლი გადასცა კახეთის მთავარს, გამაჰმადიანებულ მოღალატეს კონსტანტინეს, რომელიც ისტორიაში უფრო მეტად ცნობილია თავისი მუსლიმანური სახელით — მაჰმად-ყული-ხანი. ირანის შაჰმა გადაწყვიტა, რომ მაჰმად-ყული-ხანი ვახტანგის წინააღმდეგ გამოეყენებინა. 1723 წელს სპარსთა ჯარის სათავეში მდგომი მაჰმად-ყული-ხანი ქართლს შეესია, რომ ვახტანგის ტახტს დაუფლებოდა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ამის შესახებ საინტერესო და ძვირფასს ცნობებს გვაწვდის ამ შემთხვევების თვითმხილველი კათალიკოსი ესაია ჰასან ჯალალიანცი თავის წიგნში „ისტორია, ანუ ანდერძი სხვადასხვა თავგადასავლისა, რომელიც შეემთხვა აღვანეთის ქვეყანას“. ესაია კათალიკოსის მიერ აღმოცენებულ ცნობებში განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ საქართველოს სამეფოს მძიმე დღეებში ერის მოღალატის, სპარსეთის სასახლის ყურ-მორჩილის, მაჰმად-ყული-ხანის წინააღმდეგ საქართველოსა და თბილისის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გამართულ მებრძოლი ვახტანგ მეფის დროშის ქვეშ ქართველებთან მხარდამხარ „გულმოდგინედ“, — როგორც ამბობს ავტორი, — სომხებიც იბრძოდნენ. ეს ბრძოლა სომეხ-ქართველთა საბრძოლო მეგობრობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს. ესაია გადმოგვცემს:

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწილი I. 1948 წ., გვ. 372.

„მან შეკრიბა თავისი ჯარი, განსაკუთრებით კი მოქალაქენი, მხნე მებრძოლი სომეხი მეომარნი, რომელთაც სული და შვილები, ქონება და თავი გაწირეს და გულმოდგინედ დაიწყეს ბრძოლა. ბრძოლას აწარმოებდნენ დეკემბრის პირველიდან ვიღრე წმინდა აღდგომის დღესასწაულამდე, ვახტანგი — ქართველ-სომეხთა ჯარით, ხოლო მაჰმად-ყული-ხანი — სპარსთა ჯარით. სხვა რა დაეწერო ქვეყნის აოხრების, ტყვედ წასხმისა და აუღების შესახებ?“

[*ა...ხე ნათი ძივიძხაყ დვირჲ იჲრ მანხაანჲ დჲაღაჲა-ფიჲს, დჲაჲაჲიჲს დჲაღამაროტიჲ დვირჲსანჲს, იჲრ დჲივიჲს ლ დვირჲს, დჲინჲს ლ დანჲინჲს ხეხაჲ ჴინ ჲ ქხრაჲ ნიორა ი-ძარ სრთიჲ ლ სიჲდჲს არარინ დჲაჲათხრაჲმან კაიარჲს-რირჲს დჲსკოხმჲსრ ამითჲ მინჲს ჲ თინ სრთიჲ დჲათიჲს: ჴაჲათანსჲს დჲრაჲსი ლ ჲაჲ დვირჲ, ჲსჲ შჲამამათჲიჲს<sup>1</sup> სარსიჲ: დჲინჲ აჲ დრეჲიჲ საჲს ახერიჲსხან ლ დხერი-ჲსხან ლ საჲანიჲსხან ხერიჲს აჲსმჲსჲ]*

მაჰმად-ყული-ხანი ქვეყნის დამცველი სამშობლოს მოყვარული ჯარის გმირულ წინააღმდეგობას წააწყდა და სრული დამარცხება განიცადა. ამოწყდა მთელი ჯარი, თვით მაჰმად-ყული-ხანიც ძლივს გადარჩა. მას ფარხმალი არ დაუყრია. ირანის შაჰისაგან განხნევებულმა მიმართა ლეკებს დახმარებისათვის და აღუთქვა სასყიდელი, თბილისის დაპყრობის შემდეგ მათთვის მიეცა ნაღავლი.

„ღამეხმარეთ და შეჲეწიეთ მე, — მიმართა მაჰმად-ყული-ხანმა ლეკებს, — თქვენი დახმარებითა და ძლიერებით ავიღებ ქალაქ ტფილისს და რასაც ოქროს, ვერცხლს, აბრეშუმს, ტილოს, მატყლეულს, სპილენძს ვიპოვი, თქვენ მოგცემ“.

[*ა...შათარჲეჲჲ ჲინჲ ლ იჲსიჲეჲჲ ლ დხერიჲ იჲსანსანი-ჲსამჲრ ლ დვირიჲსამჲრ ათიჲ დჲაღაჲს ნჲჲიჲსი, დხე თაჲ ირ*


<sup>1</sup> ესაია ჰასან ჯალაღიანცი. ისტორია. ანუ ანდერძი სხვადასხვა თავგადასავლისა, რომელიც შეემთხვა აღვანეთის ქვეყანას. შუში. 1839, გვ. 64 (სომხურ ენაზე).

საქონეული  
საქონეული

მოთარე შე ლეკებმა, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით მიიღეს მაჰმად-ყული-ხანის წინადადება, რომელიც ხიზლავდა მათ შემოსავლიანი და მდიდარი, „ყველაზე დოვლათიანი“ ქალაქის, თბილისის გაძარცვის პერსპექტივებით. 1723 წელს, გაზაფხულზე ლეკთა ბრბოების სათავეში მდგომი მაჰმად-ყული-ხანი თავს დაესხა თბილისს. ამჯერად ვახტანგისათვის ძნელი იყო წინააღმდეგობის გაწევა. თბილისი მტერს ხელთ ჩაუვარდა და ისეთი აოხრება და ძარცვა განიცადა, რომ, როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ ძლივს შეძლო მიღებული წყლულების მოშუშება. მოგვყავს შესაბამისი ნაწყვეტი ესაია ჰასან-ჯალალიანცის „ისტორიიდან“:

„როცა მაჰმად-ყული ლეკებთან ერთად ქალაქში შევიდა, უმაღლე იწყეს ჩხრეცა ყოველი სახლ-კარისა, ყველა ეკლესიის ზემო და ქვემო სართულებისა. მდიდარი და მომხიზლავი ქალაქი ტფილისი დიდი ხნიდან მტერთაგან შეურყეველი და ბრძოლისაგან ნოსვენებული იყო, როგორც ყველასათვის ცნობილია, დიდად გაძარჯე ვაქრები არიან აღვილობრივი კაცები, ნებიერნი და ლამაზნი არიან მათი ღედაკაცები, ვაყები და ქალები. ყოფაცხოვრებითა და ქცევით ყველაზე შეუდარებელი არიან ისინი. აქვთ მორთულ-მოკაზმული სასახლეები, ავეჯეულობით საესენი, სახლისა და სუფრის სპილენძის ჯამ-ჭურჭლის ნაცვლად ვერცხლისა და ოქროსაგან გაკეთებულნი. ხოლო ტანსაცმელ-შესამოსელი სამკაულთა თვლებით მოოქვილი; ფარჩეულობა, წყობილი მარგალიტის ბრწყინვალება, არ შეუძლია წარმოიღვინოს ადამიანის გონებამ. ხოლო ეკლესიების ბრწყინვალებისა და სიდიადის შესახებ რა უნდა ვთქვა? ძლიერ განათებული იყვნენ ოქროულითა და ვერცხ-


¹ ესაია ჰასან-ჯალალიანცი, ისტორია, ანუ ანდერძი სხვადასხვა თავგადასავლისა, რომელიც შეემთხვა აღვანეთის ქვეყანას. შუში. 1839, გვ. 65 (სომხურ ენაზე).



ლეულით, ფარჩეულითა და ყოველი ავეჯით ცეკ-საანსახურებლით. ყოველივე ზემოაღწერებულთაგანს ეხორციელებოდა სელი ველური, შეუბრალებელი, ხარბი, მხეცის ბუნებისა და წურბლის მსგავსი ხალხისა. გაძარცვეს, დააცარიელეს, დიდი ნაღავლი წაიღეს, ყრმანი და ზავ-შეგები, დედაკაცები და ქალები, თვალთ მოსაწონი ტყვედ წაასხეს, ხოლო სასირცხვო ამბები ვის შეუძლია გვიამბოს და ნაღავლის რიცხვი ვის შეუძლია აღწეროს..., [ლეკები—ვ. ნ.] დაპირებულ ფულს ითხოვდნენ. ამისათვის კი [მაჰმად-ყული-ხანმა — ვ. ნ.] მძიმე ხარკი უაადო ქალაქის მცხოვრებთ. 40.000 თუმანი შეკრიბა, მისცა მათ და თავიანთ ადგილებში დააბრუნა<sup>4</sup>.

[ჩისკ შამამათიუიქის ქორძამ ხმით ქ დაღაფნ ზან-ფერძ რაღმთქხამენ ჯაღკხაფნ ზ ჩისკიქნ ასკან ირინხღ დაღაფნ თანქ ქ თონ ზ დრანქ ქ დონ. აქ ზ ღსკხღეფისან ამქნ ზ დქზნათონ ზ ზხრენათონან ზიფა. ზ დქ კილიქ ძამანსკაფ ზ აქარ ანდრდონქ ქ ქ ქ შქნამხაფ ზ ქაფ-ღაღაფნაქ ქ აქათხრაღქ ამხნაქარქამ ზ ქაქელიღ დაღაფნ შიქისა. ზ ირაქს ამხნხეონ ქ ქაქთნიქ რაღმაღქათაფ იქანათასკანქ ხნ არე თხილიქ ზ ქაქისკასონქ ზ დღღეფსკათიქ სკანაქ, თასთხრე ზ დათხრე ზიფა. ზ რათ სკნეფაღიქა დაღაფნაქაროქხან ანამანქ ქ რაღმაფ. აქარანსიღ დღ-ღაქანონიღ დაღარქარსაქ, სკარსიღ ზ სკარასიღ იონდაფსკაღ... სკასა ზ ანოქს თანე ზ ასღანთე ზიფა დქილიქა ქითხანსკ აღნბიღ არბაქხღქნა ზ თსხღქნა ზქნ სკაღმსაქ. ჩისკ ღღანღერბიფ ზ დღხათიფ დაღრიფ აქანსკიონ დქაფსკაფ მარღართაღარაფ აქაქბათიქქნ დქთხა' ირქაქ ირ მიხრე რე რთინ: აქ ქანს სკღღეფსკაფნ ღქნოქხანს ზ აქაქბათიქხანს დქნ, ასაფიფ. დქ კიქბ ღქნაფიფსკაღ ზქნ თსხღქინიღ ზ არბაქხღქინიღ ზ დქაქიღ ზ ამქნ სკარსიღ ზ სკარასიღ ზ ანოქხღქნ სკასიღ: ღაქა ამქნ დრსაღქა ქ ბხონ ათინ ქაქრქნსქ ზ ანაფიფიქნ ზ აღაზოქხანს მასამე ანქაფ დაღანსარაქიღ ზ თღრქანმან აღღენ აქნოქსი. ზ სო-ღოქათსაქ ქაქისექნ ქინქხანს დღაღმთქქნ ალარქნ ზ დამანსკანე ზ თღაქიფ, სკანანე ზ აღქსკანე დაღაფ ღღანთქან ათინ ქ დქროქქინ: ჩისკ ქსაქათათოქსკანე დქაქი თ' სკარქ აქათმიქ ზ დალარქინ დქქინ თ' სკარქ რნე დროქ არქანსი... დქითათაფსკაღ დქრამნ ქანდრქქნ. ქანს იროქ

გბანო ზარკა ჭარქი ს ქერაქი გარეგანეიანი ანჯარა  
ქაროქი ქერსი ესწ (40.000) შიომანი ს ათხალ ვაკე ს  
ნიგა, ს არბახხაე ვნალ ს თხიქს ქერხანეა<sup>1</sup>.



მაგრამ მაჰმად-ყული-ხანმა თბილისი დიდხანს ვერ შეინარჩუნა და იმავე 1725 წლის ივნისში იძულებული გახდა ბრძოლის გარეშე თურქებისათვის დაეთმო. ამჯერად უკვე თბილისი თურქთა უხეშ და მკაცრ უღელ ქვეშ მოექცა. ეს მდგომარეობა 1735 წლამდე გაგრძელდა. კვლავ აფორიაქებული, უბედურებით აღსავსე დღეები გადაიტანა ქართველთა დედაქალაქმა. თვით ვახტანგი თავის მსლებლებითურთ იძულებული იყო გადასახლებულიყო რუსეთში, სადაც 1737 წელს გარდაიცვალა კიდევ სამშობლოს მონატრული და მისი განთავისუფლების წადილით აღსავსე.

თურქთა ხანმოკლე ბატონობამ ქართლსა, და, კერძოდ, თბილისში ახალი ნგრევა მოიტანა თან. დასაყრდენ წერტილად თურქებმა თბილისის ციხე აირჩიეს და იქ გამაგრდნენ.

მაგრამ ირანი ასე ადვილად არ დაუთმობდა თავის პოზიციებს თურქეთს. ნადირ-შაჰის ჯარები 1735 წელს შეიჭრნენ ქართლში და დაიპყრეს თბილისი.

ქართლისა და კახეთის ფეოდალები სპარსელებს ეხმარებოდნენ თურქების წინააღმდეგ, რადგან მათ „უზენაეს ხელისუფლებას უმცირეს ბოროტებად მიიჩნევდნენ“.

მალე ისინი დარწმუნდნენ, რომ ნადირ-შაჰის უღელი არაფრით არ იყო მსუბუქი თურქებისაზე. კვლავ ისეთივე ჩაგვრა და უსამართლობა, ისეთივე ძარცვა და დატყვევება.

შემდეგ წელს, 1736 წელს, ირანსა და თურქეთს შორის ურზერუმში დადებული ხელშეკრულების თანახმად, აღმოსავლეთი საქართველო, ისევე როგორც აღმოსავლეთი სომხეთი და აზერბეიჯანი, ირანის განმგებლობაში გადავიდა. ნადირ-შაჰი თვით მოვიდა თბილისში და 17 დღე დარჩა იქ. მრისხანე ნადირ-შაჰის შემოსვლა თბილისში კარგს არაფერს უქადდა ქალაქს. აღმოსავლეთის მკაცრ დამპყრობელს რაიმე კვალი უნდა

<sup>1</sup> ესაია ჰასან ჯალალიანი ცი. ისტორია, ანუ ანდერძი სხვადასხვა თავგადასავლისა, რომელიც შემოთხვა ალვანეთის ქვეყანას. შუშა. 1839, გვ. 67 — 69 (სომხურ ენაზე).

დეტოვებინა. და აი, მისი ბრძანებით, ყველა „არასამელო“  
კაცი, რომელსაც კი შეეძლო სპარსთა ბატონობის წინააღმდეგ  
გამოსვლა, ირანში გარეკეს. ნადირ-შაჰის ეს ღონისძიება  
შინელი უბედურება იყო ქვეყნისა და მისი დედაქალაქისა-  
თვის. ირანში გადასახლების საფრთხის თავიდან ასაცილებლად,  
თბილისის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, კერძოდ კი მქონებელი  
კლასიდან, ტოვებდა ქალაქს და გარბოდა. ამის შედეგად  
მოკლე ხნის განმავლობაში დედაქალაქის მოსახლეობა საგ-  
რძნობლად შემცირდა. ამასთან დაკავშირებით თანამედროვე  
სომეხმა კათალიკოსმა და ისტორიკოსმა აბრამ კრეტელმა  
დაგვიტოვა ერთი საინტერესო ცნობა, რომელშიც იგი მოგვი-  
თხრობს, რომ მისი შუამდგომლობით ნადირ-შაჰმა 300 ოჯახი,  
რომელიც თბილისიდან ხორასანს უნდა გადაესახლებინათ, შე-  
იწყალა, ხოლო სანაცვლოდ დიდი თანხა გამოართვა.

„3 დღე კიდევ დავრჩი ტფილისში, რადგან ხანს  
ბრძანება გაეცა გამოეყვანათ ქალაქიდან 300 სახლი და  
წაეყვანათ ხორასანს, ისევე როგორც აირარატიდან.  
უბრძანა ერევნის ხანს, აგრეთვე ქალანთარსა და მე-  
ლიქს, რომ წასულიყვნენ და სამასი სახლი აღეწერათ.  
ნების გარეშე, ძალით გამოიყვანეს თავიანთ სამკვიდ-  
როდან და ხორასანს წაასხეს. ასევე მოიმოქმედეს თბი-  
ლისშიც — აღწერეს 300 სახლი, იწყეს შეკრება და  
აავსეს ეკლესია. მრავალნი, როდესაც შეიტყვეს მათი  
დატყვევება, მოვიდნენ ეკლესიაში, სადაც მე ვიყავი  
თავშეფარებული, ხმამალა გოდებდნენ, ტიროდნენ  
და ცას შელალადებდნენ, ყვიროდნენ, მიწაზე ცვივოდ-  
ნენ და გორავდნენ, მევედრებოდნენ, რომ მეთხოვა  
ხანისათვის მათი განთავისუფლება და რომ ისინი არ  
წაეყვანათ უცხო ქვეყანაში. ხოლო მე, ტანჯულმა, ვი-  
ხილე რა ხალხის, მამათა და დედათა ეს უბედურება,  
ამივარდა ქვითინი, დამეწვა გული და სისხლის ცრემ-  
ლებს ვღვრიდი. ჩამოვიარე როგორც მწირმა დიდე-  
ბულთა კარი, ვემუდარებოდი, ვითხოვდი და ვევედრე-  
ბოდი, რომ გაენთავისუფლებინათ ისინი მწუხარებისა-  
გან. ღვთის მოწყალებითა და ჩემი მიზეზით დატკბა

ხანის გული და გაუშვებისინი, მაგრამ 3000 თუმანი და  
3000 სომარი ხორბალი შეკრიბეს, მიართვეს მას და  
ამით თავი დააღწიეს უბედურებას. ასევე ირანის  
ქვეყნის 300 სახლისათვისაც დიდად და დაუღალავად  
ვიტანჯე და ვეცადე, მაგრამ შეველა არსით იყო“.

[...სა მზაყი ჩი შიჭიქი ვი ირ სა, ქასან ეჩი მხბაგიორ  
ქასანს ზრამანს ზე არარხალ მქე<sup>1</sup> ჩი ჭაღაქენს ვიბ თონს ზანხალ  
თარეხნს ჩი სიორასანს, ირაცესა და სკერარათი ხთორ. ზრამანს  
ხთორ ხანჩინს ხრხანაქ, აქი და ჭაქანსქარჩი და შქეჩიქი, ირ  
გნაყხალ ვიბ თონს გრეყინს. და ქასამაქი კამიოქ<sup>2</sup> რინიქხამარ  
ზანხაქი ჩი რნაკიქხინს ჩი რხანსე გუხეყინს ჩი სიორასანს, აქი-  
აქესა და ჩი შიქიქი თონს, ირ და გრეყინს ჩი ჭაღაქენს ვიბ თონს.  
და ასქასანს ძიღიქიქი და ცეიციანს ქხეხეხეყინს მჩი. და რაღიამ ვი  
ქეჩინს გგნანს და გგრაქინს ჩი რხანსე, გაკინს ქხეხეხეყინს<sup>3</sup> კი-  
რიამ აკასათანსხალ ზე, და კასქანს რარბხალ იღერაკინს და ა-  
გოგასქანს ქხეხეხეყინს ხელანს. ცაკინს, გიოაკინს, გიოქეჩინს, ქხეხეხეყინს  
ანსხალ ქხაქეჩინს, და აგხეჩინს, გჩი ქანგეჩინს<sup>4</sup> ჩი სანსქანს  
აგათხე გნაიას, და მჩი<sup>5</sup> ქარქი ჩი კითარ ხეჩიქი: ჩასქ თა-  
რასქხალს თხიანსიქი გაღქთა ძიღიქიქხანს<sup>6</sup> არანსე და კა-  
ნანსე, ირგუქხალ აქეხეხეყინს აროქიქსა, და არხანს ართასიოს  
ქიციანსქი და გნგხეხეყინს ასათანგასქანს ჩი გიონსა მხბამხ-  
ბაყ<sup>7</sup> აკასათქი, აგაქეჩი, ზაკეჩი, და აგხეჩი აგათიქი ნი-  
გა ჩი კაკინს ქეითაყ: ირ და იღერამიქხამარნს სათიბიქი, და  
ჩი აკათონსქი ქამქე<sup>8</sup> გოგერაგია სჩიოთ ხანჩინს, და ხქიო  
გნაიას: ვიბ ქიომანს და ვიბ სიამარ ვიბ ხანს, ირ და ძიღიქიქი  
ზასიოყინს და გხეჩინს: შიქიქესა და ქასანს სკერარათი ხეჩიქინს ვი  
თონს ზათ და ასქინს თანსეხეყინს და თათასეხეყინს, და ირ  
სეღა ზანარა...]

უნდა ვიფიქროთ, რომ ნადირ-შაჰის მიერ წამოწყებული  
გადასახლების პოლიტიკა არა მარტო უდიდესი უბედურება  
იყო თბილისის ქართველი და სომეხი მოსახლეობისათვის,  
არამედ, იმავე დროს, ირანის მფლობელის, შემოსავლისა და  
ქრთამების უხე წყაროსაც წარმოადგენდა.

სპარსელი სარდლებისა და მეომრების უსამართლობამ,  
მძიმე ხარკის მოთხოვნამ, შევიწროებისა და ტერორის პო-

<sup>1</sup> აბრაამ კრეტელი, ნადირ-შაჰის ისტორია. ვალარშაბატი, 1870 წ., გვ. 25 (სომხურ ენაზე).

ლიტიკამ, გამაჰმადიანების საშინელმა საფრთხემ ბოლოს და ბოლოს ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. ქართლსა და იმერეთსა ზეთში სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებებმა იმერეთ-ქა, რომლებმაც 10 წელს გატანა. ქართველები გასპარსელებისაგან იხსნა მათ მიერ წარმოებულმა თანმიმდევრულმა და უდრეკმა ბრძოლამ, რომლის შემოქმედებით ნადირ-შაჰი იძულებული იყო ხელი აეღო გასპარსელების პოლიტიკაზე და მთელ რიგ დათმობაზე წავიდა ქართველების მიმართ.

1744 წელს ქართლში გამეფდა თეიმურაზი (ერეკლე I-ის შვილიშვილი), ხოლო კახეთში მისი ვაჟი ერეკლე II.

ნადირ-შაჰის მოკვლის შემდეგ (1747 წ.) მისი სახელმწიფო დაიშალა, დანაწილდა დამოუკიდებელ და ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ცალკეულ სახანოებად. ამ სახანოთაგან ზოგიერთები მიისწრაფოდნენ თავიანთი ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოზე გაევრცელებინათ, მაგრამ თეიმურაზისა და ერეკლეს გაერთიანებულმა ჯარებმა დაამარცხეს ისინი. ქართლი იმა კახეთი კვლავ ვერ განთავისუფლდა უბედურებისა და ჩაგვრისაგან. ამჯერად ქართველთა ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენეს ლეკებმა თავიანთი თარეშებითა და ავაზაკური თავდასხმებით, რომელთა დროს საქართველოს სხვა დასახლებულ ადგილებთან ერთად, თბილისიც დიდად დაზარალდა. ლეკთა თარეშები და ყაჩაღური თავდასხმები განსაკუთრებით გახშირდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ 1754 — 1760 წლებში. ლეკთა განუწყვეტელ ლაშქრობათა შედეგად ჩამორჩა ქვეყნისა და მისი დედაქალაქის მეურნეობა, დაეცა საშინაო და საგარეო აღებ-მიცემობა. თეიმურაზისა და ერეკლეს შეუპოვარი ბრძოლის წყალობით, საკმაოდ დიდი სიძნელის გადალახვით, შესაძლებელი შეიქმნა ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრებისა და სიცოცხლის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა.

მაგრამ საქართველო ჯერ კიდევ ირანის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, რომლისგანაც განთავისუფლების ერთადერთ გამოსავლად თეიმურაზსა და ერეკლეს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა მიაჩნდათ, და აი, 1760 წელს თეიმურაზი პეტერბურგს გაემგზავრა, დახმარება სთხოვა ელისაბედ

დედოფალს. მაგრამ რაიმე ხელშესახებ შედეგს ვერ მიაღწია და იქვე გარდაიცვალა 1762 წელს.

ირანში, ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, სამეფო ტახტისათვის ბრძოლები დასასრულს მიუახლოვდა. 1761 წელს ქერიმ-ხან-ზანდმა ყველა თავისი მოწინააღმდეგე დაამარცხა და ირანის შაჰი გახდა. ერეკლემ დიდი პოლიტიკოსის ნიჭის წყალობით შეძლო სპარსთა ხანებს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების გამოყენება. მან დაინახა, რომ მოცემულ, ისტორიულ სიტუაციაში საქართველოსათვის სასარგებლო არ იქნებოდა ირანთან მტრობა და გადაწყვიტა ირანის შაჰის ნდობა დაემსახურებინა. ამისათვის მას შემთხვევაც მიეცა: ერეკლემ ქერიმ-ხანს გაუგზავნა მის ხელთ ტყვედ ჩავარდნილი აზატ ხანი, რომელიც ქერიმის დაუძინებელი მტერი იყო. ქერიმ-ხანმა დიდად დააფასა ერეკლეს ეს ნაბიჯი და მისი ერთგულების წაქეზებისათვის შესაძლებლად ჩათვალა ეცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აგრეთვე ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე. საქართველომ კვლავ მოიპოვა გაძლიერების შესაძლებლობა, რომელმაც დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია არა მარტო ერეკლეს სამშობლოში, არამედ ირანის ბატონობაში მყოფ მოძმე ხალხებში, კერძოდ კი სომხებშიც. ეს უკანასკნელნი დიდ იმედებს ამყარებდნენ მოძმე საქართველოს გაძლიერებაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ერეკლემ გარკვეულ შედეგს მიაღწია. 1762 წელს ქართლ-კახეთი გაერთიანდა, რაც საფუძველი უნდა ყოფილიყო ქართული სამეფოს შემდგომი გაძლიერებისათვის. თბილისი გადაიქცა ამ ერთიანი სამეფოს დედაქალაქად, ერეკლე II-ის რეზიდენციად. კვლავ დედაქალაქის პატივითა და დიდებით შეიმოსა უძველესი ქალაქი თბილისი.

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ საქართველოს გაერთიანებისა და ქართული სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისა და გაძლიერების პოლიტიკას ქვეყნის მსხვილი თავადები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ. მაგრამ ერეკლე იმედს არ კარგავდა და მტკიცედ ატარებდა ქვეყნისა და სახელმწი-

ფოს გაძლიერების პოლიტიკას. მან განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია მრეწველობის განვითარებას, რომელიც თბილისში დიდი ნაწილი თბილისში იყო. ერეკლე II აუმჯობესებდა წარმოების არსებული დარგების მდგომარეობას, ასევე ქმნიდა ახალ დარგებს, როგორც, მაგალითად, ვერცხლისა და სპილენძის წარმოებასა და სხვას. ამ საქმეში ერეკლე აბამდა უცხოელ ოსტატებს, იგი აუმჯობესებდა ვაჭართა და ხელოსანთა კლასის იურიდიულ მდგომარეობას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. ერეკლეს ბრძანებით სტამბის საქმეც გაუმჯობესდა. მან კონსტანტინეპოლელ სომეხ ოსტატს, პავლე ოვანისიანს დაავალა აღედგინა და მოეწესრიგებინა ვახტანგ VI დროს აგებული სტამბა და გაუმჯობესებინა ბეჭდვის საქმე. შემონახულია ერეკლე მეორის რწმუნებული პირის — მელიტონისა — და პავლე ოვანისიანს შორის დადებული ხელშეკრულება თბილისის სტამბის აღდგენისა და სასტამბო საქმის გაუმჯობესების შესახებ<sup>1</sup>.

ერეკლემ დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე ვაჭრობის განვითარებას და ვაჭრებისათვის აუცილებელი პირობები შექმნა. მის დროს კვლავ გაიხსნა რამდენიმე საუკუნის მანძილზე უქმად დაგდებული სატრანზიტო ვაჭრობის მთავარი გზა, რომელიც დარიალის ხეობით გადიოდა და რომლითაც შესაძლებელი იყო რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება.

ერეკლე განათლების საქმეზეც ზრუნავდა. ერეკლემდე საქართველოში მხოლოდ კერძო სკოლები მოქმედებდნენ. მის დროს განათლების საქმე სახელმწიფო საქმედ იქცა, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო სწავლებას. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ერთი ისეთი ინიციატორი და განათლებული კაცი, როგორც იყო ანტონ I კათალიკოსი. 1756 წელს თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის პირველი ზედამხედველი იყო ზევით მოხსენებული თბილისელი მღვდელი ტერ-ფილიპე ყაითმაზიანი (ყაითმაზაშვილი).

<sup>1</sup> აღამიანის სტატია, „ქართველთა მეფე ერეკლე II-ისა და მესტამბე პავლე ოვანისიანის ხელშეკრულება“, „მატენადარანის მოამბე“, № 3, გვ. 115 — 120 (სომხურ ენაზე).


როული იყო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა-  
ამიერკავკასიაზე გაბატონებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ  
რუსეთი, ირანი და თურქეთი. ამ პირობებში, მართლაც  
ძნელი იყო დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნება და  
„ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის ერეკლეს უნდა არჩე-  
ვანი მოეხდინა, იგი ერთერთ მათგანს უნდა შეკავშირებოდა.  
ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთისა და სა-  
ქართველოს ინტერესები ამიერკავკასიაში ერთიმეორეს ეთან-  
ხმებოდა, რომ, მაშასადამე, რუსეთის მიერ საქართველოს  
მფარველობა საიმედო და სანდო იქნებოდა. საქართველოს  
ბედის რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე ირან-ოსმალეთის  
მოძალადეებისაგან თავისი ქვეყნის სამუდამოდ გამოხსნასა და  
მის აღდგენას ლამობდა“<sup>1</sup>.

1782 წელს ერეკლე მეფემ თხოვნით მიმართა ეკატერინე  
დედოფალს ეკისრა საქართველოს მფარველობა. შემდეგ წელ-  
სვე, 1783 წ. 24 ივნისს გეორგიევსკში (ჩრდილო კავკასიაში)  
რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომ-  
ლითაც საქართველოსა და იმავე დროს, ამიერკავკასიის ხალ-  
ხთა ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ხელშეკრულების თა-  
ნახმად ქართლ-კახეთის მეფე რუსთა იმპერატორის მფარვე-  
ლობას ღებულობდა. საქართველოს დასაცავად მეფე ვალდებ-  
ული იყო რუსთა სამხედრო ძალა ყოლოდა საქართველოში.  
და აი, ამ ხელშეკრულების თანახმად თბილისში რუსთა ჯარის  
ნაწილი შევიდა.

გასაგებია, რომ ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გაემ-  
ძაფრებინა საუკუნეების მანძილზე საქართველოში გაბატონე-  
ბული ირანის მმართველი წრეების გულისწყრომა. ალა-მაჰმად-  
ხანმა ერეკლეს რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და მისი  
მფარველობიდან გამოსვლა მოსთხოვა, რაზედაც ერეკლემ  
უარყოფითად უპასუხა. ამის შემდეგ, 1795 წელს, ზაფხულში,  
ალა-მაჰმად-ხანის 50.000-იანი ჯარი ამიერკავკასიაში შევიდა.  
ჯარი 3 ნაწილად დაიყო: ერთი ნაწილი ერევნის სახანოზე  
გაიგზავნა, მეორე ნაწილი შამახისა და ნუხისაკენ, ხოლო მე-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია,  
„საქართველოს ისტორია“, გვ. 405.

სამე ნაწილს თვით ალა-მაჰმად-ხანი ჩაუდგა სათავეში და ყა-  
რაბადისაკენ გაილაშქრა. მან ალყა შემოარტყა შუშის. ციხეა,  
მაგრამ დაპყრობა ვერ შეძლო.



გამძვინვარებულმა შაჰმა თავისი სიბრაზის მთელი გესლი  
გარეშემო სომხურ სოფლებზე დაანთხია, გაძარცვა და ნანგრე-  
ვებად აქცია ეს სოფლები. მან დაიპყრო განჯა (განძა), თავის  
გზაზე ყველაფერი ცეცხლსა და მახვილს მისცა და აღმოსავ-  
ლეთ საქართველოსაკენ, თბილისისაკენ დაიძრა.

კვლავ შავმა ღრუბლებმა მოიყარეს თავი საქართველოსა  
და მისი დედაქალაქის ცაზე, კვლავ გადაწვის, ძირფესვიანად  
დაქცევის, გაძარცვის საშინელი პერსპექტივა ემუქრებოდა  
თბილისს.

თავადების ღალატისა და ტახტის მემკვიდრეთა შორის  
უთანხმოების გამო, ერეკლემ ვერ შეძლო დროულად და სა-  
თანადოდ მომზადებულიყო საქართველოსა და მისი დედაქა-  
ლაქის დასაცავად. ამ მომენტში მას მხოლოდ 4.000 მეომარი  
ჰყავდა. მაგრამ მეფემ მაინც გადაწყვიტა ომი ეწარმოებინა.  
მის დასახმარებლად 3 ათასი მეომრით მოვიდა იმერეთის მე-  
ფე სოლომონი. გმირული ბრძოლით ქართველებმა დაამარ-  
ცხეს სპარსთა ჯარის მოწინავე რაზმი და უკუაგდეს ისინი.  
გარდუვალი იყო ალა-მაჰმად-ხანის დამარცხება, მაგრამ სწო-  
რედ ამ დროს ერეკლეს მტრებმა თბილისიდან ფარულად კა-  
ცი გაგზავნეს შაჰთან და აცნობეს, რომ ქართველთა ჯარი  
დიდი არ იყო და რომ ერეკლე წინააღმდეგობის გაწევას ვერ  
შეძლებდა ხანგრძლივად. სწორედ მეორე დღეს, 11 სექტემ-  
ბერს, ალა-მაჰმად-ხანმა შეკრიბა მთელი თავისი ძალები და  
თბილისის მისადგომთან, კრწანისის ველზე გადაიწყვიტა  
ბრძოლა გამართა. ქართველთა ჯარმა იგრძნო დიდი საფრთხე,  
მაგრამ იმედი არ დაუკარგავს და სისხლის უკანასკნელ წვე-  
თამდე იბრძოდა. მაგრამ ძნელი იყო ხანგრძლივად წინააღ-  
მდეგობის გაწევა, რადგან მტრის ძალები რიცხობრივად რამ-  
დენჯერმე აღემატებოდნენ ქართველთა ჯარს, ქართველებმა  
უკან დაიხიეს. ალა-მაჰმად-ხანის ჯარები შევიდნენ თბილისში,  
გაძარცვეს ქალაქი და გადაწვეს იგი. ქალაქის აბანოების აოხ-  
რების შესახებ ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს: ალა-მაჰ-

მად-ხანს, ირანის შაჰის ამ ყოფილ ჯაჭურისს, იმედი ჰქონდა, რომ თბილისის აბანოს წყლებში განიკურნებოდა, მაგრამ დესაც დაინახა, რომ ისინი ვერაფრით შეელოდნენ მის სატკივარს, გაცოფდა და ბრძანა დაენგრიათ აბანოები. შაჰის ბრძანებით სპარსთა ჯარებმა დაარბიეს, აიკლეს მთელი აღმოსავლეთ საქართველო, გადაარცვეს მოსახლეობა, მიუსრი გაავლეს და ტყვედ წაასხეს მრავალნი.

სპარსთა დამსჯელი რაზმები დიდი სიმკაცრით განსაკუთრებით ქართლის მოსახლეობას ეპყრობოდნენ. ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა უკანასკნელი ძარცვა და წყვეტა იყო, ქართველთა მრავალტანჯული დედაქალაქის თავს გადამხდარი საბოლოო და საშინელი უბედურება; ეს იყო ქართველი ხალხის ისტორიის ერთი ყველაზე ბნელი ფურცელთაგანი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ხალხის მახსოვრობაში. ამავე დროს, გასაგებია ის დიდი და თანაგრძნობით აღსავსე გამოზმაურება, რომელიც პოვა მოძმე ხალხის თავს გადამხდარმა ამ საშინელმა უბედურებამ თანამედროვე და მომდევნო ხანის სომხურ ლიტერატურაში. სომხურ მწერლობაში ერთი საერთო რამ შეინიშნება: ღრმა თანაგრძნობა და სიმპატია ქართველი ხალხის მიმართ, მასზე მოწეული უბედურებისა და მისი ქვეყნის უძველესი და საყვარელი დედაქალაქის ტრაგედიის გამო. ანდერძ-მოსახსენებლებისა, მემუარებისა და საერთოდ მხატვრული ლიტერატურისათვის, რომელშიც გადმოცემულია ამ საშინელ თავგადასავალთა შესახებ, დამახასიათებელია ღრმა სიძულვილი გაიძვერა და სისხლისმსმელი მტრის ალა-მაჰმად-ხანისა და მისი ბრბოების მიმართ. ამ ნაწარმოებთა ერთი ნაწილი თვითმხილველთა ჩანაწერებია, ამდენად სანდო წყაროც. ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებიც გვეხმარებიან ამ დიდ ტრაგედიასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების ახსნა-განმარტებაში. იმდროინდელ მოღვაწეთა ხელით შექმნილ ამ ნაწარმოებებს ღრმა შემეცნებითი ღირებულება აქვს. მათგან განსაკუთრებით ძვირფასი და საყურადღებოა ზოგიერთები<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის ჯარების მიერ თბილისის აოხრების შესახებ სომხური ლიტერატურული ძეგლების ბიბლიოგრაფია, მათი სრული

თბილისის თავს გადამხდარი ამ უკანასკნელი ტრაგედიის შესახებ საყოფადღებო ნაშრომი დაგვიტოვა იმდროინდელმა მწერალმა სერობმა. მის ნაწარმოებზე დართული ანდერძიდან ნათელია, რომ იგი დაწერილია 1796 წლის მარტში, საშინელი ისტორიული ამბების შთაბეჭდილების შედეგად.

ანდერძში ვკითხულობთ:

„დაიწერა ერთი უსარგებლო და მწირი ახალგაზრდის მიერ 1796 წლის 26 მარტს, უკაცრიელ ფაიტაკარანში (თბილისში — ვ. ნ.)“.

**[«*შრხეაუ კანაქითანს ლ ქ აყანოიქათ ხრითასაარქქ კილ-მხმანქ ქ 1796 ლ 26 მართი, კამაქი ჭაქათსკარანსი*»]<sup>1</sup>.**

სერობ მწერლის ეს ისტორიული ნაშრომი დიდი ღირებულების მქონეა უპირველეს ყოვლისა თავისი სინამდვილით. თვითმხილველი ავტორი დაწვრილებით და სიმართლით მოგვითხრობს მომხდარ ფაქტს. სერობი განსაკუთრებით გამომსახველად აღწერს ადამიანური სახედაკარგული მტრის მკაცრ ანგარიშსწორებასა და მხეცურ მოპყრობას უბედური მოქალაქეების მიმართ.

აი ერთი ნაწყვეტი მისი აღწერიდან:

„ბერ-მონაზონთაგან ზოგს ყელს სჭრიდნენ, კრავსავით კლავდნენ, ზოგს ატყვევებდნენ და ყიდდნენ. აგრეთვე სამღვდელოებისაგან ზოგს ნავთს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, ზოგს კლავდნენ, ზოგს ჰკიდებდნენ ეკლესიის ჭურჭელს საჩვენებლად და ზოგნი მიჰყავდათ ტყვედ. ასევე ერისკაცთაგან ზოგს თავს ჰკვეთდნენ, მიჰჭონდათ ეს თავები ბოროტმოქმედთან და თითოეული თავის ფასად 3 თუმანს იღებდნენ... ზოგი-

და მოკლე დახასიათება მოცემული აქვს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს თავის მნიშვნელოვან სტატიაში „ანონიმი ისტორიკოსის ახლად აღმოჩენილი ნაშრომი თბილისის აოხრების შესახებ 1795 წელს“, იხილე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის მოამბე, 1941 წ., № 3 — 4 (8 — 9) (სომხურ ენაზე).

<sup>1</sup> ს ო მ ხ ე თ ი ს ის ტ ო რ ი ს ა რ ქ ი ვ ი. წიგნი X, თბილისი 1912 წ. გვ. 376 (სომხურ ენაზე).

11. ვ. ს. ნალბანდიანი

ერთებს დაღვინებს სხვადასხვა ტანჯვა-წამებით,  
გავარვარებული რკინითა და სხვა სატანჯველით, რკინითა  
ლით, ზოგიერთები მიჰყავდათ ტყვედ. ასევე ემცოდ-  
ნენ დედაბრებს, ხოლო ყრმა და ახალგაზრდა გოგო-  
ბიჭები უვნებლად მიჰყავდათ თავიანთი ბილწი გულის-  
თქმისათვის და ძვირფას ნივთად.

[«...ხე ი კოდაკრიონ ქარფაყხთაყენ დომანა სრასიო-  
სიოღ აინქინ, დომანა ხერს დეანინ დენოჩინ და დომანა დ-  
რხაქ ქადანიქინ: ზოქსაქსა და ი ჟაანასაქსი დომანა იბამაქ  
ნაქსი ი ზოქსი კიქსინ, დომანა საყანანქინ, დომანა ზარ-  
კანქინ ი ყოყანხელ დანიოქსი ხხიღხეხაყ და დომანა ქარქინ  
ი დხრიოქინ: Այ და' ქაქსარკანასაყ დომანა დქსათხაქ  
თანქინ დნიქს დლიქსინ აი ჯარადაქსინ და რქსაქსინინ დხრი-  
ქინ დომანა ხორაქსაქსი დქსი დქინ... დომანა ქარქინ აქს-  
აქსა ჯარჯარანიოქს და ჯანქსაყხაქს ხრქსაქსი და აქს თანჯა-  
ნარანიოქს და დომანა თანქინ ი დხრიოქინ: ზომან სიყინ  
ანქინ და დხრიოქსი კანასაყ: ზასი დყასათანიქს და დხრიოქს-  
ათარქ თოქსა და დოქსიქსინ ანიქსათ თანქინ ი აქიღბ თრი-  
ქინსა ხორხანყ და ი ქსანქსაქსინ ქადანიქს»<sup>1</sup>.

სერობ მწერლის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა აგ-  
რეთვე ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ალა-მაჰმად-ხანი  
საშინელი სისასტიკით ეპყრობოდა არა მარტო ქალაქის ქრის-  
ტიან მოსახლეობას, არამედ აგრეთვე ერთმორწმუნე მაჰმადი-  
ან მცხოვრებლებსაც.

„...თავიანთი თანამორწმუნე ციხეს-მდგომი მაჰმა-  
დიანები ქრისტიანებზე უფრო მეტად აწამეს და ტყვედ  
წაასხეს“.

[«Այ და დოქსანქსიქსინ ხორხანყ დხრიოქსინასი მარამ-  
ქსანასინ ათიანქსი ჟან დქსაჯაყაჯათი ჯარჯარქინ, და საყა  
დხრქინ»<sup>2</sup>.

ისეთი მძვინვარე დესპოტისათვის, როგორც ალა-მაჰმად-  
ხანი იყო, ბუნებრივია, არავითარი ღირებულება არ უნდა

<sup>1</sup> სომხეთის ისტორიის არქივი. წიგნი X, თბილისი, 1912 წ., გვ. 368 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> იქვე.

ჰქონოდა რელიგიურ რწმენას, ისლამის პრინციპებს. ეს ცნობა ერთ სხვა იმდროინდელ ანონიმ სომეხ მწერალსაც მოეპოვება.

„აწვალებდნენ, კლავდნენ უფრო მეტად თავიანთ ერთმორწმუნე, მაჰმადიან, ციხეს-მდგომთ ძარცვავდნენ და ტყვედ მიჰყავდათ ისინი. ყოველივე ეს მოხდა 20 დღეში“.

[«...ღარუარქին, აყანანქին, აიანქ, სა დეხნაკიყეა ჩირხანე დამაზანთაკან ჩხრუარნაკან ანო ქაარ ს ჩ დხრიშქან მათხხაქ; სქა ამხნაქნ დირბ კათარხეაქ ჩ ანქ ათორე ჟსანჩე»]<sup>1</sup>.

ისტორიული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ამ საშინელი უბედურების ეპოს ქართველების მხარდამხარ ისეთივე სიმბინთა და თავგანწირვით იბრძოდნენ და თბილისს იცავდნენ სომხებიც. ქალაქის გმირ დამცველთა შორის, უეჭველია, ბევრი სომეხი მებრძოლი გამოირჩეოდა. მათ შორის სერობ მწერალი მოიხსენიებს არტილერისტს „პრიმერ მაიორ“ გაბრიელს. იგი თბილისისათვის, ქართველთა მიწის დასაცავად გმირული სიკვდილით დაეცა. ბევრმა რიგითმა მებრძოლმა სისხლით მორწყო მოძმე ქართველი ხალხის წმინდა მიწა. მათი სახელები, სამწუხაროდ, ხანდაზმულობის საბურველითაა დაფარული და უცნობია ჩვენთვის.

აი ერთი ნაწყვეტი მწერალ სერობის ნაწარმოებიდან:

„...იქ დარჩა სომეხი „პრიმერ მაიორი“ გაბრიელი ზარბაზნით, რომელიც დაუღალავი შრომით ცეცხლს აფრქვევდა ქრისტეს ჯვრის მტრებს მის სადიდებლად და თვისი მეუფის სასიყვარულოდ. იქვე ეწამა და დაადგა წარუვალი ცხოვრების გზას, რათა მიეღო სასიხარულო ბრაბიონი<sup>2</sup>. ამისვე მსგავსად ეწამა ქართველი „სეკონდ მაიორი“ ერთი საათის წინ“.

<sup>1</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი. ანონიმი სომეხი ისტორიკოსის ახლად აღმოჩენილი ნაშრომი თბილისის აოხრების შესახებ 1795 წელს“. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის მოამბე, 3—4 (8—9), გვ. 52 (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> ძღვევის გვირგვინი, პალმისა.



[«...იერ მწაგრ... ზაკვადონ ქრქმქერ მჯაქიერ ჳარქრქენ  
 მქიქ ქარჯაი, იერ ეანქერ ღნიერს ანქინჯ აქსათანთ  
 ქქერაქ ქქნამქსავენ ქსაქინ ჳრქსათიქს ქ ქადას ზიერიქს ჳ  
 სქერ სქრქაქინ ქიქიქ: ზიქინ ანქრქენ ზაჯათაქსაქს<sup>1</sup> ḡნაქერ  
 ḡანანე ქსნავენ ḡჯაქიქ ḡნქსაქნიქ ḡქსრქერაქინ ḡრქარქინს  
 სქქინ ზამან მარქთიქრქსანაქერ ჳ ქქრავ სქქინიქ მჯაქიერს ქს-  
 მას მქიქ ქაიქაქ ḡან ḡსაა»<sup>1</sup>].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ თბილისის აღებისა და აოხრების შესახებ წერენ არა მარტო ამ ამბების თვითმხილველნი, თბილისში მცხოვრებნი, არამედ აგრეთვე თბილისიდან შორს მყოფნი, სხვადასხვა ადგილებში მობინადრე სომეხი მემატრიანენი და მწერლები. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი თბილისის აღების ისტორიისათვის საყურადღებოდ მიიჩნევს ერთი ანონიმი ისტორიკოსის ნაშრომს, რომლის ტექსტი პირველად მასვე აქვს გამოქვეყნებული.

იგი წარმოადგენს შემოკლებას ერთი სხვა ნაშრომისას, რომელიც თბილისის აღებიდან 4 თვის შემდეგაა დაწერილი, 1796 წლის იანვარში, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე სეროზ მწერალი თავის ნაშრომს დაასრულებდა (როგორც ითქვა, იგი დასრულდა 1796 წლის მარტში). ნაშრომი შემოკლებულია კონსტანტინოპოლში ანონიმი ისტორიკოსის მიერ და შემდეგ სათაურს ატარებს: „მოკლე თხრობა ქალაქ ტფილისის წარმოუდგენელი აოხრების შესახებ, რომელიც მოიმოქმედა ალა-მაჰმად-ხანმა ყაჩაღური ბრძოლით. მან 1795 წ. ქართველთა მოხუცი მეფე ერეკლე II მეოტ ყო“<sup>2</sup>.

ასევე საინტერესოა აგულისის თომა მოციქულის მონასტრის ძმობის წევრის, მოძღვრის აბრაამ ასტაპატელის ანდერძი, რომელიც 1796 წლის 12 იანვარს, თბილისის აოხრებიდან 4 თვის შემდეგ დაწერა და რომელშიც სხვათა შორის, აბრაამი აღნიშნავს.

<sup>1</sup> სომხეთის ისტორიის არქივი, წიგნი X, გვ. 367. (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ანონიმი ისტორიკოსის ახლად აღმოჩენილი ნაშრომი თბილისის აოხრების შესახებ 1795 წელს“. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის შოამბე. 1941 წ. № 3—4 (8—9), გვ. 45—53 (სომხურ ენაზე).

„...როცა (აღა-მაჰმად-ხანმა — ვ. ნ.) აიძულა გ-  
ქცეულიყო მათი მეფე, კეთილმსახური ერეკლე ბილი  
დედაქალაქი ტფილისი, რომელიც თბილისი არს; და-  
ახვრია, ააოხრა ქალაქის შენობები, მრავალნი მახვი-  
ლით ამოწყვიტა და ურიცხვი ქრისტიანენი, განსაკუ-  
თრებით სომხები, ტყვედ წაასხა ჩვენი ზღვადქცეული  
ცოდნებისათვის; იავარ ყო მთელი ქონება და მონაგე-  
ბი მათი და ეკლესიის ჭურჭლეულობა“.

[«...ხ. ყაჩაღხაყ, ვარჯაჲს ნიყა ვარჯაყაჲთ ჴხრასყ,  
ჯაი ვმარჯარაჲაჲჲს Sჲჲჲს' ირ ჳ ზჲჲჲჲ. ჲანღხაყ ახ-  
რხაყ ვჲჲნილაჲჲ ჲაღაჲჲს, ჲითორხაყ ვარჯილაჲ ჲ რხრან  
სრიჲ ჳ ჲანჯამარ ჲრჲსთონხაყა' მანჯალანღ ვჯაყა ჲ ვხ-  
რიჲჲჲს ჲარხაყ' ვნღ ბიჲყეხაყ მხღაყ მხრიყ. ჳ ჲალარჲ  
ჯაი ვამხნაჲს ჲნჯა ჳ სთაყილაჲჲ ნიყა ჳ ჲანოჲჲ ხჲხ-  
ღხეხაყნა»] <sup>1</sup>.

შიშის მომგვრელი ისეთივე სიტყვებით აღწერს სპარსთა  
მხედრობას ქალაქ თბილისში ამ ამბების მომსწრე ვალარშაპა-  
ტელი არუთინ არარატიანი თავის მეშუარეობაში.

„გვამებზე გადავლით გზა გავიკაფე და შევედი  
თფილისში, ტაფი-თალის კარით, — მოგვითხრობს იგი,  
— ოჰ, შიშმა ამიტანა, როდესაც დავინახე, რომ  
მტრის მახვილს შუაზე გაეპო თვით დედები და ბავშ-  
ვები, რომ არაფერი ვთქვათ რა მამაკაცებზე, რომელ-  
თაგან ერთ კოშკში, დაახლოებით, ათასი ეყარა“ <sup>2</sup>.

გარდა ისტორიული ლიტერატურისა, მოძმე საქართველოს  
დედაქალაქის აღების ისტორია აგრეთვე სომხურ მხატვრულ  
ლიტერატურაშიც აისახა და ძვირფასი მხატვრული შემოქმე-  
დების თემად იქცა როგორც ამ ამბების თანამედროვე და  
თვითმხილველ, ასევე უფრო მოგვიანო ხანის მწერალთა ნაწე-  
რებში.

<sup>1</sup> Сборник материалов для описания местностей и племен  
Кавказа, выпуск ХХІХ, Тифлис, 1901, стр. 5.

<sup>2</sup> ვალარშაპატელი არუთინ არარატიანის ცხოვრება. თბილისი,  
1892 წ. გვ. 214 (სომხურ ენაზე).

1795 წელს სპარსთა მიერ თბილისის აღება მელიქ-მეჩლუმის ვარედ აღწერა იმავე შემთხვევების თანამედროვე მწერალთა შუასაუკუნეების ბოლო პერიოდის სომხური პოეზიის ერთმა მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა — შამჩიმელქომ, რომელსაც თვით ეხილა და განეცადა შრომისმოყვარე, ხალისიანი ქალაქის აოხრება, საზ-ქამანჩის, ლხინისმოყვარე თბილისელთა მახვილით ამოწყვეტა და ტყვედ წასხმა. პოეტმა იხილა თბილისის თავს გადამხდარი მთელი საშინელება და ღრმად დაეკოდა მგრძნობიარე გული.

სომეხი პოეტი-აშული ასე ასურათებს ქართველი ხალხის ნაციონალურ უბედურებას:

„კვლავ აგვიცოდეს იგი ჰირი, რაც არგუნა ბედმა ქალაქს.  
ასიათასი მოადგა სპარსი ქართლის დედა-ქალაქს, —  
წყვეულებმა დაატეხეს უმწარესი სევდა ქალაქს.  
როს ურჯულო მაჰმად-ხანი დაჯდა ტახტსა ზედან ქალაქს,  
ტყვედ წაასხა მოსახლენი, ცეცხლის ალში ხვევდა ქალაქს.  
ასიათას მტრის პირისპირ უღალატა ბედმა ქალაქს.

მელიქ-მეჩლუმ, ძაღლის კერძო, ჯავათ-ხანო, ლეკვო ყურშაე!  
იავარ-ქმნილ ჩვენს ქალაქში თქვენ-ლა ჰყრიხართ ბაიყუშად.  
მელიქ-მეჩლუმის შიშითა ერთი ძაღლიც არ ჰყეფს შუშას.  
თავგანწირვის ფიცი დადევს ხვესურმა და ჩარექ-თუშმა,  
რომ გულმკერდით დაიცავდნენ, ვით ლომები დედაქალაქს.

ახტა-ხანის მოსვლაზე თქვეს — შაჰი ჯარით მოვიდაო,  
რომ ქალაქის მოსათხრელად ნიჩბებ-ბარით მოვიდაო,  
მეციხოვნეთ თქვეს — სიკვდილი ჩვენზე ჯავრით მოვიდაო,  
და ქალაქის აღსასრული, საცა არის, მოვიდაო,  
ვინც გადარჩა, მონად გახდა, შესჩივოდა დედაქალაქს.

ტყვემ წასულმა ქალაქიდან არაბისტანს მიადწია —  
ვინ შაქს მოხვდა, შირვანს, ყუბას, ვინ დაღესტანს მიადწია,  
ვინ სად — თავრიზ-თეირანში მონად ვისთან მიადწია,  
შინ დაყრილი მშობლები კი შეჰბლოდნენ დედაქალაქს.

ვაჰ, სადა ხართ, ჯეელებო, ვინც ჰშვენოდით კობტა ქალაქს,  
ვინც ერთმანეთს შმებს ეძახდით, სეირნობდით მყუდრო ალაგს.  
შეძლებულნი მსახურებით სეირნობდით ტყბილად, ნახად,

ქეთხუდები და აღები, ვინც გვმატებდით შნოს და ლაზათს, სად ხართ? ერთსაც ვეღარ გზედავთ კაცი ამ ჩვენს დედაქალაქს.

ასი ათასი სჯიგვნიდა ქართლის ქალაქს ყიზილბაში, ერთუროს ძალად დააცილეს მეგობარი და ყარდაში. დახოცილებს ძალი ქამდა, არ გვეოფნიდა კუბო მაშინ, სწორედ სისხლის ტბორი იდგა ქუჩებში და ბოსტან-ბაღში, დედებს ჩვილებს ზე აკლავდნენ — ცოდვა ქუხდა დედაქალაქს.

ათას ორას ორმოცდაოთხს ეს ამბავი მოხდა ჩვენში. ვართაბეტებს ყელი დასჭრეს, ტერტერისა ეგდო ლეში. ის დოვლათი, რაიც ხალხმა შეაგროვა სიცოცხლეში მტერმა მოსპო, იავარ-ყო, ან ჩაიგდო მუქთად ხელში. ყველაყაი განადგურდა — ქალი, კაცი, ბავშვი, ბერი — უბედური დღე დაგვიდგა ის თერთმეტი სექტემბერი, ქრონიკონი უნ, პარ, ვანი მწარე ჰქონდა დედაქალაქს.

ერთს სახლს ვიდექ, იქ შევიტყე, წაიყვანა მტერმა მამა, წყვილ-წყვილ და-ძმაც მიაყოლეს — გამამწარა ძალზე ამან, მამაც მოკლეს, დედაჩემიც ყიზილბაშმა გამიწამა, შამჩი-მელქოს თვალებიდან სისხლის ცრემლმა იკამკამა. ექვსი ყიზილბაში მოკლა, მიაყოლა ხანიც თანა<sup>1</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ხალხის ისტორიის ამ ტრაგიკულმა ამბავმა არა მარტო იმდროინდელი სომეხა მწერლები ააღელვა, არამედ შემდგომი პერიოდის ერთი ჯგუფის სომეხ მწერალთა შემოქმედების თემად იქცა. მათგან აუცილებელია აღინიშნოს ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, ახალი ლიტერატურის ფუძემდებლის ზაჩატიურ აბოვიანის მნიშვნელოვანი ნაწარმოები: „უკანასკნელი გამოსათხოვარი მზნე მეფის ირაკლისა“<sup>2</sup>.

ზაჩატიურ აბოვიანის შემოქმედება არაჩვეულებრივი უშუალობითა და ღრმა ემოციურობით გამოირჩევა. მასში განსაკუთრებული პათოსითაა შექმებული სპარსთა წინააღმდეგ

<sup>1</sup> სომხური ქნარი მ. მიანსარიანის რედაქციით, ს. პეტერბურგი. 1868 წ., გვ. 564 — 565 (სომხურ ენაზე). ლ. მელიქსეთ-ბეგი. შამჩი-მელქო და მისი სომხური ლექსები — ერევანი 1958 წ. (სომხურ ენაზე).

<sup>2</sup> „აღზრდის პროპედევტიკა სახმარად ახლად მოსწავლეთათვის“. წინასიტყვაობა და შენიშვნები. რ. ზარიანისა. ერევანი 1940 (სომხურ ენაზე).

ქართველთა მხნედ მეზრძოლი ჯარის გმირული ბრძოლა მეფე/ერეკლეს ხელმძღვანელობით. სომხეთის განთავისუფლების/სულისკვეთებით გამსჭვალული დიდი პატრიოტის კალაში ახალი შთაგონებით გადმოსცემს მოძმე ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას. საყურადღებო ის არის, რომ აბოვიანს უსაზღვროდ აღაფრთოვანებს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მშობლიური ქვეყნის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა და პირიქით, მისი გული ღრმად წყლულდება და ხმა უკანკალებს, როდესაც აღწერს მოძმე ხალხის თავს გადაამხდარ უბედურებას. გეგონებათ, ის მოგვითხრობდეს თავისი საყვარელი სომხეთის სისხლიანი წყლულების შესახებ.

აბოვიანის შემოქმედებაში პატრიოტიზმის საფუძველს სწორედ ის ჰარმონია ქმნის, რომელიც დიდმა მწერალმა თავისი საყვარელი სომხეთისა და მოძმე საქართველოს ხვედრში იხილა. მეტად აღონებს მის გულს ერთდროს ძლიერი და მრისხანე მეფის ერეკლეს გმინვა, რომელიც მისი ხალხის თავს გადაამხდარ ამ ახალი უბედურებითაა გამოწვეული.

მართლაც, ამადლევებელია საცოდავი დღის მომსწრე მეფის განცდები, მისი გამოსათხოვარი სატახტო ქალაქისა და სასურველი მთებისა. აი, როგორ გადმოსცემს აბოვიანი ქართველთა მეფის ღრმა სულიერ ტრაგედიას:

„და გულმოწყალე მეფე, ძალის გამოლევის უკანასკნელ წუთს, მეტად რომ ვეღარ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია მძლავრი ბრბოსათვის, შორდება ქალაქს და გულისტკივილით მოთქვამს: მშვიდობით, ჩემო ტკბილო სატახტო ქალაქო, სადაც მე ესოდენ საანეტაროდ დღეები გამიტარებია. მშვიდობით, სასურველო მთებო, რომლებსაც ერთ დროს ასხივოსნებდა დიდებისა და სიმამაცის სხივი. ამჟამად ჩემ უძლურ მკლავს შენ უარს ეუბნები გულცივად. ჩემო საყვარელო სამშობლო, რომელიც მე ჩემი სისხლით, სიცოცხლის ფასად დაგიცევ... რად არ მომხვდება ციდან შანთი, რომ თქვენთან ერთად ჩემი ცხოვრების უძლური სული დაველიო. ტირილის ხმა მიღონებს გულს, ძვირფასი სისხლი, რომელიც აქა-

მომდე მე ზრუნვით დავიცევ, შერეული სდის შენთან  
ერთად, მდინარეო ბობოქარო, და შენ მღუმარებში  
ემასპინძლები მას“.

[*ახლ არქაჲსი გიორიძეაჲსი ექსერქისნი აყაიხალ ზიჲნი  
გიორიძესანი აჲსი იუ ჯარაგხალ იჲმადგრად ქინხლ რინასკალი  
ამეოქსინ სქანს ღნე ჭაღაჲსნი და ი სესქიბ დანნიძესანი  
სართინ ჴაიდაღს წაიღე:— ჯაგ რარხალ სქიიანიასთ იჲ  
ქაღვერ ქირომ ანგიოგი დათიჲს აქნჲსანი ქაქხლჯარაჲს:  
ჯაგს ქ რარხალ ქერინჲს წანსკაქიჲს ქიროგ იჲმა ქერქმნი  
არხდასწანაქაჲს ჴაიდაგაქსერნი ჴიღე ქაიდაგ და ჭაღაგორ-  
ბიძესანი, აქამ ანგიორაგხალ რადქინ იჲიქ დი ჴერქხა  
იჲს ააინაღქამ, ბნსიგარანი იჲ სქიხქი დიროს არხამე ჯხ-  
ნაგ აყაღთაყანხეჲს... ღნეღქ იუ ჴაიასანს ჴანსქ მქ ქერქსიჲს  
აყაიხელ და იჲმ ღნე ჴხრ ჯხნაგ ანგიორ ჴიინს: ჴაქს ჯაქხაგ  
მეღქს იჲმ სქირო: სქინსნი სქანსკაქინს დიო იჲიქა მქინს  
გარე ქინამხალ აყაღთაყანხეჲს ქაინხალ ჴიიქი ღნე ჭეღ  
იჲსთ დი ჯათაღი, და დი ჯიიძესამე ასაქნჯასანი ქინქა  
სმაჲს)¹*

1795 წლის ლაშქრობის დროს თბილისი არა მარტო უწყა-  
ლოდ გაიძარცვა და აოხრდა, არამედ შინი მოსახლეობა დიდი  
რაოდენობით შეუბრალებლად მახვილით განადგურდა და  
ამოწყდა.

ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, რომ თბილისის ამ  
დიდი ტრაგედიის დროს სხვა მსხვერპლთა შორის ვერაგი  
მტრის მახვილისაგან დაეცა აგრეთვე გენიალური სომეხი პო-  
ეტი, დიდი ჰუმანისტი საიათნოვა².

საიათნოვას გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეთხზულ  
ამ ხალხურ გადმოცემას პირველად ყურადღება მიაქცია პო-

¹ „აღზრდის პროპედევტიკა სახმარად ახლად მოსწავლეთათვის“,  
წინასიტყვაობა და შენიშვნები რ. ზარიანისა. ერევანი. 1940 წ.  
გვ. LXXXIX — XC (სომხურ ენაზე).

² მკვლევართაგან ზოგიერთნი: პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის  
გ. ლეონიძე და სხვანი უარყოფენ ამ ხალხური გადმოცემის სინამდვი-  
ლეს და აღიარებენ, რომ საიათნოვა ცოცხალი იყო 1795 წლის ამბების შემ-  
დეგაც და გარდაიცვალა თავისი ბუნებრივი სიკვდილით 1801 წ. პროფ.  
ლ. მელიქსეთ-ბეგის მიხედვით 1795 წელს მოკლულ იქნა ტერ-მხითარი და  
არა ტერ-სტეფანე საიათნოვა. საიათნოვალოგებს ვუტოვებთ საკითხს საბო-  
ლოდ გადასაწყვეტად და ზედმეტად არ მიგვაჩნია საიათნოვას სიკვდილის  
ირგვლივ შექმნილი ხალხური გადმოცემა.

ეტის ლექსების პირველმა გამომცემელმა გეორგ ახვერდიანმა. საიათნოვას თანამედროვეთა და 1795 წლის სისხლიანობების თვითმხილველთა მოგონებებზე დაყრდნობით გ. ახვერდიანი შემდეგს გადმოგვცემს:


„...ბევრისათვის ცნობილია თბილისში, რომ საიათნოვამ როცა გაიგო ალა-მაჰმად-ხანის ცხენოსანი ჯარის საქართველოს საზღვრებს მოახლოება, თან წაიყვანა თავისი შვილები (ჰყავდა ორი ვაჟი — მელიქსედი, ოჰანი და ორი ქალი — სარა და მარიამი) და (ალპატიდან) თფილისს წავიდა. აქედან ისინი გაგზავნა მოზდოკს, სადაც კიდევ დაბინადრდნენ. იმ დროს, როდესაც საიათნოვა აცილებდა შვილებს, სპარსელები შეიჭრნენ თფილისში. ალპატის საწინამძღვრო სწორედ ციხის ქვემოთ იყო. მტერი შეიჭრა ეკლესიის ეზოში და იწყო ხალხის ძარცვა და ჟლეტა. საიათნოვასაც დაესხნენ თავს ლოცვის ქამს ეკლესიაში და შოთახოვეს, რათა გარეთ გამოსულიყო და უარყო სჯული, მაგრამ ბერმა სპარსთა ხმლის ქვეშ დალია სული და წარმოთქვა:

„ჩიხმანამ ქლისადან, ღონმანამ ისადან“ (ეკლესიიდან გარეთ არ გამოვალ, იესუს არ უარყოფ). ამრიგად, ხალხის მსახური ეწამა, როგორც მონა ღვთისა, 1795 წლის სექტემბერს. ქალაქი თბილისიდან სპარსელების წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ აიღეს მისი გვამი და დაფლეს დიდი ციხის ეკლესიის ჩრდილოეთის პატარა კარის წინ. თუმცა საიათნოვას საფლავს ქვა არ ადევს, მაგრამ ამნაირად მოგვითხრობენ ისინი, ვინც მის დამარხვას დაესწრო“.<sup>1</sup>

ამჟამად, ახვერდიანის მიერ ნაჩვენებ ადგილზე (ეკლესიის ყოფილი კარის ადგილას), საოცარი პოეტის საფლავზე ქვა დევს, რომელზედაც თვით საიათნოვას შემდეგი სიტყვებია ამოკვეთილი:

<sup>1</sup> გ. ახვერდიანი, საიათნოვა, მოსკოვი, 1852 წ., გვ. 12 — 13.

„ჩემი წყარო სხვა წყაროა, ყველას არ ძალუძს მისი დაღვევა!  
ჩემი სიმღერა, სხვა სიმღერაა, ყველა ვერ მიხვდება!



ყველა ვერ გაიგებს!

ჩემი საძირკველი ქვიშაზედ აგებული კი არ გეგონოთ! —

— ჩემი საძირკველი აგებულია ქარაფოვან კლდეზედ ნაჭედ  
დულაბითა და ქვითკირით<sup>1</sup>.

აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა უკანასკნელი უბედურება იყო საქართველოსა და მისი დედაქალაქისათვის. ამის შემდეგ საქართველო რუსეთს შეუერთდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველმა ხალხმა თავისი ბედი მტკიცედ დაუკავშირა დიდი რუსი ხალხის ბედს, მისი დახმარებით საბოლოოდ განთავისუფლდა ირან-თურქეთის საძულველი ბატონობისაგან და მიჰყვა რა ისტორიის მსვლელობას, ჩვენს ნათელ დღეებს მოადრწია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თბილისმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში XIX — XX საუკუნეებში. აქ ჩამოყალიბდა მუშათა პირველი მარქსისტული ჯგუფები, რომელთაც შემდგომში დიდი როლი ითამაშეს რევოლუციური მოძრაობის გაშლა-გაფართოებაში. დიდი იყო თბილისის როლი არა მარტო ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეშიც. თბილისი იყო, ჭეშმარიტად, სომხური კულტურის ერთი უმნიშვნელოვანესი კერათაგანი.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის აკვანი — ქართველთა უძველესი დედაქალაქი, დღესაც ინარჩუნებს თავის მიმზიდველობას ამ ხალხებისათვის, რომელთათვისაც იგი არის ძვირფასი, საყვარელი და მშობლიური, და სრულიად ბუნებრივია, რომ თბილისის ცხოვრება ესოდენ ფართო ასახვას პოულობს არა მარტო ძველ და შუასაუკუნეების სომხური ლიტერატურის ძეგლებში, არამედ აგრეთვე ახალი და საბჭოური პერიოდის ლიტერატურულ შემოქმედებაში.

<sup>1</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საიათნოვა და ძველი ტფილისი, გვ. 84.

რედაქტორი ი. აბულაძე  
მხატვარი ი. ჯანაშვილი  
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი  
კორექტორი ე. ტრიპოლსკაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI-59 წ.  
ქალაქის ზომა 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>. ნაბეჭდი  
თაბახი 8,81. სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,75.  
საავეტრო თაბახი 7,5. ტირაჟი 10 000. შეკვ. № 816.

ფასი 6 მან.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.  
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

